

ისტორიულ-მეცნიერული ჟურნალი

№3 (87), 2018, მაისი

ფასი 3 ლარი

# ისტორიანი

## სოციალიზმითა შეჯახება

ნიჟნაღოვსა და პაღუსტინაში



ქართლის  
მეფე დავით X და  
ნიგლის-საფრანგეთის  
ანტიოსიელი  
ჰოანდისა



„50 პარსონა —  
მათი შექმნის  
ისტორია“

ტომი XXV

„დადა ბერეა“

ნიგნი „ისტორიანი“ ერთად — 8 ლარი

მსოფლიოს ყველაზე  
ხანმოკლე ომი

პოლიტიკოსთა  
პირველი „დესანტი“  
მვრობიდან

ნუბის პირამიდები

გზითვის ტრადიცია  
სამართავლოში

ბულგარული „ხორცსაგები“



# ბაბრიას III

ტომი 2

ქართვადი მეფეები  
ვახრონნი და მსახურნი ქვეყნისანი



მკითხველის თხოვნით  
კიდევ ერთხელ თამარ მეფე ტომი 1  
მხოლოდ „კვირის პალიტრასთან“ ერთად


24 თომად



შედეგი:



ტომი 3



ერთი წიგნის სპეციალური  
ფასი 5.50 ლ  
ბაზათთან  
ერთად 7 ლ

ბაზათ „კვირის პალიტრასთან“ ერთად  
ისტორია, რომელიც ძვირფასია!

26  
თაბანვილიან

იკითხეთ წიგნის მალაზიებსა და პრესის გავრცელების ნერტილებში ან დარეკეთ ნომრებზე:  
0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და [www.elva.ge](http://www.elva.ge) ადგილზე მოგართმევთ.

Palitra.L.Publishing [www.palitraL.ge](http://www.palitraL.ge)





**სახიჯვი**

**მოხალე აბაბი**  
 მსოფლიოს ყველაზე სანეოკლე ობი ..... 6

**მოხალე აბაბი**  
 „უსუნეო ფული“ რომის იმპერატორისბან ..... 8

**მოხალე აბაბი**  
 სემსტუს იულიუს ფრონტინუსი  
 „სტრატაბეგები“ ..... 10  
 „საქარმეველოს ისტორიული  
 ლემსიპონი“ ..... 10

**ფოტოსაბანეაქი**  
 შალვა დადიანი და ქარმეველი  
 მსახირობები ქაქვინეჯის ციხის  
 ნანგრევებთან ..... 11

**აიხევი ხსეუბინა**  
 კოლიტიკოსთა პირველი „დესანტი“  
 ვეროკიდან ..... 12

**აიხევი-ბაბინი აიხიეხთობე**  
 ქარმეველ და ბალტიელ არისტოკრატთა  
 ქორწინევების ისტორიიდან ..... 20

**მოხალე აბაბი**  
 საქარმეველოს ასალი ისტორია ..... 27

**სახეხსეათან**  
 ქარმეული უნივერსიტეტის პირველი  
 ნაბიჯები ..... 30

**სახეხთველო და აეხოვა**  
 საქარმეველო ვეროკის მონარქთა  
 საომარ გეგმევები ..... 35





**სახიჩქვი**

**ეთიოპოგია**  
 მზითვის ტრადიცია საქართველოში ..... 40

**უხეუნი იხოიხი**  
 „გაღაფყვიტეთ იხე, როგორც კარტია  
 გიპარანახეშო“ ..... 48

**ახო აღოხეუხე**  
 ცივილიზაციათა შეჟანახე  
 იერუსალიმსა და კალესტინაში ..... 56

**ჯეჟეუხი თეჟეუხი**  
 გულგარული „კორესეკეპი“ ..... 65

**უხეუნი იხოიხი**  
 „როგორც იქნა!“ – 2008 ჟელს  
 რუხეთეა დემოკრატიალ თეჟის  
 მორეჟეჟეა დაასრულა ..... 73

**ასოფიოფი სოიოი ქეხეუხი**  
 ნუიის კირამიდეჟი ..... 80

**ფუხეუხი ნახეუხე**  
 ამონარიდეჟი კეჟელი  
 შურნალ-გაჟეუხეიდეან ..... 88

**სეანვორდი** ..... 90

ჟურნალ „ისტორიანის“ ჰეელი ნომრეჟის შეჟენა შეგიდელიათ  
 „ბიბლესის“ მალეზიათა ქსელში



## ჩქარაქრონი სკიბი

ევროპიდან პოლიტიკოსთა დელეგაცია საქართველოში პირველად 1920 წელს ჩამოვიდა. 14 სექტემბერს მათ ბათუმის ნაპირზე დადგეს ფეხი, სადაც პომპეზური დახვედრა მოეწყო. იმავე საღამოს დელეგაცია საგანგებო მატარებლით თბილისისკენ გამოემგზავრა და 15 სექტემბერს სტუმრები უკვე დედაქალაქში იმყოფებოდნენ. რკინიგზის სადგურზე გაიმართა საპატიო შებვედრა, სიტყვით გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიანი. საპასუხო სიტყვაში ემილ ვანდერველდემ აღნიშნა: „ჩვენ გვეუბნებიან, თითქოს გინდათ ჩვენგან ისწავლოთ. არადა, ჩვენ, დასავლეთი, თქვენთან უნდა მოვიდეთ სასწავლებლად“. ამ ვიზიტის შესახებ მოგითხრობთ სტატიაში „პოლიტიკოსთა პირველი „დესანტი“ ევროპიდან“.

აშშ-ის პრეზიდენტის მიერ იერუსალიმის ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქად ოფიციალურად აღიარებამ ებრაულ საზოგადოებაში უდიდესი სიხარული გამოიწვია, მუსლიმურ სამყაროში კი — გაურკვევლობა და გაღიზიანება. პალესტინის საკითხი დიდი ხანია მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი თემაა. იერუსალიმი სამი დიდი რელიგიის წმინდა ადგილია, ამიტომ მის მიმართ დამოკიდებულებაც განსაკუთრებულია. საკითხის უკეთ გასარკვევად აუცილებელია ვისაუბროთ იერუსალიმის პოლიტიკურ სტატუსზე მისი დარსების დღიდან თანამედროვეობამდე.

საქართველო მოხსენიებულია დიდი ბრიტანეთის მონარქთა სახელმწიფო კანცელარიის ოცამდე დოკუმენტში. ერთი ლათინურენოვანი საბუთი სავარაუდოდ, ინგლისისა და საფრანგეთის მეფეებს შორის 1532 წლის გაფორმებული ანტიოსმალური შეთანხმების პროექტია. ტექსტში საქართველოს სახელიც ფიგურირებს. ჩანს, საქართველოს მეფეს ჩაფიქრებული ქრისტიანული კონფედერაციისთვის საჭირო და მნიშვნელოვან პარტნიორად მიიჩნევენ. რით იყო განპირობებული დასავლეთ ევროპის ქვეყნების ინტერესი საქართველოს მეფისადმი XVI საუკუნეში? ამის შესახებ წაიკითხავთ სტატიაში „საქართველო ევროპის მონარქთა საომარ გეგმებში — ინგლისის სამეფო კანცელარიაში გამოვლენილი XVI საუკუნის დოკუმენტის ისტორია“.

ჟურნალი ასევე გთავაზობთ ტრადიციულ რუბრიკებს — „ჯაშუსური თამაშები“, „მსოფლიოში ცნობილი ძეგლები“, „უახლესი ისტორია“, „ფურცლები წარსულიდან“ და სხვ.



ევროპელთა სოციალისტმა 1920 წელს ბანაცხალა: „გვეზნებოან, თითქოს ბინდათ ჩვენთან ისწავლოთ. არადა, ჩვენ, დასავლეთი, თქვენთან უნდა მოვიდეთ სასწავლებლად“

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი

### „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი  
**ჯაბა სამუშია**

რედაქტორი  
**გელა გურგენიძე**

სტილისტ-რედაქტორი  
**ელენე სალარიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**რეზო თხილიშვილი**

სარედაქციო კოლეგია:  
**ალექსანდრე ბოშიშვილი, ოქროპირ ჯიქური, ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე, მიხეილ ბარნოვი, შოთა მათათაშვილი, კახაბერ ყალიჩაია, ნიკოლოზ ხოფერიანი**

კორექტორები:  
**ნანა მაჭავარიანი  
ნინო აბესაძე**

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებების ქ. №49  
ტელ.: 238-13-72, 238-02-45  
e-mail: istoriani@palitra.ge

სარეკლამო განყოფილება  
ტელ.: 237-78-07, 238-78-70

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ  
რედაქციის ნებართვის გარეშე  
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

„პალიტრამედის“ ცხელი ხაზი: 219-60-13; 219-60-53  
e-mail: contact@palitra.ge

ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე: [www.elva.ge](http://www.elva.ge)  
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:  
(+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74  
ადგილზე მითანა უფასო!





# მსოფლიოს ყველაზე სანოკლე ომი

ინგლის-ზანზიბარის 1896 წლის 27 აგვისტოს ომი 38 წუთს გაგრძელდა. ის გინესის რეკორდების წიგნშიც კი მოხვდა, როგორც ომების ისტორიაში ყველაზე სანოკლე.

ზანზიბარის მმართველი სულთანი ჰამად იბნ ტუვაინი 1896 წლის 25 აგვისტოს გარდაიცვალა. ზანზიბარი დიდი ბრიტანეთის კოლონიას წარმოადგენდა და ლონდონი სულთნის ტახტზე ჰამუდ ბინ მუჰამედის კანდიდატურას უჭერდა მხარს. მოულოდნელი გადატრიალების შედეგად ტახტი დაიკავა გარდაცვლილის ბიძაშვილმა — ჰალიდ იბნ ბარგაშმა, რომელსაც გერმანია უმაგრებდა ზურგს. ბრიტანელებმა დაუყოვნებლივ, ულტიმატუმის სახით მოსთხოვეს მას გადადგომა, იარაღის დაყრა და დროშის დაშვება — 27 აგვისტოს დილის 9:00 საათამდე.

ბარგაშმა გადაწყვიტა ეომა. სულთნის

სასახლის დასაცავად სასწრაფოდ 2800 მეომარი შეკრიბა, სარდაფიდან ბრინჯაოს ძველებური ზარბაზანი ამოატანინა, რომელიც ბოლოს 200 წლით ადრე გამოეყენებინათ. ზარბაზანი სასულთნოს ერთადერთ ხომალდ „გლაზგოზე“ დააყენეს და უშიშრად გავიდნენ ზღვაში ბრიტანეთის სამეფო ფლოტის ხუთი ხომალდის წინააღმდეგ.

ულტიმატუმის დროის ამოწურვისთანავე მისი უდიდებულესობის გემებმა დედაქალაქ ზანზიბარის სანაპიროს ცეცხლი გაუსხნეს. „გლაზგომ“ ხუთი წუთის შემდეგ უპასუხა და მყისვე მოექცა ორი სამხედრო ხომალდი ჯვარედინ ცეცხლში. ზანზიბარის გემი

დაზიანებული სანაპირო ნაგებობები







*ბომბარდირების შემდეგ*

მანამდე ისროდა ბრინჯაოს ზარბაზნიდან, სანამ წყალქვეშ არ გაუჩინარდა... 14-წუთიანი მასირებული ცეცხლის შემდეგ მხოლოდ „გლაზგოს“ ანძების წვერები ჩანდა წყლიდან, სანაპიროს დაცვითი ნაგებობები კი პრაქტიკულად განადგურდა.

თუმცა, სასახლის ფლაგშტოკზე ზანზიბარის დროშა ფრიალებდა და ფლოტმაც ჭურვების სროლა განაგრძო. კიდევ 15 წუთის შემდეგ სანაპირო ისე დაიწვა და დაიბუგა, არც ერთი საპასუხო თოფის გასროლა აღარ ისმოდა. მალე ფლაგშტოკი განადგურდა, დროშაც აღარსად ჩანდა და ფლოტილიის სარდალმა, ადმირალმა როულინგზმა ცეცხლის შეწყვეტა ბრძანა, რადგან ეს კაპიტულაციად მიიჩნია. სულთანმა მომხრეებს ბრძოლის შეწყვეტა უბრძანა, თავად კი გერმანიის საკონსულოს სთხოვა თავშესაფარი.

მოკლედ, ბრძოლა სულ 38 წუთს გაგრძელდა და ისტორიაში შევიდა როგორც ყველაზე ხანმოკლე ომი. ზანზიბარელთა მხრიდან დაიღუპა 570 ადამიანი, ინგლისელთა მხრიდან კი მხოლოდ ერთი მეზღვაური დაიჭრა. ომის შემდეგ ყოფილი სულთანი დარ-ეს-სალამში ცხოვრობდა, სადაც ის ბრიტანელებმა 1916 წელს დააკავეს. პაილი იბნ ბარგაში მომბასაში გარდაიცვალა 1927 წელს.

*history.com-ის მიხედვით*

*დაზიანებები სულთნის სასახლეში*



*ბრიტანელი ჯარისკაცების ჯგუფი სულთნის სასახლის წინ*








# „უსუნო ფული“ რომის იმპერატორისგან

ასე გამოიყურებოდა ძველი რომის დიდი კანალიზაცია (Cloaca Maxima) 1814 წელს



კაპიტოლიუმის ბორცვის რეკონსტრუქციაში ავტორმა კლოაკა მაქსიმაც გამოსახა



კლოაკა მაქსიმას ერთ-ერთი გვირაბი რომის ფორუმის ქვეშ

ვესპასიანე რომის იმპერატორი (69-79 წწ.) რომ გახდა, სამოქალაქო ომი იმპერიაში ახალი დასრულებული იყო. საზინაში ერთი ვერცხლის მონეტაც აღარ მოიძეებოდა. ფულისა და ათასგვარი გადასახადების მოყვარულმა ვესპასიანემ მონდომებით დაიწყო საზინის შევსება და იმდენი ქნა, კოლიზეუმის ასაგები ვერცხლიც იშოვა და მომდევნო იმპერატორსაც საზინაში ბლომად ფული დაახვედრა.

ვესპასიანე სასტიკი მმართველი გახლდათ და მრავალი სახის გადასახადი დააწესა, მათ შორის, გადასახადი საზოგადოებრივი ტუალეტით სარგებლობაზე. პირველი საზოგადოებრივი ტუალეტიც სწორედ ვესპასიანემ გახსნა 74 წელს. მოქალაქეებმა ამ დაწესებულებებს „ვესპასიანები“ უწოდეს. როგორც რომაელი ისტორიკოსი სვეტონიუსი წერს, ვესპასიანეს ვაჟმა — მისმა მემკვიდრემ და მომავალმა იმპერატორმა ტიტუსმა მამასთან უკმაყოფილება გამოთქვა ასეთი შემოსავლის წყაროს დაწესების გამო. ვესპასიანემ ტიტუსს ოქროს მონეტა სახესთან მიუტანა და უთხრა, რომ „ფული არ ყარს“ (Pecunia non olet). ამ ცნობილმა გამოთქმამ საუკუნეებს გაუძლო. აღსანიშნავია, რომ რომაელები ტუა-





საზოგადოებრივი ტუალეტები ძველ რომში. რეკონსტრუქცია (მარცხნივ) და შემორჩენილი ნაშთი (მარჯვნივ)

ლეტებში არა მარტო ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების გამო დადიოდნენ, არამედ შარდსაც (ურინას) აგროვებდნენ თიხის დიდ ქოთნებში. მას რომში იყენებდნენ როგორც ტანსაცმლის სარეცხ საშუალებას, აგრეთვე ტყავის სათრიმლავად. „სითხეს“ აგროვებდნენ როგორც ღარიბებს შორის, ისე არისტოკრატიულ წრეებშიც. სხვათა შორის, პირველად გადასახადი ნერონმა დააწესა ამ „სითხის“ შეგროვებაზე, ვესპასიანემ კი მხოლოდ ტრადიცია „აღადგინა და განავითარა“. ამ გადასახადის ნაწილი დაიხარჯა რომის კოლიზეუმის აგებაზეც.

დღეს ფასიანი ტუალეტები აღარავის უკვირს. ვესპასიანეს დროს კი ეს და სხვა გადასახადები რომის გადამრჩენელი გამოდგა. სხვათა შორის, ფრანკოფონიური სამყაროს რამდენიმე ქვეყანაში დღემდე შემორჩა საზოგადოებრივი ტუალეტის მრავლისმეტყველი სახელწოდება *Vespasienne*.

*ancient-origins.net*-ის მიხედვით



ვესპასიანეს ოქროს მონეტა

რომაელები ტანსაცმელს რეცხვენ. პომპეის ფრესკა



## ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

**პალიტრა მედია გისმენო!..**

☎ დარეკეთ: 219 60 13

✉ მოგვწერეთ: [contact@palitra.ge](mailto:contact@palitra.ge)

ან: „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით



# სამსტუს იულიუს ფრონტინუსი „სტრატაგემები“


ქართულ ენაზე გამოვიდა I საუკუნის რომაელი ავტორის, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის, სექსტუს იულიუს ფრონტინუსის თხზულება „სტრატაგემები“. „სტრატაგემები“ მნიშვნელოვანი წყაროა ანტიკური ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის შესასწავლად. მასში თვითმორილია ცნობები ძველი მსოფლიოს გამორჩენილი სამხედრო მოღვაწეების — ალექსანდრე მაკედონელის, ჰანიბალის, სციპიონის, კეისრის, პომპეუსისა და სხვა ცნობილი სარდლების მოღვაწეობაზე, მათ ლაშქრობებზე, ტაქტიკა-სტრატეგიაზე,



საველე, სააღყო, საზღვაო ბრძოლებზე და წარმოადგენს ერთგვარ ანტიკურ სამხედრო სახელმძღვანელოს, კრებულს, რომლის მიხედვითაც სარდალს უნდა ეხელმძღვანელა. ქართულენოვანი გამოცემა მოამზადეს ნიკა ზოფერიაძე და ლევან ტაყალაშვილმა. დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტის პროგრამა „ლოგოსის“ ფარგლებში. გამოცემას დარსული აქვს ვრცელი სამეცნიერო შესავალი და კომენტარები.

# „საქართველოს ისტორიული ლექსიკონი“

ლუიზიანის უნივერსიტეტის ქართველი პროფესორის, ალექსანდრე მიქაბერიძის წიგნი „საქართველოს ისტორიული ლექსიკონი“ უკვე მესამედ დაიბეჭდა ცნობილი ამერიკული საერთაშორისო გამომცემლობის Rowman & Littlefield-ის მიერ. მესამე, შვესებული გამოცემა 2015 წელს გამოქვეყნდა.



წიგნს შემდგომი აღწერა ერთვის: „კავკასიის აღმავრთოვანებულ მთებში, შავი და კასპიის ზღვებს შორის მდებარე საქართველო ევროპისა და აზიის გზაგასაყარზეა. ბოლო ოცდახუთ წელიწადში საქართველომ გამოიარა საბჭოთა რეჟიმის დასასრული, სამოქალაქო ომი, ორი ეთნოტერიტორიული კონფლიქტი, ეკონომიკური კოლაფსი, კორუფცია, მთავრობის უუნარობა, მასობრივი ემიგრაცია — ყველაფერი უფრო დიდი დოზით, ვიდრე ქვეყნების უმეტესობამ ბოლო 250 წელიწადის განმავლობაში. პატარა ხალხის სტრატეგიული მდებარეობა სხვადასხვა ცივილიზაციების გზაჯვარედინზე ყოველთვის იყო როგორც

ჯილდო, ისე წყევლაც. ერთ დროს საომარი სარბიელი ანტიკურ იმპერიებსა და ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროებს შორის დღეს რუსეთის „უკანა ეზოშია“ მოქცეული და ისწრაფვის ჩრდილოეთატლანტიკური ალიანსისკენ. მიუხედავად სირთულეებისა, უძველესი ქვეყანა, რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში არსებული მღვინეობით, სახელმწიფოებრიობის სამიათასწლეუანი ისტორიით, თითქმის ორიათასწლეუანი ქრისტიანობით კვლავ იბრძვის გადარჩენისა და უკეთესი დრო-

ის დადგომისთვის“. ლექსიკონში 900-ზე მეტი სტატიაა შესული საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებზე, ინსტიტუციებსა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებზე, პიროვნებებზე, ადგილებზე... წიგნი გამოსადგია როგორც სტუდენტებისა და მკვლევართათვის, ისე ყველასთვის, ვისაც უნდა მეტი იცოდეს საქართველოზე.

„ისტორიანი“



# შალვა დადიანი და ქართველი მსახიობები ჭაქვინჯის ციხის ნანგრევებთან

შალვა დადიანი (1874-1959) — მწერალმა, დრამატურგმა, მსახიობმა და თეატრის ცნობილმა მოღვაწემ, სპექტაკლებით მთელი საქართველო შემოიარა.

ეს ფოტო ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროსაა გადაღებული 1919 წელს. ამ დროს სამეგრელოს მოსახლეობას წარუდგენდნენ შალვა დადიანის პიესას „გვეგეჭკორი“. ლეო ქიაჩელმა მსახიობთა პატოვსაცემად მოაწყო გასეირნება ჭაქვინჯის ციხეზე, სწორედ ეს მომენტიცაა აღბეჭდილი ფოტოზე. დასის შემადგენლობაში იყვნენ ელო ანდრონიკაშვილი, შალვა დადიანი, ვიქტორ გამყრელიძე, მიხეილ გელოვანი, სოსო ჟივიძე, პავლე ფრანგიშვილი, ნიკოლოზ (კოლა) ჩაგუნავა.

შალვა დადიანის შესახებ გასული საუკუნის 20-იან წლებში იოსებ გრიშაშვილი წერდა: „ქართული კულტურის რომელი დარგიც უნდა დავასახელოთ, შალვა დადიანი, როგორც სამფერი ძაფი, მოხდენილად ექსოვება ჩვენს ეროვნულ ხალიჩას... შალვა დადიანი, როგორც მწერალი, სულ ახალი მოვლენაა ჩვენთვის. მისი ყოველი სიტყვა ყალიბშია ჩამდგარი, მოკვეთილი და თავაზიანია... შალვა დადიანის კალამმა იცის თავისი საზღვრები; სად უნდა დაიხოს და სად გადავიდეს შეტევაზე“.

ჭაქვინჯის ციხეს (ჯიხას) იხსენიებს XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი. როგორც საისტორიო წყაროებიდან ჩანს, ციხის ტერიტორიის მიდამოებში საზაფხულო სასახლე ჰქონდათ სამეგრელოს მთავრებს — დადიანებს. ამ სასახლეში 1813 წელს დაიბადა სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი დავით ლევანის ძე დადიანი.

ჭაქვინჯის ციხე, რომლის ნანგრევების ძირშიც არის ფოტო გადაღებული, XVII საუკუნისაა. იგი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, სოფელ ჯიხაშკარში, მდინარე ჭანისწყლის ნაპირას. თქმულების მიხედვით, ციხე აქაურთ ჭანისწყლის ქვებით აუშენებიათ. მის მისადგომებთან ქართველებს არაერთგზის დაუმარცხებიათ მომხდური, თუმცა XVIII საუკუნის მიწურულს მტრის



შალვა დადიანისა და მისი მეგობრების გასეირნება ჭაქვინჯის ციხესთან, 1919 წელი (ფოტო დაცულია ხელოვნების სასახლის არქივში)

ჭაქვინჯის ციხე დღეს



(ამჯერად ოსმალების) შეტევებს ემსხვერპლა ციხე და იქ არსებული ეკლესიაც...

ფოტოზე ბორცვის წვერზე მოჩანს ჭაქვინჯის ციხე. სერზე მიმაღალ გზაზე მგზავრები ჩანან. წინა პლანზე, მარცხენა კუთხეში ცხენი ბალახს ძოვს, შუაში კი მთავარი გმირები დგანან, შალვა დადიანი და მისი მეგობრები. 1919 წელია, სამეგრელო. დემოკრატიული საქართველო კიდევ ორ წელიწადს იარსებებს!..

**გიორგი კალანდია**

ხელოვნების სასახლის დირექტორი





# კოლივიკოსთა პირველი „დესანტი“ ევროპიდან

საქართველოში ვიზიტით ჩამოსული II ინტერნაციონალის დელეგაცია და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ვოლოკინის გამზირზე (დღევანდელი რუსთაველის გამზირი). ცენტრში ნიუ ჟორდანია

## ევროპელ სოციალისტთა ვიზიტი საქართველოში 1920 წლის 14-29 სექტემბერს

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ამოქმედების პირველივე დღეებიდან, აქტიურად მუშაობდა საქართველოს დე ფაქტო და დე იურე აღიარების საქმეში საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობის პარალელურად, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია სოციალისტური ინტერნაციონალის ხაზით ცდილობდა ევროპის სოციალისტური პარტიების თანადგომის მიღწევას. პარტია ყველა საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობდა და ევროპელ სოციალისტებს თანადგომისა და მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა.

ევროპული სახელმწიფოების მმართველობაში იმ დროისთვის სოციალისტური პარტიები უკვე აქტიურად მონაწილეობდნენ. ზოგიერთ ქვეყანაში ისინი კოალიციაში შედიოდნენ ან პარლამენტებში მძლავრი საპარლამენტო ფრაქციებით იყვნენ წარმოდგენილი. სწორედ ამიტომ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ წარმომადგენლობითი მონაწილეობა მიიღო 1920 წლის 31 ივლისსა და 6 აგვისტოს შენევაში გამართულ მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესში. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ირაკლი წერეთელი. ქართული

მხარე ენერგიულად მოქმედებდა წამყვანი ევროპული სოციალისტების საქართველოში მოსაწვევად. საბოლოოდ, ჩამოსვლის სურვილი გამოთქვა ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის, ბელგიისა და გერმანიის სოციალისტების 15-მა წარმომადგენელმა.

დელეგაციის ყველაზე ცნობილი წევრი იყო კარლ კაუცკი, რომელიც ამ დროს ევროპაში სოციალიზმის ერთ-ერთ ყველაზე დიდ თეორეტიკოსად ითვლებოდა. ასევე საქართველოს უნდა სწევოდა ბელგიის იუსტიციის მინისტრი ემილ ვანდერველდე; ბრიტანეთიდან — ჯეიმს



რამზი მაკლონალი (მოგვიანებით დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი), თომას შოუ და ეთელ სნოუდენი; საფრანგეთიდან — ალბერტ ინგელსი, პიერ რენოდელი და ადრიენ მარკუეტი; ბელგიიდან — კამილ ჰიუსმანსი, ლუი დე ბრუკერი. დელეგაციაში აგრეთვე შედიოდნენ ლალა ვანდერველდე, მის ჰიუსმანსი, სარა ჰიუსმანსი, კარლ კაუციის მდივანი ოლბერგი, კარლ კაუციის მეუღლე ლუიზა კაუცი. ამას გარდა, ირაკლი წერეთელი და გერმანიაში საქართველოს ელჩი ვლადიმერ ახმეტელაშვილი საქართველოში იწვევდნენ ინგლისის მუშათა მოძრაობის ლიდერ არტურ ჰენდერსონს და ცნობილ გერმანელ სოციალ-დემოკრატს ედუარდ ბერნშტეინს, მაგრამ მათ აუდმოფობის გამო ვერ მოახერხეს ჩამოსვლა.

საქართველოს მთავრობა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (სდმპ) ცენტრალური კომიტეტი საგანგებოდ მოემზადნენ ევროპელი სტუმრების დასახვედრად. მათ ჩამოსვლამდე თბილისსა და ბათუმში შეიკრიბა საორგანიზაციო კომიტეტები, რომლებმაც ღონისძიებათა პროგრამა და დახვედრის ცერემონიალის თანამიმდევრობა შეიმუშავეს. ევროპელ სტუმრებს აგრეთვე დაგეგმილი ჰქონდათ შეხვედრები სხვადასხვა პარტიასა და საზოგადოებრივ ჯგუფთან, შემოქმედებით ინტელიგენციასთან. საორგანიზაციო ჯგუფის გადაწყვეტილებით, კომისიის წევრებს — დავით შარაშიძეს, ბიქტორ თევზაიასა და გრიგოლ გიორგაძეს დააავალეს, სტუმრებისთვის მოემზადებინათ

ნათ მასალები „სახელმწიფო მეურნეობის, პროფესიონალური მოძრაობის, მუშათა პოლიტიკური ორგანიზაციების, რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების“ შესახებ.

ევროპელ სოციალისტთა დელეგაცია ბათუმში 14 სექტემბერს ჩამოვიდა. აღმოჩნდა, რომ აუდმოფობის გამო კარლ კაუცი და მისი მეუღლე რომში დარჩნენ. ამ ამბავს კარლ კაუცი საგანგებოდ იგონებდა საქართველოში მოგზაურობის შემდეგ დაწერილი წიგნის შესავალში: „1920 წლის აგვისტოში საქართველოში სტუმრობის შედეგი: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოწვევით ვიმოგზაურე იქ მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის თანადროულად, რომელსაც საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის მონახულება სთხოვა. რომში აუად გახდომის გამო, ქვეყანას მივადწიე დელეგაციის ჩასვლიდან თოთხმეტ დღეში, იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი უკან ბრუნდებოდა. მე უფრო მეტ ხანს დაერჩი ქვეყანაში, სექტემბრის ბოლოდან იანვრის დასაწყისამდე“. კარლ კაუცი საქართველოში ჩამოვიდა მხოლოდ ევროპელ სოციალისტთა დელეგაციის საქართველოდან გამგზავრების წინა დღეს, 28 სექტემბერს.

ბათუმში სტუმრებს პომპეზური დახვედრა მოუწვევს. საღამოს დელეგაცია საგანგებო მატარებლით თბილისისკენ გამოემგზავრა. 15 სექტემბერს ევროპელი სოციალისტები უკვე დედაქალაქში იმყოფებოდნენ. მათ საპატიო შეხვედრა გაუმართეს რკინიგზის სადგურზე, სადაც სტუმრებს დახვდნენ მთავრობის, დამ-

*ევროპელ სოციალისტთა დელეგაცია თბილისში. სხუდან მარცხნიდან: ა. ინგელსი, სარა ჰიუსმანსი, ა. მარკუეტი, მისის სნოუდენი, თომას შოუ, მის ჰიუსმანსი, პიერ რენოდელი. დგანან მარცხნიდან: კამილ ჰიუსმანსი (შესაძლოა იყოს ლალა ვანდერველდე), ჯეიმს რამზი მაკლონალი, ემილ ვანდერველდე, ლუი დე ბრიუკერი, კარლ კაუციის მდივანი — ოლბერგი*





საბატონო სოფელ-ფერმაკონული მუზეონ პარკონ

მოსეზამთი 15 სექტემბერი 1920 წ.

ბრუნსკარეუ ველა კვანთონ შვიდობით



№ 210

მარგნეუ საბატონო სოფელ-ფერმაკონული მუზეონ პარკონ მხარეაღალი კომუნისათვის

№ 210

სალამი სტუმრებს! Salut à nos hôtes!

გაუგარჯონ სოციალიზმს!

Vive le Socialisme!

გაუგარჯონ ინტერნაციონალს!

Vive l'Internationale!



საბატონო სოფ.-ფერმაკონული მუზეონ პარკონ ტენსტარული კოლეჯისთვის

მუზეონისათვის პირველი კ. № 4, მარგნეუ საბატონო მუზეონისათვის პირველი კ. № 18, სექტ. 11-19

სოფლისათვის დღევანდელი მუზეონისათვის პირველი კ. № 4, მარგნეუ საბატონო მუზეონისათვის პირველი კ. № 18, სექტ. 11-19



მედი ვარსკვლავი

Notre Salut.

Proletaires de tous les pays, unissez-vous!

Nous sautions du regard des notes adouces... Notre salut, pour l'organisation internationale du prolétariat... Les exemples des ouvriers étrangers...

პოლიტიკური...

დღეს ვინაა მთავრობის... მთავრობის მთავრობის... მთავრობის მთავრობის...

მთავრობის მთავრობის... მთავრობის მთავრობის... მთავრობის მთავრობის...

სალამი... მთავრობის მთავრობის... მთავრობის მთავრობის...




ფუძნებელი კრებისა და საზოგადოების წარმომადგენლები. ევროპელ სოციალისტებს სიტყვით მიმართა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ. საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ემილ ვანდერველემ, რომელმაც აღნიშნა: „ჩვენ გვეუბნებიან, რომ თითქოს თქვენ ჩვენგან გინდათ ისწავლოთ. არადა, ჩვენ, დასავლეთი, უნდა თქვენთან მოვიდეთ სასწავლებლად“. ამავე დღეს მოეწყო დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომა, რომლის დასრულების შემდეგ სასახლის წინ გაიმართა მიტინგი. 16 სექტემბერს სახელმწიფო თეატრში სტუმრების პატესტაციამდე გაიმართა წარმოდგენა, შესრულდა ქართული ცეკვები, ასევე წარმოდგინეს „ახალბედობა და ეთერის“ მთელი მოქმედება. ევროპელ სოციალისტთა პატესტაციამდე ორკესტრმა სამჯერ დაუკრა ინტერნაციონალი. 17 სექტემბერს დელეგაცია ეწვია მუშათა სასახლეს და გაეცნენ საქართველოს პროფესიული კავშირების საქმიანობას.

18 სექტემბერს საკმაოდ დატვირთული დღის წესრიგი იყო. ინგლისის სოციალისტთა წარმომადგენლები ეწვივნენ დიდი ბრიტანეთის მისიას; სტუმრების ნაწილი შეხვდა სომეხთა ეროვნულ საბჭოს; ამავე დღეს დელეგაციის წევრები იმყოფებოდნენ სოციალ-ფედერალისტთა პარტიაში, სადაც მათ უმასპინძლა გიორგი ლასხიშვილმა. მომდევნო დღეს დაიწყო ევროპელი სტუმრების მოგზაურობა რეგიონებში. მთავრობის გადაწყვეტილებით, დელეგაციას მუდმივად უნდა ხლებოდნენ კონსტანტინე გვარჯალაძე, დავით შარაშიძე, ბიქტორ თევზაია, ნახაროვი, ილ. სადრაძე და პრესის წარმომადგენელი ლ. რუხაძე. ასევე გადაწყდა, რომ სხვადასხვა რეგიონში სტუმრებთან ერთად ყოფილიყო მთავრობის რომელიმე წევრი.

19 სექტემბერს სტუმრები ეწვივნენ მცხეთას, ფასანაურს, ყაზბეგს. 20 სექტემბერს დარიალს, ხოლო უკანა გზაზე მიტინგი მოეწყო ღუშეთსა და მცხეთაში. 21 სექტემბერს დელეგაციამ მოიარა კახეთი — საგარეჯო, მეღანა, გურჯაანი, წინანდალი. ხალხი ყველგან ოვაციებით ეგებებოდა სტუმრებს, იმართებოდა მიტინგები, რომელსაც ესწრებოდა ახლო სოფლებისა და დაბების წარმომადგენლები. 22 სექტემბერს შეხვედრა მოეწყო თელავში, სადაც შემადგამებელი სიტყვით გამოვიდა კამილ ჰიუსმანსი: „ჩვენ მოვისმინეთ თფილისში ს. ფედერალისტები, გაეცანით მათ პროგრამას და ვერ ვნახეთ კითხვები, რომელიც ყოფდეს მათ სოციალ-დემოკრატებისაგან. არის მხოლოდ

◀ გაზეთი „ერთობა“, 1920 წლის 15 სექტემბერი (გვ. 1)

◀ გაზეთი „ერთობა“, 1920 წლის 15 სექტემბერი (გვ. 2) ▶







ევროპელ სოციალისტთა დელეგაცია საქართველოში. ცენტრში მეორე რიგში — ვალიკო ჯუღელი

აგრარული საკითხი, რომელსაც ისტორიული მსვლელობის დროს დაეკარგება მნიშვნელობა და გაერთიანება მაინც აუცილებელი იქნება. სოციალისტური ინტერნაციონალი მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ამ შეერთების საკითხში“.

23 სექტემბერს სტუმრები ეწვევნენ გორს, ხაშურსა და ბორჯომ-ბაკურიანს. ქვიშხეთის სიახლოვეს სტუმრები მივიდნენ ძმათა სასაფლაოზე, სადაც სიტყვა წარმოთქვა ჯეიმს რამსი მაკდონალდმა: „ამ წმინდა საფლავებმა მე მომაგონა ერთი ქართული ლეგენდა, რომელიც საქართველოში მოვისმინე. აქ, ხაშურთან ახლოს, სურამში ძველად თურმე ციხეს აგებდნენ, მაგრამ კედლები ინგრეოდა. თქმულების მოხედვით, საძირკველში ცოცხლად უნდა ჩაეტანებინათ ვინმე, მსხვერპლი უნდა გაეღოთ, რომ აშენებულიყო ციხე. მოინახა ზურაბი, რომლის განწირული სიცოცხლე ბურჯად იქცა და მის ძვლებზე აშენდა ციხე. და მე დღეს მომაგონდა ეს ციხე, ჩვენც ზომ ციხეს ვაშენებთ, ციხეს მუშათა კლასისას, ციხეს სოციალიზმის ბედნიერებისას და ეს

განწირული, ბრძოლაში დაღუპული ამხანაგები საფუძველია ამ ციხის, მათ ძვლებზე შენდება მომავლის ბედნიერება“.

24 სექტემბერს დელეგაცია ეწვია ჭიათურას, ხოლო 25 სექტემბერს ტყიბულსა და ქუთაისს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ქუთაისში მოწყობილი დონისძიებები. ქალაქის საბჭოში შუხვედრის შემდეგ გაიმართა მიტინგი, მოეწყო მიღება ერობასა და პროფესიული კავშირის საბჭოში. სტუმრებს გზა სამეგრელოსკენ უნდა განეგრძოთ, მაგრამ ვითარება შეიცვალა და დელეგაციის ნაწილი იძულებული გახდა, თბილისში დაბრუნებულიყო. სამეგრელო-გურიაში წავიდნენ მხოლოდ კამილ ჰიუსმანსი, ეთელ სნოუდენი და ადრიენ მარკუეტი. მათ თან ახლდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი და ალექსანდრე ლომთათიძე. 26 სექტემბერს სტუმრებმა მოინახულეს აბაშა, სენაკი და ფოთი. 27 სექტემბერს დელეგაციამ იმოგზაურა გურიაში. შუხვედრები გაიმართა ლანჩხუთში, ნატანებში, ოზურგეთში. იმავე დღეს სტუმრები თბილისში დაბრუნდნენ. 28





საქართველოს მთავრობისა და II ინტერნაციონალის წევრები დარიალში. კინოფოტოფონოარქივი

სექტემბერს დელეგაცია ბათუმში გაემგზავრა, მხოლოდ ერთი წევრი — ლუი დე ბრუკერი დარჩა საქართველოში ოქტომბრის შუა რიცხვებამდე.

თბილისის სადგურიდან სტუმრები გააცილეს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ, მთავრობის წევრებმა ნოე რამიშვილმა, ნოე ხომერიკმა, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრე ლომთათიძემ და სვიმონ მღვინამ. 29 სექტემბერს ევროპელ სოციალისტთა დელეგაცია ბათუმიდან გაემგზავრა. სტუმრები გემამდე მიაცილეს მიწათმოქმედების მინისტრმა ნოე ხომერიკმა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა დავით შარაშიძემ, სახალხო გვარდიის უფროსმა ვალიკო ჯუღელმა, ბათუმის ოლქის საგანგებო კომისარმა ბენია ჩხიკვიშვილმა, დამფუძნებელი კრების წევრმა ვლადიმერ მგელაძემ და სხვებმა.

28 სექტემბერს ბათუმში ჩავიდა კარლ კაუცკი, მეუღლითურთ. ბათუმში მასაც მხურვალე შეხვედრა მოუწევს. ასევე, თბილისისკენ მომავალს, უამრავი ხალხი ხვდე-

ბოდა სხვადასხვა ქალაქში. კაუცკი სამ თვეს დარჩა საქართველოში. თავისი მოგზაურობა გადმოგვცა წიგნში — Kautsky, K. Georgia: A Social-Democratic Peasant Republic, Impressions and Observations. translated by H. J. Stenning and revised by the Author. London 1921. წიგნის შესავალში იგი ასე იგონებს თავის საქართველოში ყოფნას: „ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობამ და არახელსაყრელმა ამინდმა ხელი შემიშალა, დელეგაციის მსგავსად, ქვეყნის ყველა კუთხის მონახულებაში. ამას უნდა დაემატოს ქართული ენის ჩემი უცოდინარობა. ამის მიუხედავად, ხალხთან პირდაპირი ურთიერთობა დავამყარე და მათ მოსაზრებებსაც გავეცანი. ამასთან ერთად, ადგილობრივი ლიტერატურა, ოფიციალურიცა და პირადიც, ენის სირთულეების გამო ხელმიუწვდომელი იყო ჩემთვის მთარგმნელების დახმარების გარეშე. ამის გამო არ შემიძლია თავი წარმოვადგინო ქვეყნის მკვლევარად. თუმცა, მე გაცილებით მეტი შევიტყვე, ვიდრე ჩვეულებრივმა ტურისტმა“.

ევროპელ სოციალისტთა ვიზიტმა დიდი





ევროპელ სოციალისტთა დელეგაცია საქართველოში. ალბერტ ინგელსის გამოსვლა

რეზონანსი გამოიწვია ევროპაში. თითოეული მათგანი საშობლოში დაბრუნების შემდეგ ინტერვიუებში, სტატიებში, ნაშრომებში ყვებოდა საქართველოში ნანახს. რეალურად ეს იყო ევროპელ პოლიტიკოსთა პირველი მასშტაბური ვიზიტი საქართველოს დემოკრატიულ

რესპუბლიკაში, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის გაზრდაში.

**ჯაბა სამუშია**


*თსუ პროფესორი, ჟურნალ „ისტორიანი“ მთავარი რედაქტორი*

პირველი დელეგაცია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. სხედან მარცხნიდან: ს. დეგლარიანი, ნოე რამიშვილი, ნოე ჟორდანი, კარლ კაუცკი, ლუიზა კაუცკისა, სილიბისტრო ჯიბლაძე, რაფდენ არსენიძე. დგანან მარცხნიდან: კაუცკის მდივანი — ოლბერგი, ბიქტორ თევზაია, კონსტანტინე გვარჯალაძე, კონსტანტინე სპაზტარაშვილი, სარდიონ თევზაძე, ურუშაძე და გრ. ცინცაბაძე





# მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმები



13  
თომად



ეს უნიკალური სერია მათთვისაა, ვისაც სურს, ჰქონდეს მსოფლიო შედევრების საკუთარი კოლექცია, ნებისმიერ დროს შეეძლოს მისი დათვალიერება და თითოეული შედევრის ისტორიის გაცნობა.


**გიორგი ისაკაძე - ჟურნალისტი „ნიგნი, რომელიც დროში გამოგზავრებს!“**

## 5 მარტიდან თვალი ერთხელ

„პირის პალიტრასთან“ ერთად  
თომი V

## ვატიკანის მუზეუმები რომი

სპეციალური ფასი **13.50 ლ** გამებთან ერთად 15 ლ



მაგარი ყლით და სუკერით

ერმითაში  
სანათ-კამბორბორში  
თომი 6

ვატიკანის მუზეუმები – რომი  
თომი 5



თუ წინასწარ გამოიწეროთ ან შეაგროვებთ სერიის ყველა ნიგნს,

## ჩვენ გზუქნით!

თქვენ მიერ არჩეული შედევრის ასლს!

ორიგინალთან მიხაზობებული ასლი სპეციალური ტექნოლოგიით იმეჭდება მაღალხარისხიან ტილოზე და გადაჭიმულია ხის კარკასზე!  
იმისთვის, რომ გარანტირებულად შეძლოთ კოლექციის ყველა ტომის შეგროვება და საჩუქრად მიიღოთ მხატვრული ტილო, გირჩევთ, გამოიწეროთ ეს სერია!

დამატებითი ინფორმაციისთვის  
დარეკეთ: 0322 38 38 71



იკითხეთ ნიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში  
ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74  
და elva.ge ადგილზე მოგართმევთ. [www.palitra.ge](http://www.palitra.ge) [Palitra.L.Publishing](https://www.facebook.com/Palitra.L.Publishing)





ნაწილი II

ქალაქი რიგა (XVI საუკუნის ნახატი)

## ქართულ და ბალტიელ არისტოკრატთა ქორწინებების ისტორიიდან

XVIII საუკუნიდან XIX საუკუნის შუა ხანებამდე, რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ქართულ წარჩინებულ საგვარეულოთა არაერთი წარმომადგენელი დაუნათესავდა ბალტიისპირეთში მცხოვრებ არისტოკრატიულ გვარებს. ამის შესახებ უკვე ვწერდით („ისტორიანი“, №85). ამჯერად მოგიხსნებთ ქართულ და ბალტიელ წარჩინებულთა შორის იმ ქორწინებების შესახებ, რომლებიც XIX საუკუნის შუა ხანებიდან — რუსეთის იმპერიის დანგრევამდე მოხდა.

ქართული არისტოკრატიის მრავალმა წარმომადგენელმა დაუკავშირა თავისი ბედი როგორც ლიტვური წარმომავლობის, ასევე ბალტიისპირეთში მცხოვრებ გერმანული, შვედური, დანიური და სხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე წარჩინებულებს.

იმერთმეფე დავით II-ის (მეფობდა 1784-1789) შვილთაშვილმა მიხეილ კონსტანტინეს ძე იმერეტინსკიმ (1843-1892) 1869 წლის 11 მაისს ცოლად შეირთო გრაფინია ოლღა თეოდორეს ასული მენგდენი (1852-1911). გერმანული წარმომავლობის ეს საგვარეულო შეტანილი იყო ლიფლანდიისა და ესტლანდიის გუბერნიების სათავადაზნაურო მატრიკულში (ნუსხაში).

მიხეილისა და ოლღას შვილიშვილი — უგანათლებულესი თავადი გიორგი გიორგის ძე იმერეტინსკი (1897-1972), რომელიც დაიბადა ცარსკოე სელოში, მონათლა იმპე-

რატორმა ნიკოლოზ II-მ. ემიგრაციაში გამგზავრების შემდეგ იგი ოფიცრად მსახურობდა დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალებში. მისი ერთი ძმა — კონსტანტინე (1898-1978) ასევე ოფიცრად მსახურობდა ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებში, ხოლო მეორე ძმა მიხეილი (1900-1975) II მსოფლიო ომის დროს მეთაურობდა ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ესკადრილიას. ამ უკანასკნელის ასული — ნატალია (დაბადებული 1930 წელს) — ბაგრატიონთა საბჭოს პრეზიდენტია.

1874 წლის 14 აპრილს, 27 წლის ნიკოლოზ (ნიკო) დავითის ძე მინგრელსკიმ, იმავე დადიანმა (1847-1903) ცოლად შეირთო ბალტიელი გრაფინია მარია ადლერბერგი (1849-1926).

ნიკომ, რომელიც მამის გარდაცვალების (1853) შემდეგ ითვლებოდა სამეგრელოს მთავრად, 1867 წელს უარი თქვა ტახტზე, რის შემ-



დეგაც მიიღო ტიტული — უგანათლებულესი თავადი მინგრელსკისა. იყო ალექსანდრე II-ის ამაღლის წვერი. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომსა და ბულგარეთის განთავისუფლებაში აქტიური მონაწილეობისთვის მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. 1886 წელს რუსეთის ხელისუფლებამ სცადა ნიკო მინგრელსკის ბულგარეთში გამეფება. ეს პროექტი ჩაშალეს ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის მთავრობებმა, რომლებმაც იქ საქს-კობურგ-გოთას გერმანული დინასტიის წარმომადგენელი — პრინცი ფერდინანდი გაამეფეს.

ნიკო მინგრელსკის სიმამრი იყო ინფანტერიის გენერალი, გრაფი ალექსანდრე ადლერბერგი (1818-1888), რომელიც რუსეთის საიმპერატორო კარის მინისტრად და ორდენების კანცლერად მსახურობდა, ხოლო მისი მამა — ვლადიმირ ადლერბერგი (1791-1884) — ასევე ინფანტერიის გენერალი, საიმპერატორო კარის მინისტრი და სახელმწიფო საბჭოს წევრი. XVI საუკუნეში გერმანიიდან ესტლანდიაში გადასახლებული მათი წინაპრის შთამომავალი 1684 წელს შვედეთის სამეფოს არისტოკრატი გახდა. მისი შთამომავლები XVIII საუკუნიდან რუსეთის სამსახურში ჩადგნენ.

ნიკო მინგრელსკის ვაჟი — კამერ-იუნკერი ნიკოლოზ მინგრელსკი (1876-1919) მსახურობდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ბოლშევიკებმა დააპატიმრეს და ჩასვეს პეტროგრადის ციხეში, საიდანაც ცოცხალი ვეღარ გამოვიდა. მისი და — სეფექალი სალომე (1878-1961) ცოლად გაჰყვა საიმპერატორო ამაღლის გენერალ ალექსანდრე ობოლენსკის (1872-1924), რომელიც 1914-1916 წლებში პეტროგრადის ქალაქის თავად მსახურობდა.

თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორმა, თავადმა დავით ავალიშვილმა ცოლად შეირთო ოლღა ჰოლმბლადტი, რომლის ძმაც — გენერალ-ლეიტენანტი ოსკარ ჰოლმბლადტი (1843-1898) — კავკასიის სამხედრო-საოქო სასამართლოს თავმჯდომარედ მსახურობდა. მათი მამა იყო ცნობილი ექიმი, შვედური წარმომავლობის ბალტიელი არისტოკრატი, კავკასიის მხარის სამედიცინო ნაწილის მმართველი ედუარდ ჰოლმბლადტი, რომელიც გრიგოლ ორბელიანთან მეგობრობდა.

ამ ქართულ-ბალტიურ ოჯახში დაიბადა გამოჩენილი მეცნიერი, საერთაშორისო



გიორგი გიორგის ძე იმერტინსკი (ბაგრატიონი) — იმერეთის მეფე დავით II-ისა და გრაფი მენგლენების შთამომავალი, ნათლული რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ისა

სამართლის სპეციალისტი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი (1875-1944). პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მოღვაწეობა იქვე განაგრძო. რუსეთის დროებითმა მთავრობამ მას სენატორის ხარისხი მიანი-



ბაგრატიონთა ვანსტოების — უგანათლებულესი თავადი იმერტინსკების გერბის ერთ-ერთი ვარიანტი





ოდიშის  
ყოფილი  
მთავარი ნიკო  
დადიანი  
(მინერელსკი)

ჭა. სამშობლოში დაბრუნებისთანავე ჩადგა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს სამსახურში. დიდი ამაგი დასდო საქართველოს საერთაშორისო აღიარების პროცესის დაჩქარებას. აქტიურად მონაწილეობდა ევროპის ქვეყნებში გაგზავნილი სამთავრობო დელეგაციების მუშაობასა და საქართველოს პირველი კონსტიტუციის შექმნაში. იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ემიგრაციაში. ცოლად ჰყავდა ნორვეგიელი მაია ფოგტი. თანამშრომლობდა „ევროპის კონტინენტური კვლევის ინსტიტუტ-

ნიკო მინერელსკისა  
და მის  
შთამომავალთა  
კერბი



ტთან“, რომელსაც დოქტორი ალექსანდრე ნიკურაძე ხელმძღვანელობდა. 1944 წლის 21 მაისს, გერმანიის ქალაქ შვარცენფელდში მყოფი ზურაბ ავალიშვილი მოკავშირეთა სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ მოწყობილი დაბომბვისას დაიღუპა.

გრიგოლ დიასამიძე წერდა: „დავკარგეთ ერთი უნიჭიერესი და უგანათლებულესი ქართველთაგანი... მისი დედა ეკუთვნოდა ჰოლმბლადტების შვედურ გვარს, რომელიც დიდი ხნიდან გადასახლებული იყო ბალტიკაში... ზურაბი შეუდარებელი იყო იქ, სადაც საკითხს სჭირდებოდა მეცნიერული გარკვევა. ასეთ დროს მას ბადალი და მეტოქე არა ჰყავდა... იყო გულმართალი, სასტიკი მსაჯული თავის თავისა“.

ლიტვური არისტოკრატიული საგვარეულოს შთამომავალმა, წარმოშობით ვილნოდან, რუსეთის არმიის პოლკოვნიკმა ვლადიმირ ვლადიმირის ძე ლუკომსკიმ (1881-1923) 1905 წელს იქორწინა ნინო მიხეილის ასულ მელიქიშვილზე (1887-1966).

1914 წელს ეკატერინე ალექსანდრეს ასული დადემქელიანი (1888-1977) ცოლად გაჰყვა გერმანული წარმოშობის ბალტიელ ბარონს — იესკიულს. ეკატერინე იყო შვილთაშვილი მთავარ ჯანსუღ (ლევან) ნიკოლოზის ძე დადემქელიანისა (1810-1855), რომელიც ფლობდა სვანეთის ნაწილს, კერძოდ, ეცერსა და ცხუმარს. ეკატერინეს დედის ბაბილინა გიორგის ასულ ერისთავის (1869-1924) დისწული იყო ელენე დიმიტრის ასული ახვლედიანი (1898-1975) — გამოჩენილი მხატვარი.

რუსეთის არმიის ოფიცერმა მიხეილ (მიმუშა) აბელის ძე ანდრონიკოვმა, იმავე ანდრონიკაშვილმა (1852-1882) 1873 წელს ცოლად შეირთო სოფიო აგნეს ევა ფონ უნგერნ-შტერნბერგი (1852-1884), ასული გერმანული წარმოშობის ბალტიელი ბარონის, კავალერიის გენერლისა ლეონგარდ კარლის ძე ფონ უნგერნ-შტერნბერგისა და მარია ლუიზა იოსების ასულ ჰააგისა. მათ შეეძინათ ვაჟები: მიხეილ და ვლადიმირ ანდრონიკოვები. მათგან უფროსი — მიხეილი (1875-1919) იყო კამერ-იუნკერი, ტიტულარული მრჩეველი, ხოლო შემდეგ — სინოდის ობერ-პროკურორის საგანგებო დავალებათა ჩინოვნიკი. შედიოდა გრიგოლ რასპუტინის გარემოცვაში. 1916 წელს პეტროგრადში დააფუძნა ჟურნალი „Голос России“. მიხეილის უმცროსი ძმა — ვლადიმირი (1877-1943) იყო



ლაიბ-გვარდიის ულანთა პოლკის პოლკოვნიკი, რომელიც ემიგრაციაში გაემგზავრა.

ნიკოლოზ II-სთან დაახლოებულმა გვარდიის პოლკოვნიკმა, თავადმა ალექსანდრე ვლადიმირის ძე ამილახვარმა (1880-1968) 1905 წელს პეტერბურგში იქორწინა ბარონესა ცეცილია ელენე რეგინა ემანუელა ფონ გროტჰუსზე (1872-1934), რომელიც დაბადებული იყო ველიკანში (კურლანდია). მისი მამა იყო გერმანული წარმომავლობის ბალტიელი ბარონი, ხოლო დედა — ბარონესა ემა ფონ შტემპელი.

ბალტიელმა ბარონმა მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენმა (გარდაიცვალა 1884 წელს) იქორწინა სალომე ჭავჭავაძეზე (1848-1919), რომელიც იყო ასული სამპერატორო ამალის გენერლისა, თავად დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძისა (1814-1884) და ანა ილიას ასულ გრუზინსკაიასი (1828-1905), რომელიც მეფე გიორგი XII-ის შთამომავალი იყო. მაქსიმილიანი იყო ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი და მსახურობდა ჯერ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად (1869-1873), ხოლო შემდეგ თბილისის გუბერნატორად (1876-1877). მისი წინაპრები, გერმანული წარმომავლობის ოსტზეელი (კურლანდიელი) არისტოკრატები სამოღვაწეო ასპარეზზე XV საუკუნეში გამოვიდნენ.

მაქსიმილიანის ასული — ანა ფონ დერ ოსტენ-საკენი (1870-1931) ცოლად გაჰყვა გენერალ-მაიორ პეტრე მელიქიშვილს (1862-?), რომლის მამა — თავადი ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი (1818-1892) იყო გენერალ-ადიუტანტი და სახელმწიფო საბჭოს წევრი.

პეტრეს ვაჟმა — ლევან მელიქიშვილმა (1893-1928) ცოლად შეირთო ჰერცოგინია ალექსანდრა ლეიხტენბერგელი (1895-1969), ასული ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ლეიხტენბერგისა (ანუ ლეიხტენბერგელისა) და გრაფინია მარია ნიკოლოზის ასულ გრაბესი.

1892 წელს, თბილისში, ხსენებული პეტრე ლევანის ძე მელიქიშვილის და — მარია ლევანის ასული მელიქიშვილი (1869-1924) ცოლად გაჰყვა ბარონ ივანე ფილიპის (გუსტავის) ძე ფონ კრუზენშტერნს (1861-1911), რომლის საგვარეულოც იხსენიებოდა ესტლანდიის გუბერნიის არისტოკრატის ნუსხაში.

თავად პეტრე მელიქიშვილის ძმისწულმა სერგეი ნიკოლოზის ძე მელიქიშვილმა (1897-1979) ცოლად შეირთო გრაფინია სოფიო პეტრეს ასული კლაინმიხელი (1899-1964).



▲ შურაბ ავლიშვილი

▲ თავად ავლიშვილთა საგვარეულო გერბის ერთ-ერთი ვარიანტი



რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი, გენერალ-ადიუტანტი ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის გამზავნილი მეგობარი





ძმები ვლადიმირ და მიხეილ (მარჯვენა) ანდრონიკოვები (ანდრონიკაშვილები), დედაით — ფონ უნგერნ-შტერნბერგები



ანდრონიკაშვილთა საგვარეულო გერბის ერთ-ერთი ვარიანტი. ჰერალდიკური ფარის ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახული ბიზანტიის გერბი მიანიშნებს კონვენოსთა დინასტიიდან ანდრონიკაშვილთა წარმომავლობაზე



გვარდიის პოლკოვნიკი ალექსანდრე ამილახვარი — ფონ გროტჰუსების სიძე

სოფიოს ნათესავი — გრაფი პეტრე ანდრიას ძე კლაინმიხელი (1793-1869) იყო ინფანტერიის გენერალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი.

რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, პოლონური წარმომავლობის არისტოკრატი ვსევოლოდ დიმიტრის ძე სტაროსელსკი (1875-1953) დაქორწინდა გერმანული წარმომავლობის კურლანდიელ ბარონესაზე ვარვარა (ბარბარა) ფონ-დერ-ოსტენ-დრიზენზე. ამ საგვარეულოს რუსეთის იმპერიაში მცხოვრები შტოს

დამაარსებელი ბარონი კარლ-ვილჰელმ-ჰენ-რიხ ფონ-დერ-ოსტენ-დრიზენი (1746-1827) რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩადგომის შემდეგ გახდა კურლანდიის გუბერნატორი და საიდუმლო მრჩეველი.

ვსევოლოდის მამა იყო გენერალ-ლეიტენანტი, სენატორი დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკი (1832-1884), ხოლო დედა ეკატერინე — ასული თადეოზ გურამიშვილისა. დიმიტრი სტაროსელსკი სხვადასხვა დროს მსახურობდა ბაქოს გენერალ-გუბერნატორად და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსად. მისი ცოლისდა — ოლღა გურამიშვილი (1842-1929) ცოლად ჰყავდა დიდ ილია ჭავჭავაძეს (1837-1907).

აქვე დაეძინა, რომ ბარონ ფონ-დერ-ოსტენ-დრიზენების სიძე — ვსევოლოდ სტაროსელსკი ოფიცრის რანგში მონაწილეობდა I მსოფლიო ომში, სადაც მრავალი საპატიო ჯილდო დაიმსახურა. 1918-1920 წლებში მსახურობდა სპარსეთში. ხელმძღვანელობდა თეირანში დისლოცირებულ კახაკთა დივიზიას, რომელიც ყაჯართა დინასტიიდან გამოსულ შაჰინშაჰთა პირადი გვარდიის როლს 1879 წლიდან ასრულებდა. 1921 წელს თავის ოჯახთან ერთად ემიგრაციაში გაემგზავრა. დასახლდა კალიფორნიაში (აშშ), სადაც შეიძინა რანჩო და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. ჰყავდა ვაჟი — დიმიტრი ვსევოლოდის ძე სტაროსელსკი, რომელიც 1900 წელს დაიბადა.

1907 წლის 3 ივნისს გერმანული წარმომავლობის ბალტიელმა ბარონმა ალექსანდრე ფელიქსის ძე ფონ შეიენდორფმა (1869-1964) იქორწინა ბაბო (ვარვარა) მიხეილის ასულ შარვაშიძეზე (1859-1946).

ბაბოს მშობლები იყვნენ: აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე (1805-1866) და ალექსანდრა (ცუცუ) გიორგის ასული დადიანი (1822-1864). ბაბოს ძმა გიორგი (1846-1918) იყო აფხაზეთის სამთავრო ტახტის მემკვიდრე, რომელიც 1866 წელს მომხდარი აფხაზთა სახალხო აჯანყებისას მთავრად გამოაცხადეს. იმავდროულად ის იყო საზოგადო მოღვაწე, პოეტი, დრამატურგი და პუბლიცისტი, რომელსაც სძულდა რუსული იმპერიალიზმი, ხოლო აფხაზი ხალხის მომავალი ესახებოდა მომე ქართველ ერთან ერთად, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს საზღვრებში.

ალექსანდრე შეიენდორფი იყო იურიისტი და რუსეთის პოლიტიკური მოღვაწე, შვი-



ლიშვილი მიხაილ გორჩაკოვისა, რომელიც ბიძაშვილად ეკუთვნოდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პეტრე სტოლიპინს.

მეიენდორფი პრიატ-დოცენტად მოღვაწეობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის რუსეთის სამართლის კათედრაზე. 1905 წელს გახდა ერთ-ერთი დამფუძნებელი „17 ოქტომბრის კავშირისა“. აირჩიეს III და IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად. იყო სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილე (1907-1909). 1913 წელს გამოვიდა ხსენებული კავშირიდან. 1917 წლის მიწურულს აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად. 1918 წელს წავიდა რიგაში, ხოლო მომდევნო წელს — ემიგრაციაში. დროგამოშვებით ცხოვრობდა დიდ ბრიტანეთსა და ფინეთში. ასწავლიდა ლონდონის უნივერსიტეტში. მისი მამული „კლიან როპ“ (ამჟამად — მაზსტრაუჰე, ლატვია) მდებარეობდა ლიფლანდიის გუბერნიის ქალაქ ვენდენის (ამჟამად — ცესისი, ლატვია) მახლობლად.

ბაბო შარვაშიძე-მეიენდორფისას უფროსი დის, თამარ შარვაშიძის (1840-1925) შვილიშვილი — მიხეილ ნიკოლოზის (კოკის) ძე დადიანი (1899-1970) ოფიცრად მსახურობდა ჯერ ქართულ ჯარში, ხოლო ემიგრაციაში გამგზავრების შემდეგ — პოლონეთის არმიაში.

მიხეილ დადიანი იგონებდა: „ცხრა წელი რომ შემისრულდა, ბებიაჩემის ძმამ გიორგი შარვაშიძემ თავის დასთან, ბაბოსთან წამიყვანა საზაფხულოდ. ბაბო — ჩემი ნათლია, ცოლად ჰყავდა ბარონ მეიენდორფს... მის მამულში იყო უზარმაზარი სასახლე, მშვენიერი პარკით გარშემოვლებული. იქვე ახლოს მიედინებოდა მდინარე და ბარონს ხშირად დაეყავი მდინარეში საბანაოდ... „კლიან როპში“ გატარებული ზაფხული არასდროს დამავიწყდება. არ დამკლებია არავითარი სიამოვნება, რომელიც კი ჩემი ხნის ბავშვისთვის შესაძლებელი იყო. ყოველდღე ვცხენოსნობდი, იაღქნიანი ნავით დაეყავი ბარონს მდინარეზე. ბარონს გნოღებზე ნადირობა უყვარდა თავის მეზობელ ბარონ როზენთან... მეც წამიყვანდა ხოლმე... ბაბუა გიორგი და ბარონი მეტწილად პოლიტიკაზე ლაპარაკობდნენ. გიორგი რუსების დიდი მოძულე და მტერი იყო... ბარონი ხშირად იზიარებდა გიორგის აზრებს რუსეთის შესახებ და დიდ უსამართლობად მიაჩნდა შარვაშიძეებისთვის მამულებისა და სახლ-კარის ჩამორთმევა მეფის მთავრობის მიერ. 1911 წელს ბარონის



გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე — აფხაზეთის სამთავრო ტახტის მემკვიდრე, რომელიც 1866 წელს მომხდარი აფხაზთა სახალხო აჯანყებისას მთავრად გამოაცხადეს



▲ ბაბო (ვარვარა) მიხეილის ასული შარვაშიძე — ბარონ მეიენდორფების რძალი

▲ ალექსანდრე ფონ მეიენდორფი, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილე (1907-1909)



▲ XVIII საუკუნიდან რუსეთში მცხოვრებ ჯავახიშვილთა — ჟევაზოთა საგვარეულო გერბის ერთ-ერთი ვარიანტი

▼ გენერალი ივანე სიმონის ძე ჟევაზოვი

ინიციატივით გასაჩივრდა გიორგის მამულების ჩამორთმევა, მაგრამ საქმე ვაკანსურდა... ბარონსა და ნათლია ბაბოს შვილები არ ჰყავდათ და მთელი მათი მშობლიური სიყვარული ძე მერგო წილად. ბარონი ხშირად მარიგებდა ჭკუას... აგვისტოს დამლევს პეტერბურგში წავედით, სადაც ბარონს დიდებული სახლი ჰქონდა „აზიორნაიას“ ქუჩაზე... ნათლია ბაბოს და ბარონსაც სურდათ, ძე კადეტთა კორპუსში მიეებარებინეთ და იქიდან პაჟთა კორპუსში გადაეყვანეთ, მაგრამ ბაბუა გიორგის არ მოუსურვებია, — „გარუსდებაო“ — უთქვამს და გადაუწყვეტიათ ჩემი დაბრუნება სამშობლოში. ასე რომ, ბაბუა გიორგის უნდა ვუმაღლოდე, რომ გარუსებას გადავრჩი“.

თავად ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათოვს, იგივე სუმბათაშვილს (1857-1927) ცოლად ჰყავდა ბარონესა მარია კორფი, რომლის მამა იყო ნიკოლოზ ვასილის ძე კორფი, გერმანული წარმომავლობის ბალტიელი ბარონი. ალექ-

სანდრე სუმბათოვი, ცნობილი ფსევდონიმით — „იუჟინი“, იყო გამოჩენილი მსახიობი, დრამატურგი, მოსკოვის ლიტერატურული და მხატვრული წრის თავმჯდომარე, მოსკოვის მცირე თეატრის დირექტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის და პეტერბურგის ალექსანდრეს სახელობის თეატრის საპატიო წევრი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

ექიმმა-გინეკოლოგმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, თავადმა სერგეი ვლადიმირის ძე ჟევაზოვმა (1870-1932) 1898 წელს ჯვარი დაიწერა რიგაში მცხოვრებ ანა (ავგუსტა) მარტინსონზე (1874-1943). მისი მამა ქრისტიან მარტინსონი იყო გემების მფლობელი შვედი, ხოლო დედა მარგარიტა იულიანა იოჰანა კალნინგი — რიგელი გერმანელი.

სერგეი ჟევაზოვი იყო შთამომავალი ვახტანგ VI-ის ამალის წვერისა, თავად შიომ (სვიმონ) ჯავახიშვილისა. ეს უკანასკნელი ოფიცრად მსახურობდა ქართველ ჰუსართა როტაში. ერთგული სამსახურისთვის საჩუქრად მიიღო პოლტავის გუბერნიაში მდებარე მამული — ყმა-გლეხთა 30 ოჯახით. მისი შთამომავლობა, რომელიც ძირითადად სამხედრო სფეროში მოღვაწეობდა, ცნობილი იყო გვარით — ჟევაზოვი. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ფილიპე (1752-1817) და ივანე (1762-1837) სვიმონის ძე ჟევაზოვები, რომლებიც იყვნენ გენერალ-მაიორები, მონაწილეობდნენ რუსეთის 1812 წლის სამამულო ომში და რომელთა პორტრეტები გამოფენილია ზამთრის სასახლის სამხედრო გალერეაში. გადაღომის შემდეგ, ივანე ჟევაზოვი ოდესაში ცხოვრობდა. იგი მონაწილეობდა კეთილმოწყობაში ამ ქალაქისა, რომლის ერთ ქუჩასაც მის პატივსაცემად ეწოდა „თავადური“, ხოლო ოდესასთან მდებარე გორაკს, რომლის ძირას განლაგებულია ჰავიბებისა და სხვა ლიბანები, ეწოდება „ჟევაზოვის მთა“. აქვე დავძენთ, რომ მოსკოვში, კრემლის სასახლის გიორგის დარბაზში გამოფენილ რიგით მუშვიდე დაფაზე მითითებულია ივანე ჟევაზოვი, როგორც წმინდა გიორგის ორდენის კავალერი.

ამრიგად, ქართულ და ბალტიურ წარჩინებულ საგვარეულოთა წარმომადგენლებს შორის ქორწინებანი საკმაოდ ინტენსიურ ხასიათს ატარებდა XIX საუკუნის შუა ხანებიდან — რუსეთის იმპერიის დანგრევამდე.

**ენიო ჯავახიშვილი**


ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი



# საქართველოს ახალი ისტორია

2017 წელს გამოცემილია „ქართული უნივერსიტეტის“ გრიფით გამოვიდა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის ვახტანგ გურულის წიგნი „საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918)“. ეს არის სამტომეულის პირველი წიგნი, რომელიც მოიცავს პერიოდს XIX საუკუნის დამდეგიდან ამავე საუკუნის 50-60-იან წლებამდე. წიგნი დიდი ფორმატის 647 გვერდისგან შედგება და მოიცავს 31 თავსა და 99 პარაგრაფს, დართული აქვს პირთა საძიებელი. წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა გამოცემილია „მერიდიანმა“.

საქართველოს ახალი ისტორია საფუძვლიანად გააყალბა ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. ამ ეპოქის ობიექტურად შესწავლა მხოლოდ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, თუმცა ისეთი სქელტანიანი წიგნი, როგორც ვახტანგ გურულის „საქართველოს ახალი ისტორია“, პირველად გამოდის. წიგნში საქართველოსა და რუსეთის არქივებში მოძიებული მასალის,



სხვადასხვა დროს, ძირითადად XIX საუკუნესა და XX საუკუნის დამდეგს ქართულ და რუსულ ენაზე გამოცემულ დოკუმენტებსა და მასალებზე დაყრდნობით, მემუარული ლიტერატურის გათვალისწინებით წარმოდგენილია საქართველოს ახალი ისტორიის ობიექტური სურათი; ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა უადრესად მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზის ანალიზის საფუძველზეა წარმოდგენილი, ყველა დასკვნა ემყარება სანდო დოკუმენტურ მასალას. მასალის სიუხვე, მოვლენების ღრმა ანალიზი, ავტორისეული თხრობის სტილი წიგნს საინტერესოდ საკითხავს ხდის. მკითხველის დაინტერესებას ასევე იწვევს ისიც, რომ ბევრი საკითხი, რომელიც ისტორიოგრაფიაში საერთოდ მიჩქმალული იყო ან ძალზე მკრთალად შუქდებოდა, მთელი სისრულითაა წარმოდგენილი. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ვახტანგ გურულის „საქართველოს ახალი ისტორიის (1801-1918)“ სამტომეულის გამოცემით დასაბუთებული პასუხი გაეცემა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებს, ხოლო დაინტერესებულ მკითხველს ხელთ ექნება საქართველოს ობიექტური და მიუკერძოებელი ისტორია.

„ისტორიანი“



მეფე გიორგი XII-ის მეორე მეუღლე, ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფალი მარიამი კლავს გენერალ-მაიორ ივან ლაზარევს, 1803 წლის 12 აპრილს



თბილისის ბანიანი სახლები. გრიგორი გაგარინი, 1849 წ.



# Auto Bild

საქართველო

ქურნალი  
**AUTO BILD**  
საქართველო  
წარმოგიდგენთ



ინილეთ  
სტაბია სრულად  
ქურნალ  
„AUTO BILD  
საქართველოს“  
მარტის ნომერი

# 1968

წელი, როგორც  
ყველაფერი  
შეცვალა







# ქართული უნივერსიტეტის პირველი ნაბიჯები



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა, 1918 წ. (საქართველოს ეროვნული არქივი)

## რა ხდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1918 წლის 26 იანვარს

26 იანვარს (ახ.სტ. 8 თებერვალი), 13:00 საათზე დიდი ზეიმით გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი. აუარებელ ხალხს ვეღარ იტევდა ყოფილი ქართული გიმნაზიის შენობის კედლები. ეროვნული საბჭოს 1918 წლის 20 იანვრის (2 თებერვალი) დადგენილებით, უნივერსიტეტი უნდა გაეხსნა ნოე ჟორდანიას, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ ამ დღეს ნოე ჟორდანიას თბილისში არ იქნებოდა, ამიტომ 1918 წლის 23 იანვრის (5 თებერვალი) დადგენილებით, უნივერსიტეტის გახსნა აკაკი ჩხენკელს დაევალა. რადგან 26 იანვარი (8 თებერვალი) არის დავით აღმაშენებლის ხსენების დღე და მის სახელს ატარებდა გიმნაზიის ეკლესიაც, ამიტომ გახსნის წინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საღმრთო წირვა შეასრულა, ხოლო წირვის შემდეგ თბილელმა მიტროპოლიტმა სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა. ამის შემდეგ, ეროვნული საბჭოს დაჯავლებით, უნივერსიტეტი გახსნა აკაკი ჩხენკელმა. მის გვერდით იდგნენ ერთი მხრივ, უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, მეორე მხრივ კი უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების დეკანი, პროფესორი ივანე ჯავახიშვილი და

მთელი პლეადა ახალგაზრდა პროფესორ-დოცენტებისა.

აკაკი ჩხენკელმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. კილო მისი ამ სხდომაზე იყო საზეიმო, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მსმენელზე. ამის შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს პეტრე მელიქიშვილმა და ივანე ჯავახიშვილმა.

## რა საბუთები იყო საჭირო უნივერსიტეტში სასწავლებლად

სტუდენტებად მიიღებოდნენ საშუალო სასწავლებლების (ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, სასულიერო სემინარია (ოთხი კლასი), რეალური, საკომერციო, საეპარქიო და წმინდანინოს დედათა სასწავლებლები, საოსტატო ინსტიტუტი და სემინარია, კადეტთა კორპუსი და სხვ.) კურსდამთავრებულები. სტუდენტად ჩასარიცხად საჭირო იყო: 1) თხოვნა ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობის სახელზე (თხოვნაში აღნიშნული უნდა ყოფილიყო მოთხოვნის მისამართი); 2) მოწმობა განათლების შესახებ; 3) მეტრიკული მოწმობა (ვაჟთათვის). მსმენელთათვის კი საჭირო იყო მხოლოდ თხოვნა.

სწავლის ფასი სემესტრში (ნახევარი წლის განმავლობაში) სტუდენტებისა და მსმენელ-



თათვის ათი თუმანი, იმ მსმენელთათვის კი, რომლებსაც მხოლოდ ერთი ან ორი საგნის ლექციების მოსმენა სურდა, ხუთი თუმანი იყო გადასახადი. ფული ჩაწერისთანავე უნდა ყოფილიყო შეტანილი. ჩაწერა ხდებოდა იოსებ ყიფშიძესთან ქართული უნივერსიტეტის კანცელარიაში (ქართული გიმნაზიის შენობა) 12 საათიდან 2 საათამდე ყოველდღე, გარდა კვირისა და უქმეებისა. ამ ცნობას აქვეყნებდა ქართული უნივერსიტეტის გამგეობა, რომლის წევრებიც იყვნენ პეტრე მელიქიშვილი და ივანე ჯავახიშვილი.

**პროფესორთა და ლექტორთა შემადგენლობა 1918 წლის პირველ სემესტრში**

გაზეთ „საქართველოში“ 1918 წლის 25 იანვარს (7 თებერვალს) უნივერსიტეტის გამგეობას გამოქვეყნებული ჰქონდა იმ პროფესორთა და ლექტორთა სია, რომლებსაც უნდა წაეკითხათ ლექციები პირველ ქართულ უნივერსიტეტში 1918 წლის პირველ სემესტრში.

უნივერსიტეტის რექტორი: დამსახურებული პროფესორი პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი (ქიმიის დოქტორი).

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი: პროფესორი ივანე ჯავახიშვილი (ქართული ფილოლოგიის მაგისტროსი, პეტერბურგის უნივერსიტეტი).

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მდივანი: პროფესორი იოსებ ყიფშიძე (ქართული ფილოლოგიის მაგისტროსი, პეტერბურგის უნივერსიტეტი).

პროფესორი ანდრია ბენაშვილი (გეოდეზიისა და ვარსკვლავთმრიცხველობის პროფესორი პეტერბურგის ტექნოლოგიური უნივერსიტეტისა და სამხედრო-საინჟინრო აკადემიის).

პროფესორი კორნელი კეკელიძე (საეკლესიო ისტორია და მწერლობა. ღვთისმეტყველების მაგისტროსი).


პროფესორი დიმიტრი უზნაძე (ფსიქოლოგია და პედაგოგიკა. ფილოსოფიის დოქტორი ჰალეს უნივერსიტეტის).

პროფესორის მოადგილე ანდრია რაზმაძე (უმალღესი მათემატიკის მაგისტრანტი, მოსკოვის უნივერსიტეტის პრიატ-დოცენტი. ლექციებს იწყებდა 1918 წლის შემოდგომიდან).

პროფესორის მოადგილე სვიმონ ავალიანი (ისტორიის მაგისტრანტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პრიატ-დოცენტი).



აკაკი ხენკელი



პეტრე მელიქიშვილი

პროფესორის მოადგილე შალვა ნუცუბიძე (ფილოსოფიის მაგისტრანტი, პეტერბურგის უნივერსიტეტი).

პროფესორის მოადგილე გიორგი ახვლედიანი (საზოგადო და შედარებითი ინდო-ევრო-





ფანე  
ჯავახიშვილი  
სამუშაო  
მაგიდასთან

პული ენათმეცნიერება, ენათმეცნიერების მაგისტრანტი, ზარკოვის უნივერსიტეტი).

პროფესორის მოადგილე აკაკი შანიძე (ენათმეცნიერება, ქართული ფილოლოგიის მაგისტრანტი, პეტერბურგის უნივერსიტეტი).

მეცნიერთ ხელმძღვანელი ექვთიმე თაყაიშვილი (ქართულ სიძველეთა მეცნიერება, ანუ არქეოლოგია).

მეცნიერთ ხელმძღვანელი იუსტინე აბულაძე (სპარსული ენა), ლექტორი ელისაბედ ორბელიანი (ფრანგული ენა), ლექტორი არტურ ლაისტი (გერმანული ენა), ლექტორი ილია ყიფშიძე (გერმანული ენა), ლექტორი ვანდა ღამბაშიძისა (ინგლისური ენა).

**სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ლექციებისა და გვეგის შესახებ**

იმჟამად ტექნიკური და ქონებრივი დაბრკოლებების გამო (ლაბორატორიების, კაბინეტების მოუწყობლობისა და იარაღების შექენის შეუძლებლობა) უნივერსიტეტში მხოლოდ ჰუმანიტარული და სოციალური დარგების ლექციები უნდა ჩატარებულიყო. ამ დარგების ლექციების სიაც თანდათან შეივსებოდა და მხოლოდ მეოთხე წელს იქნებოდა სრული. ასევე სამომავლოდ იგეგმებოდა სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო დარგების დამატება. 1918 წლის პირველ სემესტრში იყო საგნები, რომელთა გავლა და ცოდნა ყველა დარგისთვის იყო საკლდეულო: 1) ლოგიკა; 2) ფსიქოლოგია; 3) ფილოსოფიის შესავალი;

4) საქართველოს ისტორია; 5) ერთ-ერთი თანამედროვე ენათაგანი. ცალკეული დარგების საგნების გვეგა კი განსაზღვრული იყო შემდეგნაირად:

**I საისტორიო დარგი**

ყველასთვის საკლდეულო საგნები:

1. ენათმეცნიერების შესავალი.
2. ქართული სამართლის ისტორია ან სამართლის თეორია.
3. პოლიტიკური ეკონომია.
4. საზოგადო და ქართული სიძველეთა მეცნიერება.
5. ძველი აღმოსავლეთის ისტორია.
6. მსოფლიო ისტორია.
7. მახლობელ აღმოსავლეთის ისტორია (არაბეთი, სპარსეთი და ოსმალეთი, სომხეთი).
8. მსოფლიოს და ქართული საეკლესიო ისტორია.
9. ისტორიის მეთოდოლოგია და ფილოსოფია.
10. მსოფლიო ან ქართული ხელოვნების ისტორია.
11. ძველი ქართული ენა და სპეციალობისდა მიხედვით: ან ასირიული, ან ბერძნულ-ლათინური, ან სომხური და არაბული და სპარსული, ან ლათინური და ერთი ვეროპულ ენათაგანი, ან ოსმალური და იტალიური. ამას გარდა, ვინც განსაკუთრებულ საგნად საქართველოს ისტორიას აირჩევს.



12. ქართველი ერის ისტორია (სპეცკურსი) და საქართველოს საისტორიო გეოგრაფია.

13. საქართველოს ეკონომიური ისტორია.

14. ქართული მწერლობის ისტორია (საზოგ. კურსი).

15. ქართული ეპიგრაფიკა, პალეოგრაფია, სფრაგისტიკა და ნუმისმატიკა.

## II ფილოსოფიის დარგი

ყველასთვის სავალდებულო საგნები:

1) ფილოსოფიის ისტორია: ძველი, საშუალო, აღმოსავლეთისა, ქართული და ახალი.

2) ენათმეცნიერების შესავალი.

3) უმაღლესი მათემატიკის ერთი საგანთაგანი.

4) ან საზოგადო ფიზიკა, ან საზოგადო ქიმიკა, ან მსოფლიო ისტორია.

5) ძველი ქართული და სპეციალობის მიხედვით ერთ-ერთი ენა: ან ბერძნული, ან ლათინური, ან არაბული, ან სანსკრიტი.

## III ფსიქოლოგიის დარგი

ყველასთვის სავალდებულო საგნები:

1) საექსპერიმენტო ფსიქოლოგია (თეორია და პრაქტიკული მუშაობა).

2) ფილოსოფიის ისტორია.

3) ენათმეცნიერების შესავალი.

4) საზოგადო ანატომია და ფიზიოლოგია, განსაკუთრებით ნერვების.

5) უმაღლესი მათემატიკის ერთი დარგთაგანი.

6) საზოგადო ფიზიკა და პრაქტიკული მუშაობა.

## IV ენათმეცნიერების დარგი

ყველასთვის სავალდებულო საგნები:

1) საზოგადო ენათმეცნიერება.

2) საექსპერიმენტო ფონეტიკა, ანუ ბგერათა მეცნიერება.

3) ყელ-ცხვირ-პირის ანატომია და ფიზიოლოგია.

4) ძველი ქართული.

5) საზოგადო შედარებითი ენათმეცნიერება (ინდოევროპული, ქართული, სემური და თურქული).

6) ერთ-ერთი კლასიკური ენა: ან ბერძნული, ან ლათინური და სანსკრიტი.

ბ) ქართული ენათმეცნიერება ზემოაღნიშნულ მე-6 მუხლში დასახელებულის გარდა.

7) ქართული მწერლობის საზოგადო ისტორია.

8) ქართული ენის ისტორიული გრამატიკა.



ექვთიმე თაყაიშვილი

9) ახალი ქართული და კილოკავები.

10) მეგრულ-ჭანური.

11) სვანური.

12) აფხაზური.

13) შედარებითი ქართ-მეგრულ-სვანური გრამატიკა.

14) არაბული ენა (მომავალში: ან ასურული, ან ებრაული) 4 სემესტრის განმავლობაში.

15) ან სომხური, ან სპარსული, ან თურქული (2 სემესტრის განმავლობაში).

## V სიტყვიერების დარგი

ყველასთვის სავალდებულო საგნები:

1) ენათმეცნიერების შესავალი და სინტაქსი.

2) სიტყვიერების თეორია.

3) ესთეტიკის ისტორია და თეორია.

4) ძველი ქართული ენა.

5) საზოგადო და ქართული საეკლესიო მწერლობის ისტორია.

6) ძველი ქართული მხატვრული მწერლობის ისტორია.

7) ახალი ქართული მხატვრული მწერლობის ისტორია.

8) ქართული ხალხური პოეზია (და კილოკავები ან მეგრულ-ჭანური, ან სვანური).

9) მსოფლიო მწერლობის ისტორია სპეციალობისდა მიხედვით: ან გერმანულ-რომაულის, ან ბერძნულ-ლათინურ-ბიზანტიურის, ან არაბულ-სპარსულის, ან სომხურის,



(მარცხნიდან) სიმონ ყაუხჩიშვილი, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე

ან სპარსულ-თურქულის, ან რუსულის.

10) სპეციალობისდა მიხედვით ენები: ან ბერძნულ-ლათინური, ან სომხური, ან გერმანულ-ფრანგული, ან ინგლისური, ან არაბული და სპარსული, ან თურქული, ან რუსული.

**VI საეკონომიო დარგი**

ყველასთვის სავალდებულო საგნები:

- 1) პოლიტიკური ეკონომია და სემინარი.
- 2) სტატისტიკა (თეორია და პრაქტიკული ვარჯიში).
- 3) საფინანსო მეცნიერება.
- 4) სახელმწიფო სამართალი.
- 5) სააღებმძიმემო სამართალი.

- 6) საერთაშორისო სამართალი.
- 7) სამოხელეო სამართალი.
- 8) საეკონომიო მოძღვრებათა ისტორია.
- 9) საქართველოს ეკონომიური ისტორია.
- 10) ქართული სამართლის ისტორია.
- 11) მიწათმფლობელობა საქართველოში.
- 12) ერთ-ერთი ან ვეროპული, ან აღმო-სავლური ენათაგანი.
- 13) ბუღალტერია (თეორია და პრაქტიკული ვარჯიში).

(გამოყენებული ლიტერატურა: გაზეთი „საქართველო“, 1918 წელი, №№16, 20, 21 და 23).

**პიპი პიპიპილი**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი





# საქართველო ევროპის მონარქთა სომარ გეგმეზუი

## ინგლისის სამეფო კანცელარიაში გამოვლენილი XVI საუკუნის დოკუმენტის ისტორია


„ისტორიანის“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ საქართველოს ხელოვნების სასახლის მეცნიერთა ჯგუფი უკვე ორი წელიწადია მუშაობს ირლანდიისა და ინგლისის ბიბლიოთეკებში დაცულ იმ საარქივო მასალებზე, რომლებიც საქართველოს შეეხება. პროექტის პირველი ეტაპის შედეგად შესწავლილია XVII-XVIII საუკუნეების ევროპულ გაზეთებსა და წიგნებში დაცული ცნობები საქართველოსა და მეფე ერეკლეს შესახებ. „ქართუ“ ფონდის მხარდაჭერით გამოიცა 200-გვერდიანი მონოგრაფია „მეფე ერეკლე ბრიტანულ და ირლანდიურ პრესაში“.

ამჯერად მიმდინარეობს ახალი საარქივო დოკუმენტების შესწავლა. კერძოდ, ეს გახლავთ დიდი ბრიტანეთის მონარქთა სახელმწიფო კანცელარიის დოკუმენტები, რომელიც მოიცავს ელისაბედ I-ის, ჰენრი VIII-ის, მერი ტიუდორისა და სხვათა მიმოწერას, საქმიან ქაღალდებს, დახვეწის გაგზავნილ ცნობებს, საერთაშორისო შეთანხმებებს და სხვ. სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია მადლობა გადავუხადო ხელოვნების სასახლის თანამშრომლებს მერი ხარაიშვილსა და თამარ თოლორდავას, რომლებიც ჩემთან ერთად ჩართული არიან ამ ურთულესი ტექსტების თარგმნაში, გაშიფვრასა და სათანადო კომენტირებაში. ინგლისის სამეფო კანცელარიის დოკუმენტები, რომლებშიც საქართველო მოიხსენება, სულ 20 ერთეულს მოიცავს და ძირითადად XVI საუკუნით თარიღდება. მათი უმეტესობა ელისაბედ I-ის მეფობის პერიოდს განეკუთვნება. სამეცნიერო მასალის შესწავლასთან ერთად, ხელოვნების სასახლე ეტაპობრივად ექსკლუზიურ მასალას სწორედ



საფრანგეთის მეფე ფრანსუა I (ზემოთ) და ინგლისის მეფე ჰენრი VIII (ქვემოთ)





ინგლისის მონარქ ჰენრი VIII-სა და საფრანგეთის მეფე ფრანსუა I-ს შორის ქალაქ კალეში გაფორმებული ანტიოსმალური შეთანხმების პროექტი

„ისტორიანის“ მკითხველს შესთავაზებს. ამ წერილში მოგიხრობთ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დოკუმენტის შესახებ. ის ჰენრი VIII-ის სამეფო კანცელარიაში ირიცხება, ანუ ამ პერიოდის ინგლისის სახელმწიფოს საგარეო და საშინაო საქმეების შემადგენელი დოკუმენტია. ტექსტი დაწერილია 1517 წელს, ლათინურ ენაზე და საგარაუდოდ წარმოადგენს 1532 წელს ინგლისის მონარქ ჰენრი VIII-სა და საფრანგეთის მეფე ფრანსუა I-ს შორის ქალაქ კალეში გაფორმებული ანტიოსმალური შეთანხმების პროექტს. დოკუმენტს, როგორც ჩანს, ინგლისის მონარქი პირადად გაეცნო და სწორედ ამიტომ არის იგი სამეფო კანცელარიის საქმეში დაცული. თავად შეთანხმების ორიგინალი, მისი უკეთილშობილესობა უილიამ ვაინის (1801-1880) საკუთრება, წარმოადგენს რაიმერის

დიდი ეროვნული კოლექციის ნაწილს. თომას რაიმერი (1643-1713) ინგლისელი ანტიკვარი და ისტორიკოსი იყო, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ისტორიული დოკუმენტების შესწავლის საქმეში. მან 16 ტომად გამოსცა ინგლისის თვითმპყრობელობასა და სხვა სახელმწიფოებს შორის გაფორმებული შეთანხმებები. რა თქმა უნდა, რაიმერისთვის ზემოაღნიშნული შეთანხმება და მისი აღწერაც ცნობილი იქნებოდა. თუმცა დოკუმენტის ტექსტი პირველად სრულად გამოაქვეყნა, მეცნიერულად შეისწავლა და სათანადო გამოკვლევა უძღვნა ჯოზეფ ბარტმა.

დოკუმენტი უაღრესად საინტერესოა ევროპისა თუ მსოფლიო დიპლომატიის ისტორიისთვის, თუმცა ჩვენთვის ის არის ღირებული, რომ ევროპის უდიდეს მონარქთა შეთანხმებაში საქართველოს სახელი ფიგურირებს. ეს ფაქტი კარგად მიუთითებს დასავლური სამყაროსთვის ჩვენი ქვეყნის მნიშვნელობაზე.

რატომ, რა გარემოებაში და რა მიზნების მისაღწევად შეიქმნა დოკუმენტი, — ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ, მანამდე კი მკითხველს ვთავაზობთ ჰენრი VIII-ის სამეფო კანცელარიაში დაცული შეთანხმების პროექტის ტექსტის თარგმანს:

**ექსპედიცია ოსმალების წინააღმდეგ**

ყველა ქრისტიან ხელისუფალს შორის უნდა დამყარდეს დროებითი ზავი 5 წლის ხანგრძლივობით. ორი არმია 60 ათასი კაცის შემადგენლობით და სრული აღჭურვილობით მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში იქნება. ერთისთვის სურსათ-სანოვანით მომარაგებისას გამოყენებული იქნება ხმელთაშუა ზღვა, მეორისთვის კი მდინარე დუნაი. ხარჯები ანაზღაურდება ქრისტიანთა მიწებიდან. ამ საქმეს მხარს დაუჭერს ევროპის ყველა ქრისტიანი პრინცი, რომელთა საერთო რაოდენობა ოცს შეადგენს და ექვსიც სამხედრო ორდენი. მათ უნდა ახლდეთ ორი ბერძენი დევნილი (აქ, საგარაუდოდ, სიტყვა exile (n) გამოყენებულია როგორც expulsion from country — αποπαιτή //εξορία ουσ θηλ. — გ. კ.), რაც გააადვილებს ხალხის ჩვენს მხარეს გადმოსვლას. ასევე იქნება ერთი წინასწარ დანიშნული უმაღლესი კაპიტანი პაპის ლევატთან ერთად.

ჩრდილოეთიდან ნავარაუდევია არმიის კონტინგენტს უხელმძღვანელებს კაპიტანი ლევატთან ერთად, რომელიც მას დაეხმ-



რება კიდევ. გაწეული ხარჯები ნაწილობრივ საბერძნეთში მიღებული ნაალაფართი ანაზღაურდება. შეიქმნება პუნქტები კომუნიკაციის მოსაწყობად. არმიები იმოდრაგებენ განსახლვრულ დროს მითითებული მარშ-რუტით. ყველა შეძენა და გარიგება უნდა განხორციელდეს კონფედერაციის სახელით; 5 წლის განმავლობაში დაუშვებელია კონფედერაციაში ახალი წევრის მიღება.

ანატოლია უნდა დარჩეთ სეფიანებს, თუ ისინი მოკავშირეები გახდებიან, საბერძნეთი კი ქრისტიანებს უნდა ერგოთ და თუ შესაძლებელია, ისინი აქ უპირატესნი უნდა გახდნენ. ქრისტიანთა მეშვეობით დაიწყო ურთიერთობა საქართველოს მეფესთან, ოსმალეთის დამხმარე ეგვიპტის სულთანს კი ხელის შეშლის მიზნით გაეგზავნოს შეტყობინება ინდოეთის გზით. ეს გზა ხელთ უპყრია პორტუგალიის მეფეს. ამასთანავე, ეცნობოს ექსპედიციის შესახებ პრესვიტერ იოანეს (Prester John), რომელსაც ეწოდება დე ლას ინდიას, და რომელიც არის ნუბიისა და ეთიოპიის მეფე. ის ქრისტიანობისადმი კეთილგანწყობილია და საქართველოს მეფესთან ერთად მონაწილეობდა ფლორენციის უკანასკნელ კრებაზე“.

რადგან ტექსტი ინგლისის მეფე ჰენრი VIII-სა და საფრანგეთის ხელმწიფე ფრანსუა I-ს შორის გაფორმებული შეთანხმების პროექტს წარმოადგენს, თანამიმდევრობით, პუნქტებად არის ჩამოთვლილი დასახული მიზნები. ჩანს, რომ ვეროპის უდიდესი სახელმწიფოების ლიდერები თუ ტექსტის შემდგენელი დიპლომატები საქართველოს მეფეს ჩაფიქრებული ქრისტიანული კონფედერაციის საჭირო და მნიშვნელოვან პარტნიორად მიიჩნევდნენ. სწორედ ამიტომ, შეთანხმების ტექსტში ერთ-ერთ ვალდებულებად ქრისტიანთა მეშვეობით საქართველოს მეფესთან ურთიერთობის დამყარება დაუსახავთ. რა თქმა უნდა, ეს ურთიერთობა საბოლოოდ ალიანსის ჩამოყალიბებას ან სამხედრო კავშირურთიერთობების გაღრმავებას ისახავდა მიზნად. ჩნდება კითხვა, რით იყო განპირობებული დასავლეთ ვეროპის ქვეყნების ინტერესი საქართველოს მეფისადმი XVI საუკუნეში?

ეს ის პერიოდია, როცა ოსმალეთის იმპერია სულეიმან I-ის მეთაურობით განუზომელ ძლევამოსილებას აღწევს. კერძოდ, 1521 წელს დუნაიზე ოსმალთა ჯარებმა დაიკავეს

შაბაცის ციხესიმაგრე და ალყა შემოარტყეს ბელგრადს. ქალაქი იმავე წელს დაეცა. 1522 წელს სულთანს დანებდა როდოსი, 1524 წელს ოსმალეთის ფლოტმა წითელ ზღვაში პორტუგალიელთა ძალები გაანადგურა. 1526 წელს სულეიმან კანუნმა 100 ათასკაციანი არმია უნგრეთის დასაპყრობად გაგზავნა. 29 აგვისტოს მოხაჩთან გამართულ ბრძოლაში უნგრეთის მეფე ლაიოშ II-ის არმია დამარცხდა, თავად მეფე კი გაქცევსას ჭაობში დაიხრჩო. დაიწყო ხანგრძლივი ომები ოსმალეთსა და ავსტრიას შორის. 1527-1528 წლებში სულეიმანის ძალებმა დაიკავეს ბოსნია და პერცეკოვინა, ოსმალთა უზენაესობა აღიარა ტრანსილვანიის მმართველმა იანოშ I-მა. 1529 წელს სულეიმანმა ალყა ვენას შემოარტყა, ოსმალთა ძალები ბუარიაშიც შეიჭრნენ. ერთი სიტყვით, ვეროპის ქრისტიანული სახელმწიფოების ლიდერებს ოსმალთა უზენაესი მმართველი შიშის ზარს სცემდა.

მძიმე ვითარება სუფევდა ამიერკავკასიაშიც. საქართველო სამეფო-სამთავროებად დაშლილიყო. მეფე-მთავრები უშედეგოდ ცდილობდნენ ქვეყნის გაერთიანებას, თუმცა თავგამოდებით იბრძოდნენ დამპყრობელთა

*ოსმალეთის სულთანი სულეიმან I*



წინააღმდეგ. 1514 წელს სეფიანების სპარსულ სახელმწიფოსა და ოსმალეთის იმპერიას შორის ომი დაიწყო. ომის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს დამორჩილება შეადგენდა. დიდი დაპირისპირების დროს ქართველი ხელისუფალნი საკუთარი პოზიციების დაცვას ცდილობდნენ და დამპყრობელთაგან იმის მხარეს იჭერდნენ, ვინც მოცემულ მომენტში მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო.

1515 წელს ოსმალეთის სულთანთან ბრძოლაში დამარცხებულმა სპარსეთის შაჰმა ისმაილ I-მა ანტიოსმალური კოალიცია შეკრა. მასში შევიდნენ ეგვიპტის სულთანი, ალბისტანისა და მარაშის მფლობელი ალა-ად-დოვლე და სამცხე-საათაბაგოს მთავარი ათაბაგი ყვარყვარე III (1515-1535). 1518 წლიდან კი აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები და სამცხის მთავარი სეფიანების სახელმწიფოს ვასალები გახდნენ. თუმცა ამგვარი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა. ქართველები ვასალური დამოკიდებულებისგან გათავისუფლებას ცდილობდნენ. 1521 წელს კახეთის მეფე ლევანმა (1518-1574) „გამოიღო თავი მორჩილების უღლიდან, გაითავისუფლა კისერი გამგონეობის საყელოდან“ (ჰასან რუმელუს ცნობებიდან საქართველოს შესახებ). ქართველთა მონაწილეობა ანტიოსმალურ კოალიციაში, საქართველოს მეფე-მთავრების ბრძოლა ხან სპარსელ, ხან კი ოსმალ დამპყრობლებთან, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ იმ პერიოდის დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ელჩებსა და მწვერავებს. ამიტომ ანტიოსმალური კოალიციის შექმნისა თუ ექსპედიციის მოწყობის შემთხვევაში, ჰენრი VIII-სა და ფრანსუა I-ს, მიზანშეწონილად მიუჩნევიათ დასავლეთ ევროპის ქრისტიან სახელმწიფოთა პარტნიორად საქართველოს მეფის მიჩნევა და მასთან კავშირურთიერთობის დამყარება ერთ-ერთ მთავარ ამოცანადაც დაუსახაოთ.

XVI საუკუნის I ნახევარში ანუ შეთანხმების ტექსტის შედგენის დროს, საქართველოს ერთიანი სახელმწიფო აღარ არსებობდა. იგი სამეფო-სამთავროებად იყო დაშლილი, ამიტომ საინტერესოა, ვინ იგულისხმება შეთანხმების ტექსტში ნახსენებ საქართველოს მეფედ. ცნობილია, რომ ამ პერიოდში ქვეყნის მთლიანობის აღდგენისთვის და აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოწინავე პოზი-



ციები ქართლის სამეფოს ეკავა. ქართლის მეფე დავით X-მ 1510 წელს მოახერხა და იმერეთის მიერ მიტაცებული ქალაქი გორი და ქართლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი დაიბრუნა, მანვე შეძლო კახეთის სამეფოს შემოერთება. 1524 წელს დავით X-მ, სეფიანთა შაჰ ისმაილ I-ის გარდაცვალების შემდეგ თბილისი აიღო და ქართლის საზღვრებში შემოსახლებული თურქმანები განდევნა. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება — დავითის მამას მეფე კონსტანტინე II-ს ევროპაში უკვე იცნობდნენ. ამ უკანასკნელმა 1492-1496 წლებში ზუცესი ნილოსი დესპანად გაუგზავნა ესპანეთის მეფე ფერდინანდსა და დედოფალ იზაბელას. ქართლის მეფემ ევროპელ მონარქებს ოსმალეთთან





ვენა ოსმალეთის არმიის ალყაში (1529 წ.)

ქართველო ორჯერ არის ნახსენები. პირველ შემთხვევაში დასახულია მიზანი, საქართველოსთან კავშირი დამყარდეს, მეორეჯერ კი ნათქვამია, რომ ნუბიისა და ეთიოპიის მეფე საქართველოს მონარქთან ერთად მონაწილეობდა ფლორენციის უკანასკნელ კრებაში. რომელ კრებაზეა საუბარი და სად მიიღო მონაწილეობა ქართველთა ხელმწიფემ?

შეთანხმების ტექსტში ნახსენები ფლორენციის უკანასკნელი კრება 1438 წლის 5 თებერვალს ფერარაში გახსნილი და ფლორენციაში გაგრძელებული „მსოფლიო“ საეკლესიო კრება უნდა იყოს. მაშინ აქ ერთმანეთს შეხვდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის — ლათინელებისა და ბერძნების წარმომადგენლები. ამ საეკლესიო კრებას თანაბარი უფლებით ესწრებოდა იბერიის მიტროპოლიტი. საყურადღებოა, რომ კრების ოქმში ქართველი სასულიერო მოღვაწე „იბერიის მეფის წარმომადგენლად“ მოიხსენიება. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, იგი მეფე ალექსანდრე დიდის წარგზავნილი ქართველი ეპისკოპოსი სოფრონია.

ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჰენრი VIII-ისა და ფრანსუა I-ის შეთანხმების ტექსტში ისტორიული სინამდვილე ნაწილობრივ ასახულია. როგორც ჩანს, ტექსტის შემდგენლებმა კარგად იცოდნენ, რომ ფერარა-ფლორენციის კრებას ქართველები მართლაც ესწრებოდნენ, ოღონდ გვიანი შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი უზუსტობა თუ ფაქტების აღრევა დოკუმენტში მაინც გაიპარა. სწორედ ამიტომ, კრების მონაწილედ არა ქართველთა მეფის წარგზავნილი ეპისკოპოსი, არამედ თავად მეფეა დასახელებული.

ყოველივე ზემოთქმული კარგად მიუთითებს საქართველოს ისტორიულ მისიასა და როლზე ქრისტიანული სამყაროს წინაშე. ქართველები, ისევე როგორც დღეს, ისტორიულადაც ყოველთვის მოიაზრებოდნენ დიდი ევროპული სახელმწიფოების მოკავშირეებად და აქედან გამომდინარე, დასავლური ცივილიზაციის ინტერესების დამცველებად კავკასიასა და აღმოსავლეთში.

**გიორგი კალანდია**

*პროფესორი, ხელოვნების სასახლის დირექტორი*

კოალიციური ომი შესთავაზა. მართალია, ამ ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ევროპის ხელისუფალთა წრეებში აშკარა შეიქნა ქართლის ანტიოსმალური პოზიციები. ამდენად, XVI საუკუნის I ნახევარში ქართლის სამეფოს აქტიურობა, ბრძოლა დამოუკიდებლობისა და ქვეყნის განმტკიცებისთვის, ასევე კონსტანტინე II-ის ელჩის ევროპაში ელჩობა უკვალოდ ვერ ჩაივლიდა. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ჰენრი VIII-სა და ფრანსუა I-ს შორის გაფორმებულ შეთანხმებაში ნახსენებ „საქართველოს მეფის“ ქვეშ ქართლის ხელისუფლება უნდა იგულისხმებოდეს.

მკითხველი ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ შეთანხმების ტექსტში სა-

# მზითვის ტრადიცია საქართველოში

მზითვი, მზითვეი (ზითვი, ზითვეი) ისტორიულად ის ქონებაა, რომელსაც ქალს მისი ოჯახი (მშობლები, ნათესავები) ატანდა გათხოვებისას ქმრის ოჯახში. შესაბამისად, მზითვის ტრადიცია საქართველოს ისტორიისა და ეთნოკულტურის განუყოფელი ნაწილია. მეტიც, მამის ოჯახიდან მზითვის წაღება, გამზითვება ხელს უწყობდა ქმრის ოჯახში ქალის ადგილის, როლისა და უფლებების სიმტკიცეს.

*დედოფალ დარეჯანის პორტრეტი. XVIII საუკუნის ბოლო. სამეფო კარის მხატვარი ნიკოლოზ აფხაზი*



„რა დროს დაწესდა საქართველოში ზითევი ან როდის შემოიღეს უძრავი საკუთრების ზითვად გატანება, ამის განსაზღვრა ზედმიწევნით ჯერ არ შეიძლება, მაგრამ ზითევი ტერმინად დაბადების თარგმანში გვხვდება“, — წერდა ივანე ჯავახიშვილი და ამით ხაზს უსვამდა მზითვის გამორჩეულ როლს საოჯახო ყოფასა და კულტურაში.

მზითვისა და გამზითვების ტრადიცია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების სრულ სურათს გვისახავს და ინტელექტუალური განვითარების ძირითად ტენდენციებზე მეტყველებს. პირველ ყოვლისა, მზითვის ტრადიციას ქართველი მეცნიერები განიხილავენ სამართლებრივ-საკუთრებრივი თვალსაზრისით — ქმრის ოჯახში ქალის საკუთარი ქონებით შესვლა და დამკვიდრება მის ავტორიტეტსა და როლს წარმოაჩენს და თავისებურ სიმტკიცესაც ანიჭებს.

მზითვის ტრადიცია ფრთხილად არის ნახსენები იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში“. შუშანიკს, სომეხი დიდებულის ასულს, რომელიც ქართველს გაჰყვა ცოლად, მზითვი არ ჰქონია, რამაც უნდა გვაფიქრებინოს, რომ V საუკუნეში საქართველოში მზითვის ინსტიტუტი ნაკლებად განვითარებული ყოფილა. თუმცა ამ პერიოდში დასტურდება მიწის ჩუქების ფაქტები ქალის ოჯახის მხრიდან, რაც გვაფიქრებინებს, რომ

საქართველოში უძრავ ქონებასაც აძლევდნენ ქალებს მზითვად. ცხადია, ეს ძირითადად ფეოდალებისა და წარჩინებულთა წრისთვის იქნებოდა დამახასიათებელი.

მზითვის თემასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ეპიზოდი ქრისტიანობისთვის წამებული წმინდანის, ქართლის ერისმთავარ არჩილ სტეფანოზის ძის (668[1]-718) ცხოვრებიდან. ჯუანშერის მატთანეში არჩილი მეფედ არის მოხსენიებული.

არაბებთან ბრძოლაში მძიმედ დაჭრილმა ქართლის ერისმთავარმა მირმა სიკვდილის წინ იხმო უმცროსი ძმა არჩილი, სამეფო გადააბარა და თავისი შვიდი ასულის მფარველობაც შესთხოვა: „მისცენ მათ (ერისთავებს. — ავტ.) ასულნი ჩემნი და განუყვენ მათ ქუეყანანი ქართლისანი“. მირი ანდერძისამებრ მცხეთის ზემო ეკლესიის შესავალ კართან დაკრძალეს. იქვე გადაასვენეს შფოთიანობის გამო ქუთაისში დროებით დაკრძალული მამაც, სტეფანოზ II ერისმთავარი. არჩილმა გონივრულად განჭვრიტა თავისი ძმისშვილებისა და ქვეყნის მომავალი, თან ძმის ასევე შორს გამიზნული ანდერძიც გაითვალისწინა და მისი ექვსი ასული ქართველ ერისთავებს მიათხოვა, მეშვიდე — გურანდუხტი კი აფხაზთა ერისთავ ლეონ I-ს გააყოლა. ამით საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ერთიანობას. შვიდივე ასულს შესაფერისი მზითვი



გაატანა როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ქონების სახით.

ქალთა გამზითვების ტრადიცია სათავეს VIII-X საუკუნეებიდან, ფეოდალური საქართველოდან იღებს.

საინტერესო მოსაზრებებს წარმოადგენენ ამ მხრივ ქართველი მკვლევრები. ვალერიან ითონიშვილი დასკვნებს ხვეის ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით გვაწვდის, ხოლო ნუნუ მაჩაბელი — ქართლსა და კახეთში მოძიებული ისტორიული წყაროების მიხედვით. მათ ნაშრომებში ვეცნობით მასალებს მამის ოჯახიდან ქალისთვის პირადი და საოჯახო მოხმარების ნივთებისა და სხვა სახის ქონების გატანების თაობაზე. სამხი-თვო ქონებაში ხაზგასმულია ფული, მამული, პირუტყვი, დუქნებიც კი.

VIII-IX საუკუნეების განვითარებულ ფეოდალურ სახელმწიფოში ვითარება იცვლება. მზარდი პროგრესი შეიმჩნევა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში.

ისტორიული ფაქტების მიხედვით, X-XI საუკუნეებში მზითვის ტრადიცია უკვე საკმაოდ გამყარებული და განვითარებულია. მზითვი ქალის საკუთრებად ითვლება. მზითვის სამართლებრივი ნორმები ქალს, როგორც ოჯახის სრულუფლებიან წევრს, თავისი სამართლებრივ-საკუთრებრივი უფლებით, მეტ თავდაჯერებულობასა და თავისებურ დამოუკიდებლობასაც კი ანიჭებდა. ჟამთაღმწერლის ცნობით, მეფე რუსუდანის ასულს თამარს მზითვად, მდიდრულ უძრავ ქონებასთან ერთად, აწყური დაუდგინეს.

მიწა, როგორც მზითვეი, დასტურდება დავით აღმაშენებლის მიერ სვანეთიდან დაწინაურებულ არიშიანთა გვარის წარმომადგენლებისადმი ბოძებულ წყალობის წიგნში (როგორც ცნობილია, არიშიანებმა თავი გამოიჩინეს ქვეყნისა და მეფისადმი თავდადებული სამსახურით).

შიომღვიმის მონასტრის 1260-1270 წლებით დათარიღებული სიგელიც ასევე ამოწმებს მზითვის არსებობასა და მის როლს ყოფით ურთიერთობებში.

ფშავ-ხევსურეთში მზითვის ტრადიციაზე ვაჟა-ფშაველაც საუბრობს თავის წერილებში. აქ ნათქვამია, რომ თუ ბარში ქალი უფრო მრავალფეროვნად, განსხვავებულად მზითვდებოდა, მთაში მას თავადვე უხდებოდა



ახალუხი.  
აბრეშუმში.  
XIX საუკუნე  
(ხელოვნების  
სასახლის  
კოლექცია)

საბანოე სუზანი (ჭრელი ქსოვილი, ტახტზე  
გადასაფარებელი). XVIII საუკუნის II ნახვარი





▲ ზარდახშა. ვენეციური მინა. XIX საუკუნე (ნატო ვანნაძის კოლექცია)

▼ საყურე სპარსული ყაიდის. XVIII საუკუნე

▼ სუფრის მოსართავი. XX საუკუნის დასაწყისი (ტელოუნების სასახლის კოლექცია)



საკუთარი მზითვის მომზადება ბავშვობიდანვე (ქსოვდნენ, ართავდნენ, ქარგავდნენ). გარდა ამისა, მთავი ქალებს მზითვად საქონელსაც ატანდნენ...

საინტერესოა, რომ ქალის გარდაცვალების შემთხვევაში მზითვი სამ ნაწილად იყოფოდა. ერთი ნაწილი გარდაცვლილის სულს ხმარდებოდა, მეორე — დარჩენილ შვილს (შვილებს), ხოლო მესამე ქალის ოჯახს უბრუნდებოდა.

საქართველოში მზითვის ტრადიცია უყურადღებოდ არ დარჩენიათ უცხოელ მოგზაურებსა და მისიონერებს.

ფრანგი იუველიერისა და მოგზაურის, ჟან შარდენის წიგნის („მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“) ერთი ნაწილი საქართველოს მოიცავს, სადაც მან 1672-1673 წლებში იმოგზაურა. შარდენმა არა მარტო ვრცლად აღწერა საკუთარი თვალთ ნანახი და განცდილი, ასევე ამოკრიფა ცნობები საქართველოს შესახებ ბერძენი, რომაელი და სპარსელი ისტორიკოსების, ევროპელი მოგზაურებისა და მისიონერთა წიგნებიდან თუ ჩანაწერებიდან. მათ ნაშრომებში შემონახულია ცნობები გამზითვების ტრადიციის როლისა და მისი მნიშვნელობის შესახებ საგანმანათლებლო და საერთოდ, წერა-კითხვის შესწავლის საქმეში — ქალი მამის ოჯახისგან საჩუქრდებოდა წიგნებით, როგორც საერო, ასევე სასულიერო ლიტერატურით.

იოსებ გრიშაშვილის „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემაში“ ვკითხულობთ მზითვში გასატანებელი წიგნების ფართო ჩამონათვალს: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ვახტანგ VI-ის ნათარგმნი არაბულ-სპარსული ზღაპრების კრებული „ქილილა და დამანა“, „სიტყვათა კონა“, თეიმურაზ I-ის „ვარდულებულიანი“, „შამიფარვანიანი“, „გაბაასება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, „ანბანთქება“, „მაჯამა“, ანტონ პირველის „ქართული დრამატიკა“ და სხვ.

რაც შეეხება მზითვის გადაცემის რიტუალებს, მზითვის მირთმევა ქორწილის დღეს ხდებოდა. ქორწილის დროს პატარძლის საჩუქარიც მზითვად მიიჩნეოდა და მთავარ მაყარს მიაბარებდნენ. სამეგრელოში მზითვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი იყო ლანჭა (კერიის ჯაჭვი), რომელიც ოჯახის, კერიის სიმბოლოს წარმოადგენდა. აჭარაში სამზითვო სკოფი გეზვდება ბრინ-



ჯაოს ხანის იარაღებთან, კერამიკულ ნაწარმსა და ხის ნაკეთობებთან ერთად. ამ სკოვრებზე საინტერესო მხატვრული ორნამენტია ჯვარი და სვასტიკა. სვასტიკას ქართველი მეცნიერები ჯვრის წინამორბედად მიიჩნევენ. სკოვრის ორნამენტულ სახეებში ასევე დიდი ადგილი უკავია სიცოცხლის ხის გამოსახულებას. ის წარმოდგენილია სამყაროს ცენტრად, რომელსაც ცის თაღი უჭირავს. მზითვის სკოვრები ძირითადად ქრისტიანული აჭარის პერიოდშია შექმნილი, ხოლო აჭარაში ისლამის შესვლის შემდეგ ემატება არაბული წარწერები.

უძველესი ისტორიული წყაროებიდან მოყოლებული, XVIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში გასათხოვარი ქალის მზითვის შესახებ ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის მკვლევარი სარა ბარნაველი ნაშრომში „ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი“. მეცნიერის დაკვირვებით, მზითვი, თავისი მნიშვნელობითა და დატვირთვით, მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელ ქალიშვილებზე ყოფილა გათვლილი.

ისტორიულ წყაროებში შემორჩენილ მზითვის ნუსხებში მრავალი კატეგორიის ნივთია ჩამოთვლილი — სამოსი, ქსოვილი, სამკაული, წიგნები, საეკლესიო ხასიათის ნივთები, ხატები, ჯვრები. ამ ნივთებზე აისახება მიმდინარე ისტორიული პროცესებიც. მაგალითად, XVIII საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს, როგორ იგრძნობოდა ქართველი ქალის სამკაულზე სპარსული გავლენა. ეს სპარსეთის საქართველოში ექსპანსიის შედეგია, რაც ქართულ კულტურაზეც აისახა და ქვეყნის ყოფაზეც.

ვახტანგ VI-ის ეპოქა და მისი ვაჟის, ვახუშტი ბატონიშვილის მოღვაწეობა, საქართველოში აღმავლობასა და ცივილიზაციის მიღწევებთან არის დაკავშირებული. თუმცა, ირანული და რუსული გავლენის შედეგად ძნელი იყო თავის დაღწევა ეკლექტიზმისგან, ანუ სხვადასხვაგვარი, ერთიმეორის საწინააღმდეგო მხატვრული თუ ლიტერატურული შეხედულებებისა და თეორიების უპრინციპო შეერთებისგან. შედეგად, ამ პერიოდში აშკარაა ქვეყანაში რუსული კულტურის დიდი გავლენა, რასაც ჩრდილოეთიდან ჩამოტანილი მრავალი უცხო ნივთი მოწმობს. ეს ნივთები ქართველი ქალის სამზითვოდაც გამოიყენებოდა.

მზითვში გასატან აუცილებელ ნივთთა შო-



ალექსანდრე არხილის ძე ბაგრატიონი (1674-1711). უცნობი მხატვარი

XVII საუკუნის ქსოვილის ფრაგმენტი. გადმოღებულია წალენჯიხის ტაძრიდან





**XVII**  
საუკუნის  
ქართული  
სამოსი  
რეჟისორმა  
მიხეილ  
ჭიაურელმა  
მხატვრულ  
ფილმ  
„გიორგი  
საკაძეში“  
(1943 წელი)  
გამოიყენა

რის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც ე.წ. საყდრის იარაღებს, რასაც, ძირითადად, ხატები და ჯვრები წარმოადგენდა, ასევე სასულიერო ხასიათის ლიტერატურას — ჟამნი, დავითნი, სახარება, სარწმუნოების წიგნი და სხვ.

ვახტანგ VI-ის დროს სტამბურად გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“ გამორჩეული ადგილი ეჭირა მზითვის ჩამონათვალში. ყურადსაღებია მზითვის ნუსხაში სათამაშოებად მოხსენიებული ჭადრაკი, განჯაფი (სათამაშო ქაღალდი), ნარდი, აქაც ბუნებრივად იკითხება სპარსული გავლენა.

გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში ქალის ინტელექტუალური განვითარება მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებს ეხმიანებოდა. ახალშექმნილ ოჯახში ქალი ერთგვარად საგანმანათლებლო მისიასაც კი ითავსებდა. რაც უფრო მდიდარი ლიტერატურა ხვდებოდა მზითვში, მის ოჯახსა და შთამომავლობასაც მეტი განათლების მიღების შესაძლებლობა უჩნდებოდა და შემდგომ თაობებსაც გადაეცემოდა.

ცალკე უნდა გამოიყოს მზითვის წიგნში სამკაული, რომელსაც თავისი ესთეტიკური დატვირთვით დიდი ყურადღება ეთმობოდა. სამკაულს შეადგენდა სხვადასხვა მოსართავი — თავის, თმის, პირისახის, ყურების, ხელების, მკერდის... სამკაულთა რიგს განაგრძობ-

და მრავალფეროვანი აქსესუარები, რომლებიც საკმაოდ მდიდრულად გამოიყურებოდა.

გარდა ამისა, ანუკა ბატონიშვილს მზითვად დიაკონიც გააყოლეს. მზითვის სრულსიას სწორედ „სამზითვო“ მსახურები ასრულებდნენ. მათ შორის იყო შათირი (შიკრიკი), თუშმალი (მხარეული), მოლარე, ფარეში, ზინდარი (ცხენის შემკავმველი). განსაკუთრებული „პოპულარობით“ სამზითვო მსახურთა შორის, როგორც ჩანს, მერიქიფე (სუფრაზე ღვინის მიმწოდებელი და დამსხმელი) სარგებლობდა. ანუკა ბატონიშვილისთვის მზითვად სამი მერიქიფე გაუყოლებიათ. მის მზითვის წიგნში თვალ-მარგალიტის სიმრავლეა (ზურმუხტი, ლალი, იაგუნდი, ფირუზი, მარგალიტი ამკობს სამზითვო სამკაულებსა და მოსართავებს).

იმხანად ქალები ქუდსაც ატარებდნენ, არსებობდა ქუდის რამდენიმე სახეობა. სპარსული ზეგავლენა იგრძნობოდა ყველა სამკაულსა და აქსესუარში, თუმცა ადგილობრივი საიუველირო საქმეც ვითარდებოდა. საქართველოში მრავალი საოქრომჭედლო იყო, სადაც უნიკალური ნიმუშები იქმნებოდა. აღმოსავლურ გავლენათა მიუხედავად, სამკაულთა მხატვრულ დამუშავებაში ქართული ხასიათი იგრძნობა.

ძველ საქართველოში ტანისამოსის აღწერილობა გვიჩვენებს, რომ ქსოვილები,



რომელსაც ტანისამოსის შესაკერად იყენებდნენ, მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. კაბები მორთული იყო ღილებით. ღილების გარდა, სამოსს რთავდნენ არშიებით, ქათიბის ოქროს დუგებით. აუცილებელი ატრიბუტი იყო ე.წ. ხელისაზოცები ანუ ცხვირსაზოცი, რაც ზედმიწევნით ევროპული გავლენის მატარებელია.


უან შარდენი ხაზგასმით მიუთითებდა საქართველოში ქსოვილის მრავალფეროვან სახეობებზე. მოქმედებდა სამღებროები, რომლებშიც ბუნებრივი საღებავებით იღებებოდა ქსოვილი. ეს ქართველებს სპარსელებისგან ჰქონდათ გადმოღებული. სამღებროები განსაკუთრებით მრავლად ყოფილა კახეთსა და ქიზიყში. აქ მთავარი იყო ფერების გამოყვანა, რომელიც, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ძვირფასი თვლების ელფერს ატარებდა.

ტანსაცმელი შესატყვის ფეხსაცმელსა და ფეხსამოსს მოითხოვდა. ქალის მზითვში ბევრი ფეხსაცმელი შეძლებულ წარმომავლობაზე მეტყველებდა. ფეხსაცმელი ფორმით იყო შემკული, ტანისამოსისა და ფეხსაცმლის შესანახად იყენებდნენ ბოხჩებს.

სამოსის სტილისტიკაში სპარსული გავლენა აშკარა იყო, დაწყებული ბეწვის გამოყენებიდან, ბოლოწაწვეტებული დაბალი ქუდებით დასრულებული. ფერთა გამა, ორნამენტი, მოჩითულობა, სიჭრელე ამ გავლენაზე აშკარად მეტყველებს. იტალიელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე კასტელი ხაზგასმით აღნიშნავდა: „შეხედეთ ქართველი ქალების სადა ჩაცმულობას, ჩვენი ქალების შესარცხვენად“. XVIII საუკუნიდან ფართოდ ვრცელდება აბრეშუმი. გერმანელი მოგზაური და მეცნიერი იოჰან ანტონ გიულდენშტედტი აღწერს, რომ კახეთში XVIII საუკუნეში ყოველ ოჯახს 2-4 ფუთი აბრეშუმის პარკი მოჰყავდაო.

XVII საუკუნის ქართული სამოსი ესთეტიკურად იმდენად სრულფასოვანი და მიმზიდველი იყო, რომ შემდგომში ის რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა მხატვრულ ფილმ „გიორგი სააკაძეში“ (1943 წელი) გამოიყენა.

XVIII საუკუნიდან ქართულ სამოსში მეტი სისადავე, დარბაისილობა, ევროპული თავდაჭერილობა შემოდის. ამაზე აშკარად მეტყველებს ამ პერიოდის ქართული ნამუშევრები, როგორიცაა ნიკოლოზ აფხაზის მიერ



1712 წლის „ვეფხისტყაოსნის“ სატიტულო ფურცელი

რაჭის ფეოდალთა ქსოვილის ფრაგმენტი. აღდგენილი ნიკორწმინდის ფრესკიდან. XVIII საუკუნის მეორე ნახევარი



სააბანოე სუზანი, XVIII საუკუნის II ნახევარი







▲ გარსევან ჭავჭავაძის პორტრეტი. XVIII საუკუნის ბოლო. სამეფო კარის მხატვარი ნიკოლოზ აფხაზი

▼ ელენე ჩერქეზიშვილის გულისპირი და ვერცხლის ქამარი

▼ ლურჯი სუფრის დეტალი (ხლოვნების სასახლის კოლექცია)



შესრულებული გარსევან ჭავჭავაძის, დარეჯან დედოფლის პორტრეტები. ამ უკანასკნელის საერთო მხატვრული გადაწყვეტისას თვალში საცემია ეკლექტიზმი — სამოსი, აზიურთან ერთად, ევროპულ ელემენტებსაც შეიცავს.

მზითვის ნუსხებში გათვალისწინებულია პრაქტიკული ნივთებიც: ბუნრის იარაღები, საწოლის მოფენილობა, ფარდები, სკივრები, ქვეშაგები, რაც ბალიშს, ზეწარს, საბანსა და გადასაფარებელს გულისხმობდა. ეს უკანასკნელი ქართულ რეალობასა და მზითვის დღემდე შემორჩა.

მზითვის წიგნებში საზგასმულია სუფრის იარაღი ანუ ჭურჭელი, რაც საეხებით ბუნებრივია და ქართული სუფრის ტრადიციიდან მომდინარეობს. ჩამონათვალი მრავალრიცხოვანია, სუფრიდან იახტანამდე (ჭურჭლის ჩასაწყობი ხურჯინი), ნახსენებია სამარილე, კულა, ჩამჩა, კოვზი, აზარფეშა, სურა, თასი, ფილა, სირჩა, თოფში, ჯამი და სხვ. ესეც მეტყველებს, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ძველ საქართველოში ღვინის კულტურასა და, შესაბამისად, ღვინის ჭურჭელს.

დიდგვარიან ქალებს ცხენით მოგზაურობისთვის საგანგებო ტანსაცმელს უკერავდნენ. ძვირფასი იყო მათი უნაგირები. განსაკუთრებით, ჯვრისწერის შემდგომ, ქალი საგულდაგულოდ შეკერილი ტყავაკბით, ჩექმითა თუ საწვიმრით მოკანშიული უნდა გამგზავრებულიყო ქმრის ოჯახში.

მზითვის წიგნი, ფაქტობრივად, იურიდიული საბუთი იყო, რომელიც დღევანდელი მნიშვნელობით ქონებრივ დეკლარაციას წარმოადგენდა, აგრეთვე ეს გახლდათ მემკვიდრეობა, რომელიც გათხოვებისას ქალს ქმრის ოჯახში მიჰყვებოდა.

მზითვი, ქართული საქორწინო ტრადიციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი, საუკუნეთა განმავლობაში ვითარდებოდა და იცვლებოდა. ამას განაპირობებდა როგორც მემზობელ ქვეყნებსა და ხალხებთან ურთიერთობა, ისე ბუნებრივი განვითარება. დღემდე შემორჩენილი მზითვის წიგნები საქართველოში ყოფისა და კულტურის მაღალ დონეზე მეტყველებს, იმ როლზე, რაც ქართველი ხალხის ცხოვრებაში ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს უკავია.

**ირინე საბანელიძე**

**თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი**



# მეგზური სიკეთის სამყაროში



პარიზის ბიბლიოთეკა მოგარდთათვის

## წიგნი 1 „სასწაულებრივი სათვალე“



22 თებერვლიდან  
ჟურნალ  
„პარიზესთან“ ერთად



შვილებთან ერთად წასაკითხი წიგნები - სიკეთის, კანთომყვარებობის, მიმბეზვებლობის მაგალითები მხატვრული ლიტერატურიდან და რეალური ბიოგრაფიებიდან.

სერიის შემდეგი წიგნები:  
„პირველი ნაბიჯი ქრისტიანობაში“  
„უფლის ანგელოზები“



იკითხეთ წიგნის მაღაზიებში და პრესის გავრცელების წერტილებში,  
ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673;  
0(32)2382674 და [www.elva.ge](http://www.elva.ge) თქვენთვის სასურველ ადგილზე მოგართმევთ.

# „გადაწყვიტეთ ისა, როგორც პარტია ბიკარნახეთ“

## ბოჩის სამხანავებლო ინსტიტუტის დანახება და მისი ჰიხვიდი დიხაუბოჩის ხიხბიხიდი ალსახიხი

გორი, როგორც მძლავრი საგანმანათლებლო კერა, ჯერ კიდევ ფეოდალურ საქართველოში იყო ცნობილი. XIX საუკუნეში იგი მნიშვნელოვან სამაზრო ცენტრად გადაიქცა და ხელისუფლება იძულებული გახდა, შესაბამის კადრებზე ეფიქრა. 1817 წლის 16 მაისს საზეიმოდ გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი, რომელმაც 1917 წლამდე იარსება. რუსურსი საჭირო იყო სამოქალაქო სექტორშიც. ამ მიზნით, 1876 წლის 1 სექტემბერს გორში დაარსდა სამასწავლებლო სემინარია, რომელიც მთელ კავკასიას უნდა მომსახურებოდა.

მთავრობის საგანგებო ინსტრუქციაში მითითებული იყო, რომ „სემინარიის მასწავლებელნი უნდა იყვნენ რუსები დაბადებით, აღზრდილთა და რწმენით, რათა მათ აღზარდონ სემინარიის მოსწავლეები რუსეთისადმი ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობით“. თუმცა, ხელისუფლებამ ვერც აქ მიაღწია მიზანს, რადგან სწორედ ამ სასწავლებელში მოღვაწეობდნენ საგანმანათლებლო დარგის ცნობილი მოღვაწენი: დიმიტრი სემიონოვი, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, არისტო ქუთათელაძე, მიხეილ ყიფიანი; სემინარიის კედლებში აღიზარდნენ: ვაჟა-ფშაველა, ნიკო და თედო რაზიკაშვილები, ნიკო ჯანაშია და სხვები.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ხელისუფლება კვლავ დილემის წინაშე დადგა. ამჯერად მას ისეთი კადრი სჭირდებოდა, რომელიც სოციალიზმის ერთგული და მისი იდეოლოგიის გამტარებელი იქნებოდა. 1922



გორის სამასწავლებლო ინსტიტუტის I (ზემოთ) და II (ქვემოთ) კორპუსები. XX საუკუნის 50-იანი წლები





წელს გორში დაფუძნდა პედაგოგიური ტექნიკუმი (ორწლიანი სწავლებით), რომელიც გახდა ფაქტობრივი სამართალმემკვიდრე გორის სამასწავლებლო სემინარიისა (ჩანს, სემინარიის ცნება საბჭოთა იდეოლოგიას ვერ ერგებოდა).

30-იანი წლების მეორე ნახევრის დასაწყისისთვის „ინდუსტრიალიზაცია“-„კოლექტივიზაციის“ ძირითადი სიძნელეები საბჭოთა სახელმწიფომ დაძლია, „ქოხსამკითხველოებმა“ თავისი ამოცანა შეასრულეს და წერა-კითხვის უცოდინარობა ძირითადად აღმოიფხვრა. ამიტომ, ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლებისთვის საკმარისი აღარ იყო ტექნიკუმდამთავრებული კადრის მომზადების დონე.

მასწავლებელთა ახალი რესურსის დაჩქარებულად მოსამზადებლად, ერთიმეორის მიყოლებით დაიწყო უმაღლესი სასწავლებლების გახსნა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (თბილისს გარდა, 1930 წელს უმაღლესი სასწავლებელი დაარსდა ქუთაისში, 1932 წელს — ცხინვალსა და სოხუმში, 1935 წელს — ბათუმში).

ტემში იმდენად სწრაფი იყო, რომ 1939 წლისთვის საქართველო უკვე პირველ ადგილზე იყო საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ სულ მოსახლეზე განათლების დონის მაჩვენებლით. ამ წლისთვის ყოველ 1000 კაცზე აქ უკვე მოდიოდა 113,4 ადამიანი საშუალო განათლებითა და 11,2 — უმაღლესით.

ბუნებრივია, უმაღლესი განათლების კერის გარეშე ვერც გორი დარჩებოდა, რადგან მას შიდა ქართლის და მესხეთ-ჯავახეთის პედაგოგიური კადრები უნდა მოეშადებინა.

გადაწყდა, მოქმედი პედაგოგიური ტექნიკუმის ბაზაზე 1935 წლისთვის გახსნილიყო ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი.

პირველი კორპუსის აშენება დაიწყო 1935 წლის ივნისში, იმდროინდელი ლავრენტი ბერიას ქუჩა №27-ში, არქიტექტორების — მიხაილ ნეპრინცევისა და ნატალია ფარემუხოვას ხელმძღვანელობით. გვერდის მიხედვით, შენობის საერთო მოცულობა 32 ათას კუბურ მეტრს შეადგენდა და 119 ოთახისგან შედგებოდა. მშენებლობის ბიუჯეტი 1,8 მილიონი მანეთი იყო. 1935 წლისთვის უნდა შესრულებულიყო 282 ათასი მანეთის სამუშაოები, მაგრამ 1-ლი სექტემბრისთვის მხოლოდ 169.200 მანეთი იყო გახარჯული. აღმასკომის დადგენილების თა-

ნახმად, შეუსრულებლობის მიზეზი კრედიტების დროულად მიუწოდებლობა იყო. შენობის სრულად დამთავრება გათვალისწინებული იყო 1936-1937 სასწავლო წლისთვის.

1935 წლის 1-ლ აგვისტოს ინსტიტუტის პირველ დირექტორად დაინიშნა 33 წლის დოცენტი გაბრიელ (გაბო) თათარაშვილი. ასაკის მიუხედავად, მას უკვე ჰქონდა პედაგოგიური სტაჟი. იყო თბილისისა და მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტების კურსდამთავრებული. მუშაობდა სოფლების მეჯვრისხვეისა და ზემო ხვედურეთის სკოლებში პედაგოგად და გამგედ. 1933 წლიდან იყო გორის სამასწავლებლო ტექნიკუმის დირექტორი, ხოლო 1934 წლიდან — გორის განათლების რაიონული განყოფილების გამგე. ჰყავდა პედაგოგი მეუღლე ქეთევან კასრაძე, რომელიც დედის მხრიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის შთამომავალი იყო.

გორის სამასწავლებლო ინსტიტუტში თავიდანვე სოლიდურმა სამეცნიერო პერსონალმა მოიყარა თავი. გახსნის პირველი წლებიდან და მოგვიანებით აქ ლექციებს კითხულობდნენ უკვე საქვეყნოდ აღიარებული სწავლულები: ალექსანდრე ბარამიძე (ძველი ქართული ლიტერატურა), არნოლდ ჩიქობავა (ენათმეცნიერება), ვარლამ თოფურია (ენათმეცნიერება), ვლადიმერ გუგუშვილი (ქართული ენის მეთოდოლოგია), სარგის კაკაბაძე (ისტორია), სერგი მაკალათია (საქართველოს ისტორია),

*გორის სამასწავლებლო ინსტიტუტის პირველი დირექტორი 1936-1937 წლებში გაბრიელ (გაბო) თათარაშვილი*



გვიე ჟორდანია (შუა საუკუნეების ისტორია), ალექსანდრე მოსიავა (ფსიქოლოგია), იპოლიტე ვართაგავა (რუსული), ოთარ ჯინორია (ევროპის ისტორია), მაქსიმე ბერძნიშვილი, ალექსანდრე ფირცხალაიშვილი და სხვები.


ინსტიტუტში სამი ფაკულტეტი (განყოფილება) დაარსდა: ისტორიული (ემსახურებოდა 30 სტუდენტს), ენისა და ლიტერატურის (27 სტუდენტს), ფიზიკა-მათემატიკის (23 სტუდენტს). 1936 წლის 21 ნოემბრის ბრძანებით, ფაკულტეტების დეკანები (განყოფილების გამგეები) გახდნენ: ისტორიის — გ. თათარაშვილი, ენისა და ლიტერატურის — ნ. ცხაკაია და ფიზიკა-მათემატიკის — გ. ნამიჩიშვილი. მოქმედებდა ოთხი კათედრა: 1) ქართული ენის, ლიტერატურისა და რუსული ენის (ხელმძღვანელი არაროდ ჩიქობავა); 2) მათემატიკისა და ფიზიკის (ხელმძღვანელი ალ. დევიძე); 3) ისტორიის (ხელმძღვანელი გ. თათარაშვილი) და 4) დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ფსიქოლოგიის (ხელმძღვანელი ნ. ცხაკაია). გაიცემოდა ორი სახის სტიპენდია: 100 და 90 მანეთის ოდენობით.

პირველივე ჩარიცხვაზე ინსტიტუტმა სამივე ფაკულტეტზე (განყოფილებაზე) 80 სტუდენტი მიიღო.

სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზების მიზნით, დეკანები ვალდებული იყვნენ, მეცადინეობის დაწყებამდე 20 წუთით ადრე გამოცხადებულიყვნენ და სტუდენტებისთვის სათანადო პირობები შეექმნათ (აუდიტორია, სამოსწავლო ოთახი, ცარცი, რეჟიმი და სხვ.).

ინსტიტუტი მალევე ჩაება, როგორც მაშინ იტყობდნენ, სოციალისტური ქვეყნის მშენებლობის ფერხულში. საზეიმო ვითარებაში მოეწყო შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100, ალექსანდრე პუშკინის გარდაცვალებიდან 100, ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან 10 წლისთავებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. 1940 წლის 6 დეკემბერს ისტორიის მეცნიერებათა კაბინეტსა და სტუდენტთა სამეცნიერო წრეს ახალგარდაცვლილი აკადემიკოსის — ივანე ჯავახიშვილის სახელი ეწოდა.

წრეებში მუშაობის გარდა, ინსტიტუტში ჩამოყალიბებული იყო სასულე ორკესტრი, მომღერალთა გუნდი, ცეკვის წრე. მოქმედებდა კვების სისტემა 100 კაცზე სახელმწიფოს დადგენილი ფასებით, ამავე კორპუსში მოქმედებდა 60 კაცზე საცხოვრებელიც. საცხოვრებელი



ოთახების კონკურსში გამარჯვებისთვის, ისტორიული ფაკულტეტის სტუდენტთა საცხოვრებელი ოთახის მამასახლისი 100 მანეთით დაუჯილდოებიათ — „თეატრსა და კინოში სტუდენტების კოლექტიური დასწრებისთვის“.

ცხადია, ქვეყნის ახლო წარსულში მომხდარი კატაკლიზმები ინსტიტუტის ცხოვრებას გვერდს ვერ აუვლიდა, პოლიტიკური ელფერი სდევდა და სშირად აბსურდამდე მიდიოდა. მაგალითად, თანამშრომელთა სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი შეიძლება ყოფილიყო „დოჟლაპიობა“.

ინსტიტუტს, მეათე რაიონულ პარტიულ კონფერენციასთან დაკავშირებით აღებულ „ვალდებულებების გასანადგებლად“, მოუწვევია აირწინალებით ლაშქრობა გორი-კარაღეთის მიმართულებით და სასულე ორკესტრის თანხლებით, რომელშიც 250 კაცი მონაწილეობდა. ოქტომბრის რევოლუციის 18 წლის აღსანიშნავად ლენინის ქუჩაზე და-





გორის სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტების ექსკურსია უფლისციხეში. ცენტრში — სერგი მაკალათია (1937 წ.)


გვემოდ სამხედრო აღლუმში მონაწილეობდა სტუდენტთა ასეული და ა.შ.

ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვან პრობლემად ქცეულა ის ფაქტი, რომ „სტუდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ საგსებით არ იცოდა რუსული ენა, რაც ჰქმნიდა დიდ დაბრკოლებებს სტუდენტთა აკადემიური დონის ამაღლების საქმეში“. პრობლემის აღმოსაფხვრელად ინსტიტუტში ყალიბდებოდა რუსული ენის შემსწავლელი წრეები, რომლებიც სავალდებულო იყო ყველა სტუდენტისთვის.

1937 წლის 21 სექტემბერს ინსტიტუტის სამ სტუდენტს დირექტორის ბრძანებით საყვედური გამოეცხადა მხოლოდ იმის გამო, რომ „დილით მწყობრ მეცადინეობაზე არ გამოცხადდნენ“. ბრძანების მეორე პუნქტით ჯგუფების მამასახლისებს ვვალდებოდათ, ბრძანება დაეყვანათ თითოეულ სტუდენტამდე და განემარტათ ჯგუფებისთვის, რომ „სამწყობრო სადღესასწაულო სამზადისზე გამოუ-

ცხადებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ სასჯელს ინსტიტუტიდან გარიცხვამდე“. მსგავსი შინაარსის არის 1936 წლის 26 აპრილით დათარიღებული ბრძანებაც, რომელშიც ნათქვამია: „სტუდენტებისადმი, რომლებიც თავს აარიდებენ საპირველმართო სამზადისს, გატარდება სასტიკი ზომები ინსტიტუტიდან გარიცხვამდე“. 1939 წლის 10 ოქტომბრის №298 ბრძანებაში ვკითხულობთ: „შემჩნეულია, რომ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში მცხოვრები სტუდენტები არღვევენ შინაგანაწესს, როგორცაა დილით გვიან ადგომა და საღამოს ადრე დაწოლა. ვაფრთხილებ სტუდენტებს, ვინც არ დაიცავს წესიერად შინაგანაწესს, გამოსახლებული იქნება საერთო საცხოვრებლიდან და არ მიიღება არაერთი პრეტენზია“. ცოტა ადრე, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტს მ. ბ.-ს სასტიკ საყვედურს უცხადებენ „ლექტორთან ნიშანზე შეკამათებისთვის“. ისტორიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი გ. შ. ინსტიტუტიდან ირიცხება „მოგების მიზნით ფართლელის გაყიდვის გამო“ და სხვა, თუმცა, ინსტიტუტიდან გარიცხვის მოტივი უმთავრესად მაინც პოლიტიკურია.

1936 წლის 26 ოქტომბერს მათემატიკის სპეციალობის სტუდენტი მ. ხ. ინსტიტუტიდან ირიცხება, როგორც „შავრანზელი“, რადგან მან „შეცდომაში შეიყვანა ინსტიტუტის მიმღები კომისია ყალბი ხმის უფლების მოწმობის წარდგენით, თითქოს იგი იმყოფებოდა ბიძის კმაყოფაზე, სინამდვილეში კი ჰყავდა მშობლები (მამა გადასახლებული), რომლებიც ხმაჩამორთმეული და უფლებააყრილი იყვნენ“. 1937 წლის 9 სექტემბერს ინსტიტუტის მეორე კურსის ისტორიული განყოფილების სტუდენტი ვ. ბ. ირიცხება სტუდენტთა საერთო საცხოვრებლიდან და გამოეცხადა სასტიკი საყვედური „საერთო საცხოვრებლის ოთახებში სტუდენტების გადაჯგუფებასთან დაკავშირებული ბრძანების დაუმორჩილებლობასა და უპასუხისმგებლო ლაყბობისთვის“. ამავე წელს ინსტიტუტიდან ოთხი სტუდენტი ირიცხება „კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული ლაყბობისთვის ხელის შეწყობის, მათთან მეგობრობისა და მოლაყბების დაფარვისთვის“.



გაბრიელ  
თათარაშვილის მიერ  
გორის რაიკომის  
მდივნის, დავით  
ფანცულაიასადმი  
მიწერილი  
წერილი თავისი  
უდანაშაულობის  
შესახებ

ყველაზე დიდი რეზონანსი მაინც 1937 წლის აგვისტოში ინსტიტუტის პირველი დირექტორის გაბრიელ (გაბო) თათარაშვილის პოლიტიკური ნიშნით დაკავებას ჰქონდა. დაპატიმრების ზუსტი თარიღის დადგენა ინსტიტუტის ბრძანებების წიგნში გაკეთებულ ხელმოწერებზე დაკვირვებით ხდება შესაძლებელი. 18 აგვისტოდან 1-ლ სექტემბრამდე (№90-96) ბრძანებებზე თათარაშვილის ნაცვლად აღექვანდრე მოსიავას ხელმოწერებია. ამასთან, 18 აგვისტოს ბრძანებაზე მოსიავას, როგორც მ/შემსრულებელს (ხაზის ჩამოსმით) აქვს ხელი მიწერილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ გაბრიელ თათარაშვილი წინა დღეს უნდა

დაეპატიმრებინათ. 7 სექტემბერს ინსტიტუტის დირექტორად უკვე როსტომ შადური ჩანს დანიშნული. გაბო თათარაშვილის დაპატიმრების მიზეზად ინსტიტუტის შენობის პროექტირებისას დაშვებული შეცდომები და მშენებლობის ტექნიკური დასახელება, თუმცა, დაპატიმრების ნამდვილ მიზეზს ყველაზე ნათლად მის მიერ გორის რაიკომის მდივნის, დავით ფანცულაიასადმი დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე საიდუმლოდ მიწერილი რვაგვერდიანი წერილიდან გაეცემა პასუხი (სტილი დაცულია. — ი. ა.): „პარტიის წევრთა შემოწმების დროს ჩემ



შესახებ შემოსულია განცხადება, ვითომცდა მე ვირიცხებოდი ფედერალისტების პარტიაში გასაბჭოებამდე. ნამდვილათ კი ეს განცხადება სიმართლეს არ შეეფერება თუნდაც იმის გამო რომ წლოვანების მიხედვით (16-17 წლისა) არ შეიძლება ვყოფილიყავი პარტიაში. ამ ხნის ახალგაზრდები შედიოდნენ ფედერალისტურ ახალგაზრდობის ორგანიზაციაში.

...1919 წელს, ჩემი სემინარიაში ყოფნის დროს მე მართლაც დავიარებოდი (როგორც მახსოვს 5-6-ჯერ ვიყავი) ფედერალისტების ბიბლიოთეკა-სამკითხველოში, სადაც ყველა დაიარებოდა, როგორც პარტიულები, ახალგაზრდები, ისე ისეთი ხალხიც, რომლებიც არ იყვნენ ფედერალისტების პარტიაში ან ახალგაზრდათა ორგანიზაციაში და, რა თქმა უნდა, ფედერალისტების სამკითხველოს ერთ-ერთი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, მიეზიდა ხალხი და შემდგომ ჩაება მუშაობაში. ასევე სამკითხველოები ქონდათ ნაც. დემოკრ. და ბოლოს ბოლშევიკებთან. მე დავიარებოდი აგრეთვე ამ სამკითხველოებში, თუმცა ერთ-ჯერ ვიყავი იმის გამო რომ ფედერალისტების სამკითხველო უფრო მდიდარი იყო და ჩემ ამხანაგებს უფრო იქ ვზვდებოდი. უნდა განვაცხადო, რომ ამ დროისათვის არავითარი პოლიტიკური შეგნება მე არ მქონია.

...უნდა განვაცხადო გულწრფელობით, რომ მე არამცთუ პარტიაში ვიყავი, არამედ ფედერალისტურ ახალგაზრდობის რიგებშიც კი არ ვირიცხებოდი. უფრო მეტიც — არც ერთ ახალგაზრდობის კრებას მე არ დავსწრებივარ. არც ერთი დავალება მე არ მქონია და ცხადია არც შემისრულებია. იმ ამბავის მიზეზთაგანი რომ მე არ ჩავები ორგანიზაციაში უნდა ვეძებოთ არა მარტო ჩემს ინერტულობაში და პოლიტიკურ უვიცობაში, აგრეთვე ჩემი მშობლების ღონისძიებებში, რომლებიც სახლიდან ფეხს არ მადგმევინებდნენ და სამკითხველოებშიც ჩემად ვიპარებოდი ხოლმე.

...სკოლის შემდეგ მე ვმუშაობდი მეურნეობაში, რადგან ამ პერიოდისთვის ძალზე გაჭირვებულები ვიყავით მამის ხანგრძლივი აუადმყოფობის გამო.


...1923 წელს მასწავლებლად გამაგზავნეს, რამაც გამიხსნა ხელ-ფეხი ჩავბმულიყავი საზოგადოებრივ მუშაობაში და დამეწყო პოლიტიკური მომზადება. პარტიაში შესვლაზე თავს ვიკავებდი იმის გამო, რომ პოლიტმომზადება არ მქონდა და ისედაც სუსტი აგებულებისა ვიყავი.

...1925 წელს პირველად შევიტანე განცხადება ქარელში და მაშინვე მიმიღეს (იგულისხმება კომუნისტური პარტიის წევრობა — ი. ა.), ხოლო მაზრკომმა დამამტკიცა 1928 წელს, ე.ი. იმის შემდეგ, როდესაც მე დამაწინაურეს (ჯერ კიდევ უპარტიო) გორის მაზრის განათლების კავშირის თ-რეთ.

1921 წელს მე ისევ სემინარიაში ვსწავლობდი და განათლების განყოფილების მოწოდების თანახმად გავემგზავრე მასწავლებლად მეჯვრისხევში, საიდანაც მენშევიკი მასწავლებლები გააქტიურებულიყვნენ. 1922 წელს დავამთავრე სემინარია და გავემგზავრე მასწავლებლად სოფელ ზემო ხვედურეთში, ხოლო 6 თვის შემდეგ დამაწინაურეს ქარელის 7-წლედის გამგეთ.

...ეწეოდი სოფლად კულტურულ მუშაობას, ჩართული ვიყავი საზოგადოებრივ მუშაობაში, ჩამოყვალბე ქარელში განათლების კავშირი, აღმშენებელთა კავშირი და პროფსამდიენო და ბევრი კიდევ სხვა... არ ყოფილა არამცთუ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის რაიმე მომენტი ჩემს ცხოვრებაში, არამედ პირიქით ქარელში ყოფნის დროს ვებმარებოდი გორის „ჩეკას“ უმსგავსოების და სხვ. წინააღმდეგ (ამის მასალა იქნება იქ). ვებმარებოდი თემკომის მდივანს

**კავკასიის სამხედრო ოლქის პროკურორის დასკვნა (07.08.1956 წ.), გაბრიელ თათარაშვილის რეაბილიტაციისა და მის მიმართ აღძრული საქმის შეწყვეტის შესახებ**



**საქართველოს სახალხო სოციალისტური რესპუბლიკა**  
**ГРУЗИНСКАЯ СОВЕТСКАЯ СОЦИАЛИСТИЧЕСКАЯ РЕСПУБЛИКА**

**გარდაცვალების მოწმობა**  
**СВИДЕТЕЛЬСТВО О СМЕРТИ**

РЭ № 141260

მოქ. თეიმურაზ მჭედოვი  
 Гр. (გვარი — фамилия)

ქაბახიძე ივანე  
 სახელი და მამის სახელი — имя и отчество)

გარდაცვლილი 7.11.1943 წელს ნოემბერს საბურთალოს რაიონში  
 Умер (და) (დასაფრთხის სიტყვებით და თვე, თვე და რიცხვი —  
ქვე სხვა წესით პროცესი წელი თვე რიცხვი  
 прописью и цифрами год, месяц и число)

გარდაცვალების მიზეზი საქართველოს სსრ-ის  
 Причина смерти

რახელზე გარდაცვალების შესახებ მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტების  
 о чем в книге записей актов гражданского состояния

ჩაწერილია წლები 1956 წელს 11 თვეს 10 რიცხვს  
 о, смерти года месяца числа

მისდევნილია სათანადო ჩაწერა  
 произведена соответствующая запись за № 190 -ით.

გარდაცვალების ადგილი: ქალაქი, სოფელი  
 Место смерти: город, селение საბურთალო

რაიონი საბურთალო ოლქი, რესპუბლიკა საბურთალო  
 район область, республика

რეგისტრაციის ადგილი საბურთალო  
 Место регистрации (მაშის ბიუროს დასახელება და აბილსამყოფელი —  
 наименование и местонахождение бюро ЗАГС)

Дата выдачи 13 11 1956

მოქალაქეობრივ მდგომარეობის  
 აქტების ჩაწერის ბიუროს განკუთვნილია  
 М. П. Записей актов гражданского состояния

**მშაის ბიუროს გამგის მიერ 1956 წლის 13 ნოემბერს  
 გაცემული მოწმობა, რომლის მიხედვით გაბრიელ  
 თათარაშვილი გარდაცვლილი ჩანს 1943 წლის 7 მაისს  
 „არტელისკლეროზით“**

ამხ. აღ. ბიწაძეს. ეს კარგათ იცის აგრეთვე მდივანმა ვიქტორ გოგაძემ, რომელიც ქარელში იყო პარტორგანიზაციის ხელმძღვანელად და რომლებმაც მიმიღეს პარტიაში.

ყველგან, სადაც კი მე ვმუშაობდი, ვატარებდი მტკიცედ და ურყევად პარტიის ხაზს და მე არ ვყოფილვარ არც ერთ დაჯგუფებაში ლენინური ცეკას წინააღმდეგ.

...მე მუშის შვილი ვარ და ჩემი ცხოვრებაში გამოსვლა დაემთხვა საქართველოს გასაბჭოებას. ჩემი მომწიფების პერიოდი და დასრულება ეკუთვნის გასაბჭოების პერიოდს. მე აღზრდილი ვარ ყოველნაირად ლენინური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

...გთხოვთ განიხილოთ ჩემს წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება და დარწმუნდეთ იმაში, რომ მთელი ჩემი მუშაობა, ჩემი შეგნების საუკეთესო წლები 15 წელიწადი

მიმდევნილი იყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმისადმი, განსაკუთრებით კულტურულ ფრონტზე და რომ მე არც ერთ პარტიაში არ ვირიცხებოდი და არც რაიმე მუშაობას ვწარმოებდი წარსულში და როგორ უნდა ჩამეწერა პირად ბარათში სხვა პარტიაში ყოფნა, როგორ უნდა მივიღო ეს ბრალდება, როდესაც საკვებით სუფთაა ჩემი გული და სული, მე ამ ბრალდებას ვერ მივიღებ. თქვენ გადასწყვიტეთ ისე, როგორც ამას ჩვენი დიდი პარტია გიკარნახებთ.

კომსალმით გაბრიელ თათარაშვილი“.  
 წერილიდან ცხადი ხდება, თუ რას ეღაპებოდა ხელისუფლება გორის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორს და რა გახდა მისი დაპატიმრების მიზეზი.

თათარაშვილის ბედი ეროვნული ორიენტაციის ანტისაბჭოთა (სოციალისტ-ფედერალისტურ) პარტიასთან ყოფილმა თანამშრომლობამ გადაწყვიტა (დამსმენსაც ზომ მოხსენებით ბარათში ასე ჩაუწერია: „სხვა პარტიის წევრად აქვს ხელი მოწერილი“) და არა ინსტიტუტის მშენებლობის ტემპების დარღვევამ, როგორც ეს ოფიციალურად გამოცხადდა. ბოლშევიკური ხელისუფლება კომპრომისებს ვერ ეგუებოდა, მისთვის კომუნისტური პარტიის გარდა, ყველა პოლიტიკური ძალა მიუღებელი და იდეოლოგიური მტერი იყო.

გაბრიელის დაპატიმრებისთანავე, მის ოჯახს გორში საცხოვრებელი ბინა ჩამოართვეს და სანაცვლოდ, ბაგრატიონის ქუჩაზე ერთი სტანდარტული ოთახი დღევანდელი სახანძროს უკან მდებარე სახლში გამოუყვეს. მისი მეუღლე ქეთევან კასრაძე, რომელიც ამავე ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი იყო, 1937 წლის 20 აგვისტოს ინსტიტუტიდან გარიცხეს, საბავშვო ბაღის გამგის თანამდებობიდანაც გაათავისუფლეს და ოჯახი ულუკმაპუროდ დატოვეს (ქეთევანი მხოლოდ მოგვიანებით, 1938 წელს აღადგინეს სტუდენტის „უფლებებში“, ოღონდ პირველ კურსზე).

„ხალხის მტრის“ იარლიყი ოჯახისთვის იმდენად მძიმე სატარებელი აღმოჩნდა, რომ მოგვიანებით, გაბრიელის ვაჟმა თენგიზმა მამის ნაწერები და „ერთი ტახტი მართო გაზეთებიდან ამონაჭერი სტატიები“ სახლიდან გამოიტანა და ცეცხლს მისცა...



გაბრიელ თათარაშვილის ოჯახისთვის სამართლის ძებნა სტალინის გარდაცვალების შემდეგ გახდა შესაძლებელი. 1956 წლის 29 აგვისტოს ქეთევან კასრაძე-თათარაშვილმა კავკასიის სამხედრო ოლქის პროკურორის დასკვნა მიიღო, რომელშიც ნათქვამია, რომ ამა წლის „7 აგვისტოს კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით თქვენი ქმარი გაბრიელ ივანეს ძე თათარაშვილი რეაბილიტირებულია და მის მიმართ საქმე შეწყვეტილია დანაშაულის მიზეზების არარსებობის გამო“.

დაპატიმრების შემდეგ გაბრიელის ბედის გასარკვევად ოჯახმა შესაბამის ორგანოებს. იმავე 1956 წლის 13 ნოემბერს გორის საქალაქო განყოფილების მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროდან (შმაჩი) გარდაცვალების ცნობა გაგზავნეს, რომლის მიხედვით, გაბრიელ თათარაშვილი გარდაიცვალა 1943 წლის 7 მაისს. გარდაცვალების მიზეზი — „არტერიოსკლეროზი“, გარდაცვალების ადგილი გადაშლილია. საბუთის მეორე მხარეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროს გამგის (საბუთის გამცემის. — ი. ა.) მიერ მიწერილია: „გარდაცვალების ადგილი წაშლილია ჩემი მიერ“ და ხელმოწერა.

ეს მოწმობა, იმ წლებში გაცემული ბევრი სხვა საბუთის მსგავსად, გაყალბებულია. გორის ინსტიტუტის პირველ დირექტორს არც 1943 წლამდე უცოცხლია და არც ავადმყოფობით გარდაცვლილა. იგი, ისევე როგორც „ხალხის მტრად“ მონათლული ათასობით სხვა პიროვნება, პოლიტიკური რეპრესიების — „დიდი ბოროტების“ ეპოქამ იმსხვერპლა. ჩვენს ხელთ არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტი, რომელიც ამ საკითხს ნათულს პვენს. ეს არის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა კომისარიატთან არსებული „ტროიკის“ 1938 წლის 5 მაისის სხდომის №113 ოქმი, რომელმაც გაბრიელ ივანეს ძე თათარაშვილის საბოლოო ბედი გადაწყვიტა. რუსულ ენაზე შედგენილი დოკუმენტის თანახმად, მომხსენებელმა ოვანმა სამეულს წარუდგინა ბრალდებულ თათარაშვილის სისხლის სამართლის საქმე 10379. მასში აღნიშნულია: „გაბრიელ ივანეს ძე თათარაშვილი, 1902 წელს დაბადებული, გორის მკვიდრი, გლჟთა წრიდან, ქართველი, სსრ კავშირის მოქალა-

ქე, უმაღლესი განათლებით, მოსამსახურე, პროფესიით პედაგოგი, საკ. კპ (ბ) ყოფილი წევრი 1931 წლიდან, გარიცხული 1937 წელს დაპატიმრების გამო. დაპატიმრებამდე გორის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორი.

ბრალი ედება მასში, რომ არის მეპარჯვენე კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი. ეწეოდა ძირგამომხრელ და მავნებლურ საქმიანობას გორის სამასწავლებლო ინსტიტუტში“.

ოქმის დადგენილებით ნაწილში მკაფიოდ იკითხება ლურჯი მელნით ჩაწერილი განაჩენი: „დაინფორმაცია“.

ოქმს ხელს აწერს „სამეულის“ ყველა წევრი: ბოგდან ქობულაძე, ვალერიან ტალახაძე, შალვა წერეთელი. სხდომის მდივანი — ალექსანდრ მოროზოვი.

ასეთია გორის სამასწავლებლო ინსტიტუტის საწყისი წლებისა და მისი პირველი დირექტორის ბობოქარი და ტრაგიკული ისტორია. თუმცა, გაბრიელ თათარაშვილი არ იყო მსხვერპლად შეწირული მხოლოდ ერთი ინტელიგენტი. ეს არის იმ ეპოქის ლაქა, რომელსაც ისტორია და შთამომავლობა კიდევ დიდხანს ვერ ჩამოირეცხავს.

**იოსებ ალიშვარაშვილი**

*საქართველოს შს სამინისტროს „ტროიკის“ 1938 წლის 5 მაისის ოქმი გაბრიელ ივანეს ძე თათარაშვილის დახვერტის შესახებ*

ПРОТОКОЛ № 113

Сов. Секретно

Заседания тройки при Комиссарии Внутренних Дел Грузинской ССР

от 5 мая 1938 г.

Председатель тройки НКВД Груз. ССР \_\_\_\_\_

Члены \_\_\_\_\_

Секретарь \_\_\_\_\_

Слушали:	Постановили:
След. дело № 10379-4 Судеба УИЕ НКВД СССР по обвинению ГЕОРГИЯ ИВАНОВИЧА ГЕВРАЛИ ИВАНОВИЧА, 1902 г.р., урож. г.Троицк, из крестьян, грузин, б-н СССР, бывший образованным, служащим, по профессии педагог, был член ВКП(б) с 1931 г., исключен в 1937 г. в связи с арестом. до ареста директор Горьковского учительского Института.	ОСТАВШИМИ Гевралие Ивანовича
ОБВИНЯЕТСЯ в том, что являлся членом контрреволюционной организации преем и провозил подпольную вредительскую работу в Горьковском Учительском Институте.	РАССУЖДАТЬ
(доподличик ОБВИН)	ПОДПИСОВАТЬ
ПРЕДСЕДАТЕЛЬ ТРОЙКИ _____	Ч Л Е Н Ы : _____
ЭШ/4	

ნაშობნი - მაისი 2018 55



# სივილიზაციათა უეჯანება

## იერუსალიმსა და პალესტინაში

იერუსალიმის კოლიტიკური სტატუსის ისტორია. ნაწილი I

2017 წლის 6 დეკემბერი ისრაელისა და პალესტინის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს. ამ დღეს აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა — დონალდ ტრამპმა იერუსალიმი ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქად ოფიციალურად აღიარა და განაცხადა, რომ აპირებს თელ-ავივიდან აშშ-ის საელჩოს იერუსალიმში გადატანას. ამ მოვლენამ ებრაულ საზოგადოებაში უდიდესი სიხარული გამოიწვია, მუსლიმურ სამყაროში კი — გაურკვევლობა და გაღიზიანება. ტრამპის გადაწყვეტილებას აღფრთოვანებით არც მსოფლიოს სხვა ლიდერები შეხვედრიან. ვაშინგტონის პოზიციას მხოლოდ ისრაელმა, გვატემალამ, ჰონდურასმა და წყნარი ოკეანის რამდენიმე კუნძულოვანმა სახელმწიფომ დაუჭირა მხარი.

იერუსალიმისა და პალესტინის საკითხი დიდი ხანია მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი თემაა. იერუსალიმი სამი აბრაამისტული რელიგიის (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი) წმინდა ადგილია, რაც განაპირობებს მის გარშემო განვითარებული მოვლენებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. საკითხის უკეთ გასარკვევად აუცილებელია ვისაუბროთ იერუსალიმის პოლიტიკურ სტატუსზე მისი დაარსების დღიდან თანამედროვეობამდე.

პალესტინა, იგივე ისტორიული ქანაანი, ყოველთვის ღარიბი იყო რესურსებით. თუმცა, ნაყოფიერი მიწების, ხეტყის, სასარგებლო წიაღისეულისა და სასმელი წყლის დეფიციტის მიუხედავად, რეგიონს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობისთვის. თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და რელიგიური ფაქტორების გამო, პალესტინა ყოველთვის იყო მსოფლიო იმპერიებისა და ცივილიზაციების შეყრისა და შეჯახების ადგილი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იერუსალიმს, რეგიონის ცენტრსა და სამი მსოფლიო რელიგიის წმინდა ქალაქს.

### იერუსალიმი უკველუს ხანაში

იერუსალიმის დაარსების ზუსტი პერიოდის დასახელება ძნელია არქეოლოგიური მასალების სიმცირის გამო. მის ტერიტორიაზე მობინადრეთა ყველაზე ძველი კვალი აღმოჩენილია გიზონის წყაროსთან ახლოს მდებარე გამოქვაბულში, ძველი იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მართალია, არქეოლოგების მიერ ნაპოვნი მასალა მწირია, თუმცა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იერუსალიმის ტერიტორიაზე ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოს ხალხი ცხოვრობდა. პირველი წერილობითი წყარო, რომე-






იერუსალიმის ცენტრალური ნაწილის პანორამული ხედი

ლიც იერუსალიმს მოიხსენიებს, არის ძვ.წ. XIX-XVIII საუკუნეებით დათარიღებული ეგვიპტური „წყევლის წარწერები“. სირიისა და ქანაანის სხვა ქალაქების ხელმძღვანელთა გვერდით, მათში მოხსენიებულია იერუსალიმის (რუსალიმუმის) მმართველებიც. ამავე პერიოდს განეკუთვნება ზეთისხილის მთის ძირას აღმოჩენილი კერამიკული ჭურჭელი და გამოქვაბულის ნაშთები; აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთის ბორცვის აღმოსავლეთ ნაწილში ნაპოვნი კედლის ნარჩენები. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ II ათასწლეულის დასაწყისში იერუსალიმი გამაგრებული ქალაქი იყო და მმართველობის ჩამოყალიბებული სისტემა გააჩნდა.


დღეს პალესტინა სემიტური მოდგმის ხალხებს (ებრაელებსა და არაბებს) ეკუთვნის, მაგრამ ძვ.წ. III ათასწლეულამდე ისინი რეგიონის აბორიგენ მოსახლეობას არ წამოადგენდნენ. აქ სხვა ხალხი ცხოვრობდა. ქალაქი იერუსალიმი იებუსელების სახელით ცნობილი ხალხის კუთვნილება იყო. სემიტები პალესტინის ტერიტორიაზე შესვლას III ათასწლეულში იწყებენ. საწყის ეტაპზე მათი ძირითადი საქმიანობა მომთაბარეობა და მესაქონლეობა იყო, შემდეგ კი ადგილობრივებისგან მიწათმოქმედება შეითვისეს, მომთაბარე ცხოვრების წესი წარსულში დატოვეს და ადგილობრივი ტომების ასიმილაცია დაიწყო. პალესტინაში დამკვიდრებულ სემიტებს ქანაანელთა სახელით იცნობდნენ, ამიტომაც რეგიონსაც ქანაანი ეწოდებოდა.

### ეგვიპტის ბავლეინის ქვევა

პალესტინაში არ არსებობდა ცენტრალიზებული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სისტემა. იგი იყოფოდა ქალაქ-სახელმწიფოებად, რომლებსაც მეფეები მართავდნენ. რეგიონით ადრეული ხანიდან დაინტერესდა მეზობელი ეგვიპტის სამეფო. ფარაონებისთვის პალესტინა იყო სატრანზიტო დერეფანი და წინა აზიასთან დამაკავშირებელი ტერიტორია. ეგვიპტელები ჯერ კიდევ III ათასწლეულში აწყობდნენ ლაშქრობებს პალესტინაში. ძვ.წ. XVI საუკუნეში ეს რეგიონი მათი ძალაუფლების ქვეშ იყო. თუტმოს I-მა, თუტმოს III-მ, ამენჰოტეპ II-მ და თუტმოს IV-მ რამდენჯერმე დალაშქრეს პალესტინა და ადგილობრივების წინააღმდეგობის მიუხედა-



თელ ალ-ამარნას არქივის ერთ-ერთი ნიმუში



ვად, მასზე კონტროლი შეინარჩუნეს. ქანაანში დამკვიდრდა ეგვიპტური ადმინისტრაციული სისტემა, ამავე დროს, დამპყრობლებმა შეინარჩუნეს ადგილობრივი ელიტები და ისინი ვასალიტეტის პირობებში მოაქციეს. აღსანიშნავია, რომ ეგვიპტემ ქანაანზე კულტურული გავლენაც მოახდინა. მაგალითად, ადგილობრივ დონეზე, ლურსმულ დამწერლობასთან ერთად, ეგვიპტურ იეროგლიფებსაც იყენებდნენ.

ფარაონ ამენჰოტეპ IV-ის, იმავე ეხნატონის (ძვ.წ. XIV ს.) მმართველობის პერიოდში და მის შემდგომ, პალესტინაში ეგვიპტის გავლენა დასუსტდა. ამას ხელი შეუწყო ეგვიპტის შიდა პრობლემების გამწვავებამ და პალესტინის ჩრდილოეთით ხეთების სამეფოს გაძლიერებამ. რეგიონში ახალი, თანაც საკმაოდ ძლიერი ძალის გამოჩენამ არეულობა გამოიწვია. პალესტინის დიდებულთა ნაწილი ხეთებს მიემხრო და ეგვიპტელთა წინააღმდეგ აჯანყდა. ამ პერიოდში ეგვიპტელების ძალაუფლება შედარებით სტაბილურად ვრცელდებოდა ქალაქ იერუსალიმზე, რომელიც კვლავ იებუსელების ხელში იყო.

კონკრეტულად ამ ფაქტის შესახებ ცნობებს გვაწვდის თელ ალ-ამარნაში (ყოფილი ახეტატონი) აღმოჩენილი ეგვიპტელ ფარაონთა დოკუმენტები. ფარაონ ეხნატონის დროს ახეტატონი იყო ეგვიპტის დედაქალაქი და აქ იყო განთავსებული სამეფო კანცელარია. თელ ალ-ამარნას არქივი შეიცავს 350-ზე მეტ წერილს, რომელთა დაახლოებით ნახევარი წარმოადგენს ქანაანელ მეფეთა წერილებს ეგვიპტის ფარაონების, ამენჰოტეპ III-ისა და ეხნატონის მისამართით. წერილები შესრულებულია აქადურ ენაზე, რომელსაც რეგიონში ოფიციალური სტატუსი ჰქონდა. ამ არქივშია იერუსალიმის მმართველ აბდი-ხებას წერილი, რომელშიც ის ეგვიპტის ფარაონს სამხედრო დახმარებას სთხოვს. დოკუმენტიდან ისიც ირკვევა, რომ პალესტინის პროეგვიპტური ძალები აბდი-ხებას საბრძოლო ეტლებს უგზავნიდნენ.

**ქანაანში „ამოსვლა“**

დაშლილ და დასუსტებულ ქანაანში II ათასწლეულის II ნახევარში ებრაელები გამოჩნდნენ. ძვ.წ. XIII საუკუნეში ისინი რეგიონში დადასტურებით სახლობდნენ, ამას მოწმობს ეგვიპტის ფარაონ მერნეპტაჰის წარწერა, რომელშიც ისრაელია ნახსენები. ებრაელები, ქანაანელთა მსგავსად, სემიტური წარმოშობის იყვნენ, თუმცა განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ და მომთაბარე მესაქონლეობას მისდევდნენ. ბიბლიის მიხედვით, პალესტინაში მოსვლამდე ებრაელები „ეგვიპტის ტყვეობაში“ იმყოფებოდნენ. ისინი შეადგენდნენ თორმეტ ტომს (მათ შორის ეფრაიმისა და იუდას ტომები სიდიდით ყველაზე აღმატებული იყვნენ). ებრაულმა ტომებმა ქანაანის დამორჩილება ძვ.წ. XIII საუკუნეში დაიწყეს და რეგიონში ჰეგემონობის მოსაპოვებლად ორი საუკუნე დასჭირდათ. პარალელურად, პალესტინის სამხრეთ ნაწილში დამკვიდრდნენ ფილისტიმელები. ძველი ბერძნები ფილისტიმელებით დასახლებულ მიწას „ფილისტიას“ უწოდებდნენ. ასე გაჩნდა ქანაანის ახალი სახელწოდება — პალესტინა. რეგიონში პირველობისთვის ებრაელებსა და ფილისტიმელებს შორის ხანგრძლივი ომი დაიწყო.

ბიბლიის მიხედვით, ქანაანის დაპყრობის დროს ებრაელების წინამძღოლი იყო იესონავეს ძე. მას იერუსალიმის მეფე აღონ-ცე-



დექთან და მის მოკავშირეებთან ბრძოლა გაუმართავს და დაუმარცხებია ისინი. მართალია, მსაჯულთა წიგნი გვეუბნება, რომ ებრაელებმა მაშინ იერუსალიმის აღებაც მოახერხეს, თუმცა ეს ნაკლებად საგარაუდლოა. მით უმეტეს, ებრაელთა წმინდა წიგნში საპირისპირო ნარატივსაც ვაწყდებით.

ორი საუკუნის განმავლობაში ებრაელებმა ქანაანელებისგან მიწათმოქმედება აითვისეს და რეგიონში მყარად დამკვიდრდნენ. მათ ქანაანელები დაიმორჩილეს და ხარკის გადახდა დააკისრეს. იმავდროულად ებრაელები იბრძოდნენ ფილისტიმელებისა და მოაბიტების (მოაბელების) წინააღმდეგ. ამ ყველაფერმა ჯერ ებრაელთა ცალკეული ტომების ერთიანობა განაპირობა, მოგვიანებით კი უფრო მყარი გაერთიანების შექმნა გამოიწვია — ძვ.წ. XI საუკუნის მიწურულს წარმოიქმნა ისრაელის სამეფო, რომლის პირველი მეფე გახდა საული (დაახ. ძვ.წ. 1050-1030), ბენიამინის ტომის წარმომადგენელი. ებრაულ და ფილისტიმურ ქანაანში ქალაქი იერუსალიმი იებუსელების ანკლავად რჩებოდა.

## იერუსალიმი — ისრაელის ცენტრი

საულმა საბოლოოდ დაიმორჩილა ქანაანელები, თუმცა პალესტინის ტერიტორიაზე ბატონობისთვის მას ფილისტიმელებთან გააფთრებული ბრძოლა უწევდა. ეს უკანასკნელნი იმ ხანად განსაკუთრებული სიძლიერით გამოირჩეოდნენ და ებრაელთა მრავალ ქალაქს ფლობდნენ, მათ შორის გიბეას, საულის მშობლიურ ქალაქს. საულის სიცოცხლეც სწორედ ფილისტიმელებთან ომს შეეწირა.

ისრაელის ახალი მეფე გახდა დავითი — საულის სიძე, იუდას ტომის წარმომადგენელი. დავითმა შეძლო ფილისტიმელთა დამარცხება და ისინი ისრაელიდან განდევნა. მანვე დაიმორჩილა მკვდარი ზღვის აღმოსავლეთით მცხოვრები მოაბიტები, ასევე ამონიანები, ელომელები, არამეელები და დამასკოც კი აიღო. ისრაელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა.

დავითი ხვდებოდა, რომ ტომებად დაყოფილ სახელმწიფოს ერთი ცენტრი სჭირდებოდა. მან არჩევანი ქალაქი იერუსალიმზე შეაჩერა, რომელსაც, ადმინისტრაციულ-პო-



ლიტიკურთან ერთად, რელიგიური ცენტრის ფუნქციაც უნდა ეტვირთა; ის უნდა გამხდარიყო ტომებად გახლჩილი ებრაელების ერთიანობის სიმბოლო.

დავითის გამეფების დროს იერუსალიმი კვლავ ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. სხვა მიზეზებთან ერთად, ესეც გახდა იერუსალიმის შერჩევის მთავარი მიზეზი — ქალაქი არც ერთ ებრაულ ტომს არ ეკუთვნოდა. ნეიტრალური იერუსალიმისთვის დედაქალაქის ფუნქციის მინიჭება ვერ გაანაწყენებდა რომელიმე ტომის საზოგადოებას და ქალაქი ერთნაირად მისაღები იქნებოდა ყველასთვის. ამგვარად, დავითის გადაწყვეტილება პოლიტიკური იყო და სოციალ-ეკონომიკური სარჩული ნაკლებად ჰქონდა. დავითმა იერუსალიმს ალყა შემოარტყა და ბრძოლით დაიმორჩილა. ქალაქის აღებით მან მოსპო იებუსელების ანკლავი და ებრაელთა ჩრდილოელი და სამხრეთელი ტომები გააერთიანა. დავითმა იერუსალიმი წმინდა ქალაქად გამოაცხადა და ებრაელთა საღვთისმსახურო კარავი მორიას მთაზე გადმოიტანა (იქ, სადაც იუდეველთა რწმენის



თანამად, აბრაამა თავისი შვილი ისაკი ღვთისთვის შესაწირავად აიყვანა), სამსხვერპლო მოაწყო და ებრაელთა მღვდელმთავარი დანიშნა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიის თანახმად, საკულტო ადგილად იქცა დავითის მიერ იებუსელების უკანასკნელი მეფისგან შეძენილი მიწა. ებრაელთა წმინდა წიგნს სურს გვითხრას, რომ ისრაელის მეფემ მიწის ეს ნაკვეთი კანონიერი გზით მიიღო და არა ძალის გამოყენებით. აქედან მოყოლებული, ებრაელებისთვის იერუსალიმში „დავითის ქალაქად“ იქცა. რაც შეეხება იებუსელებს, სავარაუდოდ, დავითს ადგილობრივი მოსახლეობა არ ამოუწყვეტია და ისინი თანდათან გაითქვიფნენ ებრაელებში.

დავითის შემდეგ ისრაელის მეფე მისი შვილი სოლომონი (დაახ. ძვ.წ. 995-950) გახდა. სოლომონის მმართველობის წლებს ებრაელთა ისტორიაში აყვავების ხანა უკავშირდება: მოწესრიგდა სამეფოს ადმინისტრაცია, საგადასახადო სისტემა, განვითარდა ეკონომიკა, მეგობრული ურთიერთობები დამყარდა მეზობელ სახელმწიფოებთან, დაწინაურდა საგარეო ვაჭრობის სფერო, გატარდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმა და სხვ. მეფე განსაკუთრებულ ყურადღებას

აქცევდა იერუსალიმს. სოლომონმა მორიას მთაზე, სადაც დავითმა სამსხვერპლო მოაწყო, ტაძრის აგება დაიწყო. ქალაქში ფართოდ გაშლილი მშენებლობა დიდძალ მასალებსა და მუშახელს მოითხოვდა. ისრაელი კი ღარიბი იყო სამშენებლო მასალებით, განსაკუთრებით ხეტყით. ამიტომაც სოლომონი შეუთანხმდა ქალაქ ტვიროსის მეფე ჰირამს და ხეტყის შემოტანა ფინიკიიდან დაიწყო. ლიბანის ტყეებში ათასობით მუშა იყო დასაქმებული. ტვიროსელი კალატოზები და ხუროები მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ. სოლომონის ტაძარმა საბოლოოდ დაუმკვიდრა იერუსალიმს ებრაელთა სულიერი და ეროვნული ცენტრის სტატუსი. სწორედ აქ დააბრძანეს ებრაელთა სიწმინდეები — სჯულის კიდობანი და მენორა (შვიდტონიანი შანდალი). მორიას მთას „ტაძრის მთა“ (ებრ. „ხარ ჰა-ბაით“) ეწოდა. სოლომონის ტაძრის აშენებით ებრაელთა ისტორიაში პირველი ტაძრის პერიოდი (ძვ.წ. X-VI საუკუნეები) დაიწყო.

**სახელმწიფოს გაყოფა**

დავითისა და სოლომონის მმართველობის პერიოდში ისრაელის სახდერები საგრძობლად გაიზარდა, რასაც რეგიონში შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარება განაპირობებდა — ეგვიპტე დასუსტებული იყო, ხოლო ასურეთი ჯერ კიდევ ძალებს იკრებდა. სოლომონის მმართველობის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა — ფარაონმა შემოინქმე ეგვიპტეში არეულობა ჩააცხრო და პალესტინაზე გავლენის აღდგენას შეუდგა.

ეკონომიკური წინსვლის მიუხედავად, ისრაელი მტკიცედ შედუღებულ სახელმწიფოს მაინც არ წამოადგენდა. შესამჩნევი კონტრასტი იყო მის ჩრდილოეთ ნაწილსა და სამხრეთს (იუდეას) შორის — ქვეყნის ეკონომიკაში ძირითადი წვლილი ჩრდილოელებს შეჰქონდათ, იქაური მიწათმოქმედები იხდიდნენ მძიმე გადასახადებს, სამეფო არისტოკრატია კი უნაყოფო იუდეიდან იყო. მართალია, დავითი და სოლომონი ცენტრალიზებული სისტემის ჩამოსაყალიბებლად ენერჯიას არ ზოგავდნენ, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტომობრივი ტრადიციების დასათრგუნავად მათი მმართველობის წლები საკმარისი არ აღმოჩნდა. ჯერ კიდევ სოლომონის დროს, ეფრაიმის





ძველი იერუსალიმი, ცენტრში — სოლომონის ტაძარი

ტომის (ჩრდილოეთში მცხოვრები ტომი) წარმომადგენელმა იორობეამმა შეთქმულება მოაწყო და ამბოხებისთვის დაიწყო მზადება. სოლომონმა მისი შეპყრობა სცადა, თუმცა იორობეამი ეგვიპტეში გაიქცა და იქ მიიღო თავშესაფარი. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ იუდასა და ბენიამინის ტომმა მეფედ მისი ვაჟი — რობოამი გამოაცხადა. ჩრდილოეთის ტომებმა რობოამის მეფედ ცნობაზე თანხმობა განაცხადეს, ოღონდ იმ პირობით, რომ იგი მათ მძიმე გადასახადებისგან გაათავისუფლებდა. დათმობის ნიშნად რობოამი ჩრდილოეთის ტომების ცენტრში (შებეშში) ჩავიდა, მეფედ იქ ეკურთხა, მაგრამ გადასახადების შემცირებაზე უარი განაცხადა. საპასუხოდ ჩრდილოელებმა აჯანყება დაიწყეს. ებრაელთა ქვეყანაში ამტყდარი შფოთით ისარგებლა იორობეამმა. ჩრდილოელებმა იგი საკუთარ მეფედ გამოაცხადეს. ეგვიპტელთა სამხედრო დახმარების წყალობით იორობეამმა იუდეას შეუტია, იუდეველთა ჯარი დაამარცხა და იერუსალიმი გაძარცვა. წარმოიქმნა ორი პატარა სახელმწიფო: ჩრდილოეთში — ისრაელის სამეფო, სამხრეთში — იუდეის სამეფო.

## იერუსალიმი — იუდეის დედაქალაქი

ამგვარად, იერუსალიმი გახდა პატარა იუდეის სამეფოს დედაქალაქი და ერთიანი ისრაელის სამეფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ცენტრის ფუნქცია დაკარგა. ებრაელთა წმინდა წიგნი ერთიანი ისრაელის გახლეჩას ღმერთის მიერ ებრაელებისთვის მოვლენილ სასჯელად აცხადებს. ამ მოვლენას მხოლოდ რელიგიური მიზეზები არ ჰქონია, თუმცა ამის ელემენტებიც იყო: დავითის მიერ იერუსალიმის „ღმერთის ერთადერთ სამყოფლად“ გამოცხადებასა და საკულტო ცენტრის აქ გადმოტანას ჩრდილოელი ტომების ყველა წარმომადგენელი სიხარულით არ შეხვედრია. თითოეულ ტომს საკუთარი სამსხვერპლო და რელიგიური ცენტრი ჰქონდა, რომელთა სტატუსი დაიკარგა. ამ ფაქტორმაც აღძრა ჩრდილოელებში უკმაყოფილება. სამეფოს გამოყოფის შემდეგ, მეფე იერობეამმა უარი განაცხადა იერუსალიმის პირველობის აღიარებაზე და ჩრდილოეთში ალტერნატიული რელიგიური ცენტრი მოაწყო. იერუსალიმის სტატუსი დაკნინდა, ის სამხრეთში მცხოვრები ორი ტომის (იუდასა





ილუსტრაცია 1493 წელს გამოცემული „ნიურნბერგის ქრონიკიდან“, სადაც გამოსახულია იერუსალიმის დაქცევა ბაბილონელთა მიერ

და ბენიამინის ტომები) რელიგიურ ცენტრად დარჩა.

ჩრდილოეთით მდებარე ისრაელის სამეფომ მტკიცე ერთიანობა ვერ გამოიჩინა, მან რამდენიმე პოლიტიკური ცენტრი და მმართველი დინასტია გამოიცვალა. ძვ.წ 722 წელს ასურეთის მეფე სარგონ II-მ ისრაელის დედაქალაქი სამარია აიღო. ორი წლის შემდეგ ასურელებმა ისრაელის მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარი მიწიდან იძულებით გაასახლეს. ისრაელის სამეფომ არსებობა შეწყვიტა.

ამასობაში იერუსალიმი იუდეის უცვლელ დედაქალაქად რჩებოდა. სამარიის დაცემის შემდეგ მან ებრაელი ერის ცენტრის სტატუსიც ადიდგინა. ჩრდილოეთში მცხოვრები ებრაელების ნაწილი იუდეაში გადასახლდა. იუდეის მეფეებმა სახელმწიფოს საზღვრები მცირედით გააფართოეს და ძირითადად, ქვეყნის შიდა საქმეების მოგვარებით იყვნენ დაკავებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მათი რელიგიური რეფორმები, რაც გულისხმობდა წარმართული კულტების

გავლენისგან იუდაიზმის გაწმენდას. მაგალითად, რობოამის შვილიშვილმა — ასამ გაანადგურა დედა-დედოფალ ანასა და ასტარტას კულტი. მეფე ეზეკიამ (ძვ.წ. VIII-VII სს.) რელიგიური რეფორმები უფრო გაამკაცრა: აკრძალა ებრაელთა უძველესი ჩვეულება — ამაღლებულ ადგილებზე მსხვერპლშეწირვა და იერუსალიმის ტაძარი ერთადერთ საკულტო ცენტრად აქცია. ეზეკიას პოლიტიკური მიზნებიც ამოძრავებდა — მან ებრაელთა გაერთიანება მოინდომა (მაგალითად, პასეჟის დღესასწაულზე ჩრდილოეთ ისრაელში დარჩენილი ებრაელები სადღესასწაულო მსხვერპლის შესაწირავად იერუსალიმში დაპატიჟა). მანვე გააძლიერა იერუსალიმის თავდაცვა, მოაწესრიგა ქალაქის ადმინისტრაცია და მომარაგება.

ჩრდილოეთ პალესტინაზე ეზეკიას გავლენის გავრცელებამ ასურეთის უკმაყოფილება გამოიწვია. ასურეთის მეფე სინაზერბმა გაილაშქრა იუდეის წინააღმდეგ და მისი ქალაქები აიღო. იერუსალიმი გადაურჩა მტრის შემოტევას, რამაც ამ ქალაქის სტატუსი



ერთიორად აამაღლა — ებრაელებმა იწამეს, რომ „უფლის ქალაქი“ სასწაულის წყალობით გადარჩა. იერუსალიმმა ებრაელთა სხვა ქალაქებზე გადაწვევები უპირატესობა მოიპოვა.


ეზეკიას რელიგიური რეფორმები მეფე იოსიამ (ძვ.წ. VII ს.) სრულყო. იოსიას უკავშირდება იუდეის სამეფოს საზღვრების გაფართოება. მანვე იერუსალიმს შენობები დაუმატა და ქალაქის დასავლეთ ნაწილში ახალი კედელი აღმართა.

იოსიას მემკვიდრეების მმართველობის ხანაში იუდეა ჯერ ეგვიპტის გავლენის ქვეშ მოექცა, შემდეგ კი ბაბილონის. მეფე იოაკიმის მიერ ნაბუქოდონოსორ II-ის (604-562) წინააღმდეგ დაწყებულ აჯანყებას ბაბილონის ძლევამოსილი მეფის პასუხი მალევე მოჰყვა. ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისში ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი აიღო და იუდეის მეფედ საკუთარი კანდიდატი — ციდეიაჰუ (იგივე სედეკია) დასვა. ამ უკანასკნელმა, რამდენიმე წლის შემდეგ, ბაბილონის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო და ეგვიპტეს მიემხრო. მისი საქციელი საბედისწერო აღმოჩნდა: ძვ.წ. 586 წელს ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმის მორიგი ალყა დაიწყო. ბაბილონელებმა ქალაქის აღება შეძლეს და მის დანგრევას შეუდგნენ. სოლომონის ტაძარი გაიძარცვა და განადგურდა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ბაბილონში გადაასახლეს (ე.წ. ბაბილონის ტყვეობა).

იუდეის სამეფომ არსებობა შეწყვიტა, იერუსალიმმა კატასტროფა განიცადა, „პირველი ტაძრის პერიოდიც“ დასრულდა. სოლომონის ტაძრის აღდგენაზე ოცნებამ ებრაელებისთვის მესიანისტური ხასიათი მიიღო.

### აქემენიანთა მხარდაჭერით


„ბაბილონის ტყვეობა“ ნახევარ საუკუნეს გაგრძელდა. ძვ.წ. 539 წელს სპარსეთის მეფე კიროს II დიდმა (559-530) ბაბილონი აიღო. მომდევნო წელს გამოცემული ბრძანებით მან ებრაელებს იერუსალიმში დაბრუნებისა და სოლომონის ტაძრის ხელახლა აშენების უფლება მისცა. ტაძრის ასაგებად მან ფულადი სახსრებიც კი გამოყო და პირობაც დადო, რომ ტაძრიდან გამოტანილ ძვირფასეულობას დააბრუნებდა. დაიწყო ებრაელთა პალესტინაში დაბრუნება და ამ პროცესმა რამდენიმე წელიწადს გასტანა. მართალია, იერუსალიმის



კიროს II დიდი ათავისუფლებს ებრაელებს ბაბილონის ტყვეობიდან (ყან ფუჰე, 1470-1475)

ტაძრის აგებას საფუძველი კიროსის მეფობის პერიოდში ჩაეყარა, მაგრამ მისი დასრულება მხოლოდ დარიოს I-ის (522-486) დროს მოხერხდა, ძვ.წ. 510-იან წლებში. სპარსეთს დაქვემდებარებული ადგილობრივი მოხელეების (მათ შორის ზოგიერთი ებრაელი იყო) მმართველობის დროს აღდგა იერუსალიმის კედლები და ქალაქმა ახალი სიცოცხლე შეიძინა. ამ დროიდან ებრაელი საზოგადოების წინამძღოლის ფუნქცია ტაძრის მღვდელმთავარმა იკისრა. ეს თანამდებობა მემკვიდრეობითი იყო და საუკუნეების განმავლობაში მამიდან შვილზე გადადიოდა.

დარიოსის ადმინისტრაციული რეფორმების შედეგად ისრაელი, სირია, ფინიკია და კვიპროსი ერთ სატრაპიაში გაერთიანდა. სატრაპიის შიგნით, ცალკე ერთეულის სახით გამოიყო „იუდეური ოლქი“, რომელსაც სათავეში ედგა სპარსეთის მიერ დანიშნული მოხელე. ამ მოხელის რუზიდენცია სწორედ იერუსალიმში იყო. იუდეა შიდა ავტონომიით სარგებლობდა და სპარსელები მასზე უხეშ ზეწოლას არ ახდენდნენ. ისინი ხელს



მეფე იოსია ისმენს თორის სიტყვებს

უწყობდნენ იუდეველთა სასულიერო პირების ავტორიტეტის ზრდას და მათთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. სპარსულ პერიოდში თორა იქცა ებრაელთა ცხოვრების მთავარ საკანონმდებლო წიგნად და იუდეველები საბოლოოდ გაემიჯნენ სამარიტელებს.

### ელინისტური საომარი ზეპაპი

ძვ.წ. 330-იან წლებში სპარსეთის იმპერია ალექსანდრე მაკედონელმა გაანადგურა და იერუსალიმი ელინისტური (ბერძნული) სამყაროს შემადგენელი ნაწილი გახდა. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ მის სარდლებს (დიადოხოსებს) შორის დაწყებული ომების დროს იერუსალიმი ხელიდან ხელში გადადიოდა. საბოლოოდ, ძვ.წ. 301 წელს, ქალაქი

იერუსალიმი პტოლემეების ეგვიპტის შემადგენლობაში. ძვ.წ. III საუკუნის I ნახევრის — 270-იანი წლების მდგომარეობა

ეგვიპტის მმართველ პტოლემე I სოტერის (323-283/82) ხელში აღმოჩნდა. პტოლემეების მმართველობა თითქმის 100 წელიწადს გაგრძელდა. ამ პერიოდში ებრაელები შეუფერხებლად მართავდნენ იერუსალიმში თავიანთ რელიგიურ რიტუალებს და შიდა ავტონომიითაც სარგებლობდნენ.

პტოლემეებს პალესტინის მიწებისთვის სელევკიდების (სირიის) ასევე ელინისტური სამეფო ეომებოდა. ძვ.წ. III საუკუნის მიწურულს მათ მოახერხეს პტოლემეების დამარცხება და რეგიონის ხელში ჩაგდება. ძვ.წ. 200 წელს სელევკიდების მეფე ანტიოქე III დიდმა (222-187) იერუსალიმი აიღო, თუმცა მალევე დაკარგა. მისი აღება ანტიოქეს ხელმეორედ მოუხდა, რამაც ქალაქს უდიდესი ზიანი მიაყენა. იერუსალიმი სელევკიდების სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა.

საწყის ეტაპზე სელევკიდებმა ებრაელი საზოგადოებისა და იერუსალიმისადმი სპარსელთა მიდგომა შეინარჩუნეს: ადგილობრივთა შიდა ცხოვრებაში არ ერეოდნენ, იერუსალიმისა და მისი ტაძრის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სცნობდნენ და იუდაიზმის წეს-ჩვეულებებს არ ეხებოდნენ. მოგვიანებით ეს პოლიტიკა რადიკალურად შეიცვალა. მეფე ანტიოქე IV ეპიფანეს (175-164) მმართველობის დროს დაიწყო იუდაიზმის შევიწროება და ებრაელთა ელინიზაცია. ებრაელი საზოგადოების შიგნით ელინიზაციის პროცესის მხარდამჭერი ჯგუფები ჩამოყალიბდა.

რაც შეეხება ებრაელთა ადგილობრივ მმართველობას, ელინისტურ ხანაშიც ებრაელთა თემს იერუსალიმის ტაძრის მღვდელმთავარი ხელმძღვანელობდა. რელიგიურთან ერთად, მღვდელმთავრები პოლიტიკური წინამძღოლის ფუნქციასაც ითავსებდნენ; ზრუნავდნენ იერუსალიმზე და საკუთარ ხალხს სელევკიდების ხელისუფლების წინაშე წარმოადგენდნენ. მღვდელმთავრებმა, ფაქტობრივად, ელინისტურ იმპერიაზე დამოკიდებული მეფეების ფუნქცია შეიძინეს. ელინისტური ხანის საწყის ეტაპზე მათი გავლენა საგრძობლად გაიზარდა. სპარსეთისგან განსხვავებით, ელინისტურმა სახელმწიფოებმა, ებრაელებს საკუთარი მოხელე არ დაუნიშნეს და იუდაეაზე კონტროლს სწორედ მღვდელმთავრების ინსტიტუტის მეშვეობით ახორციელებდნენ.

(გაგრძელება იქნება)

გიორგი არაძია





# ბულგარული „სორსსაკეპი“

არის ისეთი მკვლევარები, როცა მხელია განსაზღვრა, რა იყო ეს — აუცილებელი მოგერიება, შურისძიება თუ პოლიტიკური სამართლიანობა.

შარლ დე გოლი

XX საუკუნე ბულგარეთისთვის ბოლოქარი გამოდგა. პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შედეგად ქვეყანამ დაკარგა ტერიტორიები, დაეკისრა კონტრიბუციები. ომწაგებულ, გადატაკებულ ბულგარეთში შფოთმა დაისადგურა. 1923 წლის ივნისში სამხედრო გადატრიალება მოხდა, იმავე წლის სექტემბერში კი კომუნისტურმა პუტჩმა იფეთქა. მთავრობამ იგი ჩაახშო, თუმცა ტერორი და კონტრტერორი კარგა ხანს გაგრძელდა. 1934 წელს კვლავ მოხდა გადატრიალება. ხელისუფლებაში ამჯერად სამხედრო კავშირი მოვიდა. გაუქმდა კონსტიტუცია, აიკრძალა ყველა პარტია. პრემიერ კომონ გეორგიევის ბრძანებით შემოიღეს ცენზურა. მალე პუტჩისტთა შორის განხეთქილება დაიწყო. მეფე ბორის III-მ ამით ისარგებლა და გეორგიევის მთავრობის გადაყენებას მიაღწია. 1935 წლიდან ბულგარეთში მთელი ძალაუფლება მეფის ხელში მოექცა.

## ბულგარეთის მფე

ბორის III გახლდათ საქსონელი კობურგ-გოტების დინასტიის წარმომადგენელი (მისი მამა ფერდინანდ I ბულგარეთში 1908 წელს გამეფდა). ჰკვიანი, განათლებული და თავმდაბალი ადამიანი გატაცებული იყო ბოტანიკით. საკუთარი ხელით გააშენა უნიკალური ბაღი. უყვარდა ბულგარული ეროვნული ტანისამოსი. მეფე მასში გამოეწეობოდა, გლეხების ოჯახებში დადიოდა და საათობით ესაუბრებოდა. იყო ღრმად მორწმუნე ქრისტიანი.

ამავე დროს, მეფეს არც ნებისყოფა აკლდა. 1935 წლიდან მის ხელში აბსოლუტური ძალაუფლება მოექცა. მიუხედავად ამისა, ბულგარეთში ტირანია არ დამყარებულა. პირიქით, შეწყდა ტერორი და კონტრტერორი, ამუშავდა მრეწველობა, ეკონომიკამ აღორძინება დაიწყო.

— 1935 წელს ბულგარეთში მეფე ბორისის დიქტატურა დამყარდა. ეს რეჟიმი დიდად



ბულგარეთის მეფე ბორის III

განსხვავდებოდა იუგოსლავიაში ან რუმინეთში არსებულისგან, — წერდა საბჭოთა კავშირის ელჩი ბულგარეთში ფილორ რასკოლნიკოვი.

ბულგარელები თავიანთ მეფეს აღმერთებდნენ. განსაკუთრებით ეს სოფლებში შეინიშნებოდა, სადაც ბორის III-ის ფოტო ყველას კედელზე ეკიდა.

— ბორის III ვეროპის ყველაზე პოპულარული მონარქია, — შენიშნავდა რასკოლნიკოვი.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მეფე ბორისმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ 1940 წელს, როცა პარიზი დაეცა, მისი შენარჩუნება შეუძლებელი გახდა. ბულგარეთიც ღერძის სახელმწიფოების (გერმანია-იტალია-იაპონია) პაქტს შეუერთდა. ამან ბულგარეთს საშუალება მისცა, უმტკივნეულოდ შემოეერთებინა მაკედონია, თრაკია, დობრუჯა.



გენერალი ზრისტო ლუკოვი

— დიდი ბულგარეთი, რაზეც თაობები ოც-ნებობდნენ, შეიქმნა და ეს მთლიანად ბორის III-ის დამსახურებაა, — წერს ბულგარელი მწერალი სლავ ზრისტოვ კარასლაოვი.

1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ბულგარეთი ღერძის სახელმწიფოების ბლოკის წევრი იყო, მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირთან ომზე უარი განაცხადა. მეტიც, მეფე ბორისმა მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობები შეინარჩუნა.

— მეფის პოლიტიკამ გააღიზიანა სტალი-



ნიკოლა გერაშვილი

ნიცა და პიტლერიც, — წერს ბულგარელი მწერალი სლავ ზრისტოვ კარასლაოვი.

პიტლერი კატეგორიულად მოითხოვდა, ბულგარეთს თავისი არმია რუსეთის ფრონტზე გაეგზავნა, ქვეყანაში კი ნაცისტური წესები შემოედო. ბორისმა ამაზე მტკიცე უარი განაცხადა. ფიურერს ბულგარეთში ჰყავდა საყრდენი იქ არსებული ფაშისტური ორგანიზაციების სახით. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაციონალური ლეგიონების კავშირი გახლდათ. მას სათავეში ექსთავდაცვის მინისტრი, გენერალი ზრისტო ლუკოვი ედგა.

— ლუკოვი რუსეთის ფრონტზე ბულგარული არმიის გაგზავნას, ქვეყანაში კი ნაცისტური წესების შემოღებას მოითხოვდა, — წერს კარასლაოვი.

თავის მხრივ, სტალინიც უკმაყოფილო იყო. მართალია, ბულგარეთი რუსეთთან არ ომობდა, მაგრამ ღერძის სახელმწიფოების ბლოკის წევრი იყო. ბულგარელები ამა-რაგებდნენ გერმანულ არმიას სურსათით; ბულგარეთში განთავსებულ აეროდრომებიდან აფრენილი გერმანული თვითმფრინავები რუსეთის ქალაქებს ბომბავდნენ; ბულგარულ პორტებში არემონტებდნენ გერმანულ გემებს, რომლებიც შემდეგ რუსეთთან საბრძოლველად მიემართებოდნენ.

— სტალინის საყრდენს ბულგარეთში კომპარტია წარმოადგენდა, — წერს ბულგარელი ისტორიკოსი მიხაილ გრუევი.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყების შემდეგ სტალინმა ბულგარეთის კომპარტიას პარტიზანული ბრძოლების გაჩაღება უბრძანა. ქვეყანა სპეციალურ ზონებად დაიყო. დაიწყო შეიარაღებული რაზმების შექმნა. პარალელურად ე.წ. მებრძოლი ჯგუფებიც აღმოცენდნენ. მათი ამოცანა დიდ ქალაქებში (სოფია, ვარნა, ტირნოვო) ტერორისტული საქმიანობის გაშლა გახლდათ.

ნაციზმი და კომუნისმი ბულგარეთისთვის უმთავრეს საფრთხედ იქცა. მეფე ბორისი ამ საფრთხის განეიტრალებას შეეცადა.

**„კინტაპრი“ ამოქმედდა**

1941 წლის ზაფხულის მიწურულსა და შემოდგომის დასაწყისში ბულგარეთი სენსაციურმა ამბავმა შეძრა: რუსებმა დივერსიული ჯგუფები გადმოსხეს, ერთი წყალქვეშა ნავით, მეორე კი პარაშუტით. ბულგარეთის კონტრაზვერვამ აბეერთან (გერმანიის სამხედრო



ბულგარეთმა უმტკივნეულოდ შეიერთა  
მაკედონია, თრაკია, დობრუჯა  
(სურათზე: მეფე ბორის III თრაკიაში)



დაზვერვა და კონტრდაზვერვა) და ბულგარეთის სამხედრო დაზვერვასთან ერთად ხსენებული ჯგუფები გაანადგურა. ამ საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა ბულგარეთის კონტრდაზვერვის შეფმა ნიკოლა გეშევი (1896-1984).

ბორის III-ის მრჩეველი იანკო რაზვიგოროვი კონტრდაზვერვის შეფს თავის აგარაკზე შეხვდა. ის გეშევს კარგა ხანია იცნობდა, მის კარიერასაც ბევრით უწყობდა ხელს. კონტრდაზვერვის შეფის თანამდებობაზე გეშევი სწორედ რაზვიგოროვის წყალობით იჯდა.

— დაბრძანდი, გეშევ! ახალსა და კარგს რას გვეტყვი?

— ახალს გეტყვით, კარგისა კი რა მოგახსენოთ! გერმანელები ბულგარეთში გადატრიალებას ამზადებენ. სქემა ასეთია: ბულგარეთის მეფეს მოკლავენ და ეს კომუნისტებს დაბრალდება. ტახტზე ბორის III-ის ვაჟი მცირეწლოვანი სიმეონი ავა. რადგან უფლისწული 5 წლის არის, დაინიშნება რეგენტი. ამ პოსტზე გენერალ ხრისტო ლუკოვს დაამტკიცებენ. იმავედროულად, ის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეც გახდება.

— კონკრეტულად რა ძალა დგას ლუკოვის უკან?

— რაინსფიურერი ჰიმლერი და მისი გარემოცვა.

— რა კავშირი აქვს ამას რუსი ტერორისტების გადმოსხმასთან?

— თუ მეფეს მოკლავენ და ხელისუფლებაში გენერალი ლუკოვი მოვა, ბულგარეთში დესტაბილიზაცია დაიწყება. ეს კი პარტიზანული ომის გასაშლელად საუკეთესო ნიადაგს შექმნის. რუსებიც საამისოდ ემზადებიან.

— ანუ ინფორმაციის გაჟონვა მოხდა?

— დავადგინეთ, რომ ბულგარეთში სამიში რუსი მსტოვარი მოქმედებს. მისი მეტსახელია „კენტავრი“. მეტი ჯერჯერობით არაფერი ვიცით. რუსებს ლუკოვის განზრახვის თაობაზე სწორედ მან აცნობა.

აბერის რეზიდენტი ბულგარეთში, მაიორი ოტო ვაგნერი (დოქტორი დელიუსი) გამოცდილი პროფესიონალი იყო. ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან დაინტერესდა ბალკანეთით. სრულყოფილად შეისწავლა ბულგარული, სერბული, ხორვატიული. შეისწავლა ამ ხალხების ისტორიაც. ამიტომაც ადმირალმა ვილჰელმ კანარისმა, აბერის შეფმა, რეზიდენტად სწორედ დელიუსი დანიშნა. გათვლამ გაამართლა. დელიუსმა მიაღწია, რომ ბულგარეთი გერმანიის მოკავშირე გამხდარიყო. სოფიაში აბერის ცენტრი შეიქმნა, საიდანაც დელიუსი მთელი თავისი ურიცხვი აგენტურის



მეფე ბორის III-ს ჰიტლერი დაჟინებით სთხოვდა ბულგარეთის არმიის გაგზავნას აღმოსავლეთის ფრონტზე

საქმიანობას მართავდა. დელიუსის წვლილი უდიდესი იყო იმაში, რომ რუმინეთის ხელისუფლებაში გენერალი იონ ანტონესკუ მოვიდა და იმაშიც, რომ იუგოსლავია თვალის დახამხამებაში ხუხულასავით დაიშალა. ბელგრადის დაცემის შემდეგ დელიუსი ჰიტლერმა პირადად მიიღო. რკინის ჯვარიც გულზე საკუთარი ხელით მიაბნია.

— თქვენ ბალკანეთის უგვირგვინო მეფე ბრძანდებით! — უთხრა ფიურერმა.

იდუმალი კენტავრის შესახებ ინფორმაცია დელიუსმა თავისი მსტოვრებისგან შეიტყო. აგენტის ვინაობა ჯერ ვერ დადგინდა. ცნობილი იყო მხოლოდ, რომ რუსი მსტოვარი ბულგარეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა. არც ის იწვევდა ეჭვს, რომ კენტავრი მაღალი თანამდებობის კაცი იყო. ამიტომაც შეიტყო ჰიტლერის გეგმების შესახებ და რუსებს აცნობა.

— ვინ არის კენტავრი? — დელიუსს ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა.

\* \* \*

იმავე დღეს დელიუსის უმთავრესმა კონკურენტმა, გერმანიის პოლიცია-ატაშემ და SS-ის შტანდანტერფიურერმა ოტო ვიპერმა ბერლინში შემდეგი რადიოგრამა გაგზავნა:

„ბერლინი. სრულიად საიდუმლოდ. რაიხსფიურერ ჰაინრიჰ ჰიმლერს პირადად.

ჰაილ ჰიტლერ!

დადგენილია, რომ ინფორმაციამ გაჟონა და რუსებმა ჩვენი განზრახვის შესახებ შეი-

ტყვეს. ჯაშუშის მეტსახელი, ვინც მოსკოვს ეს ცნობა გადასცა, არის კენტავრი. მიმდინარეობს ღონისძიებები მის გამოსავლენად. ოპერაციას უშუალოდ შტურმბანფიურერი ჰერმან რანკე ხელმძღვანელობს. დადგინდა, რომ კენტავრი ბულგარეთში აბვერის რეზიდენტურის ერთ-ერთი თანამშრომელია. ეჭვქვეშ მოექცა რამდენიმე პირი. ამჟამად ეჭვმიტანილთა რაოდენობა სამამდე შემცირდა.

ჰაილ ჰიტლერ! SS-ის შტანდანტერფიურერი ოტო ვიპერი“.

ამავე დროს გრუ-ს რეზიდენტმა, მეტსახელად აზორსკიმ, მოსკოვში ასეთი ცნობა გადასცა:

„აზორსკი ცენტრს. გენერალი ხრისტო ლუკოვი თავის ბინაზე ბულგარეთის თადარიგის ოფიცერთა კავშირის ლიდერს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა სახელმწიფო გადატრიალება, ბულგარეთში ნაციისტური წესრიგის დამყარება და აღმოსავლეთის ფრონტზე ბულგარული არმიის გაგზავნაა. აზორსკი“.

აქტიურად მოქმედებდა გრუ-ს კიდევ ერთ რეზიდენტი, მეტსახელად „მებრძოლი“. მის მიერ გაგზავნილი ცნობა უაღრესად საყურადღებო იყო:

„მებრძოლი — ცენტრს. აბვერის რეზიდენტი ბულგარეთში დოქტორი დელიუსი სასწრაფოდ ბერლინში გამოიძახეს. საუბარია ბულგარეთში მოახლოებულ სახელმწიფო გადატრიალებასა და ხელისუფლებაში გენერალ ლუკოვის მოყვანაზე. დელიუსმა დაადგინა, რომ ინფორმაციამ გაჟონა და გერმანელ-



თა ზრახვების შესახებ მოსკოვმა შეიტყო. დადგენილია იმ რუსი მწვერავის ფსევდონიმი, რომელმაც ეს ინფორმაცია მოსკოვში გადასცა. მისი მეტსახელია კენტავრი. მეტი გერმანელებმა ჯერჯერობით არაფერი იციან. მებრძოლი“.

### მოუხელთებელი კალწო

დელიუსს ფართო აგენტურული ქსელი ჰქონდა. გეშევისა და რაზვიგოროვის შეხვედრის ამბავიც უმაღ შეიტყვეს. რაზვიგოროვი... ეს კაცი ბოლო დროს მეტისმეტად გააქტიურდა. დელიუსმა მასზე ამომწურავი დოსიე შეკრიბა.

იანკო რაზვიგოროვი ინტელიგენტურ ოჯახში დაიბადა. მამამისი ბორის III-ის მამის — ფერდინანდ კობურგელის ნდობით აღჭურვილი პირი იყო. იანკომ დაამთავრა სოფიის გიმნაზია, სწავლობდა ოქსფორდში. როგორც ისტორიკოსმა, სახელი გაითქვა ვასილ ლევსკისა და ხრისტო ბოტეფზე გამოქვეყნებული შრომებით. ბორის III მას ენდობოდა. 1935 წელს მეფემ მთელი ძალაუფლება აიღო, რაზვიგოროვიც მისი მრჩეველი გახდა.

დოსიეში ნათქვამი იყო, რომ რაზვიგოროვის კავშირი ჰქონდა როგორც ინტელიჯენს სერვისთან, ასევე ინგლისისა და აშშ-ის გავლენიან წრეებთან. ის გეშევის დაწინაურებას უწყობდა ხელს. ამ კაცის დოსიეც არანაკლებ საინტერესო გახლდათ.

ნიკოლა ხრისტოვ გეშევი ნოტარიუსის ოჯახში დაიბადა. ახალგაზრდობაში სოციალისტური იდეებით იყო გატაცებული და ბულგარეთის კომპარტიის დამაარსებლის, დიმიტრ ბლაგოევის მიმდევარიც გახლდათ. 1923 წლის სექტემბერში პუტჩის შემდეგ გეშევა კომუნიზმში დაგმო და კონტრდაზვერვაში დაიწყო მუშაობა. მან აწამა და მოკლა ცნობილი პოეტი-სიმბოლისტი გეო მილევი, რომელიც კომუნისტებს მიემხრო. გეშევის სახელს უკავშირდება არაერთი პროვოკაცია, მიმართული კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. გეშევის წვლილი უდიდესი იყო იმაში, რომ ბულგარეთში კომუნისტების გავლენა დაეცა. მიუხედავად ამისა, მას კარგა ხანს არ სწყალობდნენ. ერთადერთი ადამიანი, ვინც გეშევისადმი სიმპატიით იყო განწყობილი, იანკო რაზვიგოროვი გახლდათ. კონტრდაზვერვის შეფად გეშევი რაზვიგოროვის რეკომენდაციით დაინიშნა.

დელიუსი დააკვირდა ფოტოს, რომელზეც დიმიტრ ბლაგოევის დაკრძალვა იყო გამოსახული. მისი ყურადღება ორმა ახალგაზრდამ მიიპყრო, რომელთაც კუბო მოჰქონდათ. პირველი ვილკო ჩერვენკოვი გახლდათ, მეორე — ნიკოლა გეშევი.

ვილკო ჩერვენკოვზე აბევრს უზარმაზარი დოსიე ჰქონდა. 1923-1925 წლებში ჩერვენკოვი კომუნისტური ტერორისტული ჯგუფების მეთაური იყო და რუსეთში გაიქცა. ბულგარეთში დაუსწრებლად გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს. ახლა უკვე მოსკოვში ცხოვრობდა და გიორგი დიმიტროვის დაზე იყო დაქორწინებული, მისი სიყრმის მეგობარი გეშევი კი ბულგარეთის კონტრდაზვერვას ხელმძღვანელობდა.

\* \* \*

აბევრსა და ბულგარეთის სამხედრო დაზვერვასთან ერთად, ბულგარეთის კონტრდაზვერვამ თითქმის ყველა რუსი დივერსანტი ცოცხლად შეიპყრო. ვინც დაკავებისას სროლა ატეხა, მოკლეს. ჯგუფის მეთაურმა გაქცევა შეძლო. დაკავებულთა ჩვენებებიდან დადგინდა, რომ მეთაურის მეტსახელია კალ-



ვილკო ჩერვენკოვი ▲

ვილკო ჩერვენკოვი 1951 წელს სოციალისტურ ბულგარეთში გამოშვებულ საფოსტო მარკაზე ▶



ბანკოტი გიორგი დიმიტროვის გამოსახულებით ბულგარეთში 1962 წელს გამოვიდა

ჩო. იყო ბულგარელი კომუნისტი, რომელიც 1923 წლის პუტჩის შემდეგ რუსეთში გაიქცა, იქაური მოქალაქეობა მიიღო და რუსული სპეცსამსახურების თანამშრომელი გახდა.

— კაღჩო გამოცდილი მგელია! იბრძოდა ესპანეთში. აქვს დივერსიული საქმიანობის უდიდესი გამოცდილება, — შეიტყო გეშვემა.

მალე კაღჩოს ვინაობაც დადგინდა. მისი ნამდვილი სახელი და გვარი ცვიატკო რადონოვი იყო. ოდესღაც ქარზნაში მუშაობდა. პირველი მსოფლიო ომის დროს ჯარში გაიწვიეს. 1919 წლიდან ბულგარეთის კომპარტიაში შევიდა. აქტიურად მონაწილეობდა 1923 წლის პუტჩში, რომლის დამარცხების შემდეგ გაიქცა რუსეთში. დაამთავრა ფრუნზეს სახელობის აკადემია. იბრძოდა ესპანეთში.

— რაკი ფრუნზეს სახელობის აკადემია დაამთავრა, გამოდის, რომ გრუ-ს ოფიცერია, დაკავებული ჯგუფი კი შინსახკომისაა. როგორ მოხდა, რომ მის სათავეში გრუ-ს ოფიცერი დგას? აკი შინსახკომი და გრუ დაპირისპირებულ სტრუქტურებს წარმოადგენენ? — გეშვეს ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა. მალე მას მოახსენეს, რომ კაღჩო ანუ ცვიატკო

რადონოვი კონტაქტზე გავიდა იატაკქვეშა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებთან, შეხვდა ტრაიჩო კოსტოვს, კომუნისტური იატაკქვეშეთის ხელმძღვანელს ბულგარეთში. ცეკას სხდომაზე გადაწვდა სამხედრო ცენტრის (სამხედრო კომისია) შექმნა. მისი ამოცანა ბულგარეთში პარტიზანული მოძრაობის გაშლა იყო.

ბულგარეთის კომპარტიის სამხედრო ცენტრს სათავეში საბჭოთა კავშირის მოქალაქე, საბჭოთა სპეცსამსახურების ოფიცერი ცვიატკო რადონოვი ჩაუდგა.

\* \* \*

ბორის III-მ თავისი მრჩეველი ცალკე კაბინეტში მიიღო. მეფე გადაღლილი ჩანდა. რაზვიგოროვის დანახვაზე წამოდგა და გაიღიმა.

— დაჯექი, — წარმოთქვა მონარქმა, — მოხდა რამე?

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ.

რაზვიგოროვი დაჯდა. ცდილობდა, სათქმელი მოკლედ, ლაკონურად ჩამოეყალიბებინა. როცა დაამთავრა, წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— იცი, რაზვიგოროვ, ჩვენი ტრაგედია რა არის? ბულგარელებს არასრულფასოვნების კომპლექსი გვაქვს. ამიტომაც მთავარ იმედს უცხოელებზე ვამყარებთ. ჩვენი ინტელიგენცია პროინგლისურია, ოფიცერთა კორპუსი — პროგერმანული, ხალხი პრორუსული და მხოლოდ მე ვარ პრობულგარელი...

— მე თქვენ გვერდით ვარ, თქვენო უდიდებულესობავ, — ჩუმად მიუგო რაზვიგოროვმა, — ყველა ბულგარელი პატრიოტი თქვენთანაა.

### დელიუსი და გჟევი

მოსკოვთან ვერმანტის მარცხის შემდეგ ცხადი გახდა, რომ რუსეთში ელვისებური ომის გეგმა ჩაიშალა. ბრძოლებმა ხანგრძლივი სახე მიიღო. ჰიტლერმაც ბულგარეთის მეფისგან კატეგორიულად მოითხოვა არმიის რუსეთის ფრონტზე გაგზავნა.

ბორის III-მ ფიურერს უარით უპასუხა. სამაგიეროდ, ჰიტლერს მხარს უჭერდნენ ბულგარელი ნაციისტები. თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, გენერალმა ხრისტო ლუკოვმა, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვან ნაციისტურ ორგანიზაცია ნაციონალური ლეგიონების კავშირს ხელმძღვანელობდა, კატეგორიულად მოითხოვა ბულგარული არმიის რუსეთის



ფრონტზე გაგზავნა და ქვეყანაში ნაცისტური წესების შემოღება.

ამან გერმანელთა მხრიდან ლუკოვის მხარდაჭერა განაპირობა. გერმანიის ელჩმა ადლოფ ბეკერლემ მოითხოვა, პრემიერი ბოგდან ფილოვი ხრისტო ლუკოვით შეეცვალათ. მეფემ გერმანელებს კვლავ უარით უპასუხა. მაშინ ბერლინმა ბულგარეთის ხელისუფლებასზე ზეწოლა დაიწყო...

„აზორსკი — ცენტრს. უკანასკნელ ხანს ბულგარეთში ნაცისტური და პრონაცისტური ელემენტების მკვეთრი გააქტიურება შეინიშნება. დაიწყო ერთიანი კოალიციის ფორმირება, რომლის სათავეშიც გენერალი ლუკოვი იდგება. ბულგარეთის არმიაში იქმნება ლუკოვის მხარდამჭერი კომიტეტები. პარალელურად, დეპუტატმა სოტირ იანევმა პარლამენტში დაიწყო ლუკოვის მხარდამჭერი ჯგუფის შექმნა. აზორსკი“.

გეშევის ვიზიტი დელიუსისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ბულგარეთის კონტრდაზვერვის შეფისადმი ის ანტიპათიურად იყო განწყობილი და გეშევიც იმავეთი პასუხობდა. ამიტომ, როცა გეშევა დაურეკა და შეხვედრა სთხოვა, გაუკვირდა. ახლა გეშევი მის წინაშე იჯდა და სახეზე ღიმილი დასთამაშებდა, რაც დელიუსს მუდამ აღინიანებდა.

— ჰერ მაიორო, — გეშევი წამით გაჩუმდა, — უახლოეს ხანებში ბულგარეთში მნიშვნელოვანი ამბებია მოსალოდნელი. ჩვენს პატარა ქვეყანაში დიდი თამაშები იწყება, — გეშევი წამით გაჩუმდა, — ეს გვაავალდებულებს, რომ გავერთიანდეთ.

— სტრატეგიული მოკავშირეები ვართ, თუ ტაქტიკური?

— ამას მომავალი გვიჩვენებს...

„მებრძოლი — ცენტრს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბულგარეთში სამხედრო გადატრიალება მზადდება. სცენარი ასეთია: ქვეყანას მოიცავს ტერაქტების სერია; კულმინაცია მეფე ბორის III-ის ლიკვიდაცია იქნება, რაც დაბრალდება კომუნისტებს. ტახტზე ავა ბორის III-ის ვაჟი სიმეონი. იმის გამო, რომ უფლისწული მცირეწლოვანია, დაინიშნება რეგენტი. ამ პოსტს გენერალი ლუკოვი დაიკავებს. პარლამენტში დეპუტატმა სოტირ იანევმა ლუკოვის მხარდამჭერი ჯგუფი უკვე შექმნა. არმიაში ინტენსიურად მიმდინარეობს ლუკოვის მხარდამჭერი კომიტეტების ფორმირება. უკანასკნელი ცნობებით, გენერალი

ლუკოვი საიდუმლოდ შეხვდა სოფიისა და ვარნის გარნიზონების მეთაურებს, აგრეთვე ბულგარეთის თადარიგის ოფიცერთა კავშირის ლიდერებს. მებრძოლი“.

სადაზვერვო განყოფილება (რო) ბულგარეთის არმიაში ჯერ კიდევ 1902 წელს შეიქმნა. შემდგომში მან რამდენჯერმე განიცადა რეორგანიზაცია. 1935 წელს მეფე ბორისმა ქვეყანაში მთელი ძალაუფლება ხელთ იგდო. სადაზვერვო განყოფილების ამოცანებიც გაფართოვდა და დაზვერვის გარდა, კონტრსადაზვერვო ფუნქციებიც დაეკისრა.

რო-ს შეფი, პოლკოვნიკი კოსტოვი დელიუსის ძველი მეგობარი იყო, გერმანელი ხელს უწყობდა მის დაწინაურებას. გეშევის წასვლის შემდეგ დელიუსმა კოსტოვს დაურეკა.

— ბატონო პოლკოვნიკო! ეთხოვთ მოხვიდეთ. თქვენთან სასწრაფო საქმე მაქვს.

გენერალი ლუკოვი 1942 წლისთვის გამოიკვეთა, როგორც რუსეთისთვის უადრესად სამიში პიროვნება. ის ბულგარული არმიის რუსეთის ფრონტზე გაგზავნას მოითხოვდა.

ცვიატკო რადონიოვის ძეგლი ბულგარეთის სოციალისტური ზელოვნების მუზეუმში



გერმანული არმია სტალინგრადს უახლოვდებოდა. ასეთ ვითარებაში ფრონტზე დამატებითი სამხედრო ძალის გამოჩენას შეეძლო ფატალური როლი ეთამაშა. მოსკოვიდან სოფიაში რადიოგრამა გაიგზავნა:

„ცენტრი კალჩოს. მოაშხადეთ გენერალ ზრისტო ლუკოვის ლიკვიდაციის ოპერაცია. დირექტორი“.

**სტალინის გადაწყვეტილებით**

ადვოკატი ალექსანდრ პევეი პოლკოვნიკ კოსტოვის ერთ-ერთი საიმედო საყრდენი გახლდათ. რო-ს პირდაპირი ხელშეწყობით პევემა უნიკალური აგენტურული ქსელი შექმნა, რომელიც ერთდროულად მუშაობდა აბერზე, ინგლისელებსა და რო-ზე. პევეის საქმიანობას დიდი სარგებელი მოჰქონდა როგორც რო-სთვის, ასევე აბერისთვის.

— დაჯექი, პევე, — კოსტოვმა გაიღიმა, — მოხდა რამე?

— ლუკოვი გენერალ ზაიმოვს შეხვდა, — წაიჩურჩულა პევემა (გენერალ ვლადიმირ ზაიმოვის მეტსახელი იყო „აზორსკი“).

გაოგნებული კოსტოვი ჩუმად იჯდა. ამას არ მოელოდა.

\*\*\*

გიორგი დიმიტროვი ოთახის შუაგულში გაჩერდა. სტალინთან ისე იქცეოდა, როგორც დისციპლინირებულ რევოლუციონერს შეჰფერის, ოღონდ პირმოთხეობის გარეშე. სტალინი

ხედავდა, რომ დიმიტროვი არა მხოლოდ ამბიციური, არამედ ჭკვიანიც იყო, ამიტომაც ცდილობდა, ბულგარელი კომუნისტების ბელადი გაეკონტროლებინა.

დიმიტროვის დანახვაზე სტალინი არც კი წამომდგარა, მხოლოდ ცერით ანიშნა, დაჯექიო. დიმიტროვი დაემორჩილა.

— გიორგი მიხაილოვიჩ, — სტალინი წამით გაჩუმდა, — ბულგარეთიდან უცნაური ამბები მოდის. ნაცისტ გენერალს ლუკოვს ჩვენთან კონტაქტები სურს! რას ნიშნავს ეს?

— ამ არამზადას ესმის, რომ ჰიტლერმა ომი წააგო, — ჩუმად მიუგო დიმიტროვმა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ლუკოვს დიქტატორული ამბიციები აქვს, — შენიშნა დიმიტროვმა, — მას სურს, ბულგარეთის დიქტატორი გახდეს. ამიტომ გერმანელებთანაც თამაშობს, ჩვენთანაც, ინგლისელებთანაც.

— გეთანხმებით, — თავი დაუქნია სტალინმა, — ასეა თუ ისე, ლუკოვის საქმიანობა ჩვენთვის ხელსაყრელია. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე...

\*\*\*

„ცენტრი კალჩოს. შეაჩერეთ გენერალ ლუკოვის ლიკვიდაციის ოპერაცია. დაელოდეთ შემდგომ მითითებებს. დირექტორი“.

(გაგრძელება იქნება)

**ნიკა თაგაზაძე**

**ისტორიის დოქტორი**



ბულგარეთში ნაციონალისტები ზრისტო ლუკოვის ხსონას მიაგებენ პატივს





**„როგორც იქნა!“ — 2008 წელს რუსეთმა დემოკრატიად თავის მოჩვენება დაასრულა**

*საქართველოსთან რუსეთის ომის შემდეგ ბაშარ ასადმა მიიჩნია, რომ რუსეთმა რუბიკონი გადალახა (სურათზე: სირიელები ბაშარ ასადისა და ვლადიმირ პუტინის პლაკატებით)*

**თავი 20**

**რომელშიც ბაშარ ასადი ვლადიმირ პუტინის ანარეკლი ხდება**

ბაშარ ასადს 2008 წელს შეეხვდი. მაშინ ის ჯერ კიდევ არ იყო მსოფლიოს მიერ მოკვეთილი, მაგრამ უკვე გრძნობდა, რომ მისი პერსპექტივები არასახარბიელო იყო. საერთოდ კი, მას არასდროს უყვარდა ჟურნალისტებთან ურთიერთობა, მაგრამ ამ წლის სექტემბერში უცბად ძალიან მოისურვა რუსული პრესისთვის ინტერვიუს მიცემა. სწორედ ამ რუსული პრესის წარმომადგენელი გახლდით გაზეთ „კომერსანტის“ სპეციალური კორესპონდენტის რანგში. ასადის უცაბედი სურვილი, ურთიერთობა დაემყარებინა პრესასთან, გასაგები იყო. იგი არაჩვეულებრივად გაემხნეებინა საქართველოში აგვისტოს ომს. „თუ ადრე რუსეთში იყო ხალხი, ვისაც მიაჩნდა, რომ აშშ შეიძლება გახდეს მეგობრული ქვეყანა, ახლა, ვფიქრობ, ასეთი ხალხი აღარ დარჩა“, — სინარულით ამბობდა ის.

ფაქტობრივად, ინტერვიუში მან ერთადერ-

თი აზრი გამოხატა: „როგორც იქნა!“ ასადი დიდხანს ელოდებოდა და იმედოვნებდა, რომ რუსეთი შეწყვეტდა თავის წარმოჩენას ჩვეულებრივ დასავლურ დემოკრატიად და, ბოლოს და ბოლოს, გახდებოდა ჩვეულებრივი აღმოსავლური ტირანია, „ნორმალური“ განკვეთილი ქვეყანა; აღარ შერცხვებოდა რაკეტების მიყიდვის მისი ქვეყნისთვის, სირიისთვის, აგრეთვე ირანისთვის. და საქართველოსთან ომის შემდეგ ბაშარ ასადმა გადაწყვიტა, რომ რუბიკონი გადალახულია, უკან დასახევი გზა აღარ არის და დასავლეთი რუსეთს ამ ომს არ აპატიებს.

„ახლა რუსეთის მიმართ ხდება ის, რაც ჩვენ უკვე შეგვემთხვა. კრიზისი საქართველომ დაიწყო, დასავლეთი კი რუსეთს სდებს ბრალს, — აღშფოთებას გამოხატავდა ასადი, — უწყვეტი დეზინფორმაცია, ფაქტების დამახინჯება, რუსეთის საერთაშორისო იზოლაციის მცდელობები. ეს პროცესი უკვე რამდენიმე წელიწადია გრძელდება. ისინი ჯერ ცდილობდნენ რუსეთის მოქცევას მტრულ მთავრობათა ალყაში, დარტყმას რუსეთის ეკონომიკაზე, მუდმივ ჩარევას რუსეთის შინა-

**მიხაილ ზიზარის „კრემლის ლაშქარი“ — თანამედროვე რუსეთის მოკლე ისტორია (დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №№67-73, 75, 77, 79, 82-86)**



ვლადიმერ პუტინი ლანჩის დროს, „დიდი ოცეულის“ ბრისბენის სამიტზე (2014 წ.)

გან საქმეებში, თქვენს საზღვრებთან ანტისარაკტო თავდაცვითი სისტემის განლაგებას. და ბოლოს აი, ვითარება საქართველოში. ეს რუსეთის ალყაში მოქცევისა და იზოლირების მცდელობების აპოკაა“. იგი საკმაოდ გულუბრყვილო ადამიანად მომეჩვენა: დიქტატორისთვის მეტისმეტად რბილად და საკუთარ თავში დაურწმუნებლად და გამოცდილი პოლიტიკოსისთვის — მეტისმეტად გულდიად და მოლაყებელ.

კიდევ იყო უსახურობის განცდა. არაფერი განსაკუთრებული არ ჩანდა არც გარეგნობაში, არც საუბარში, არც რეზიდენციის ინტერიერში. მაგალითად, იორდანიის მეფეს, რომელიც მისი კბილა იყო და ხშირადაც ადარებდნენ, ერთი წლით ადრე ჩამოვართვი ინტერვიუ. მაშინ გამაკვირვა მისი რეზიდენციის კაბინეტებში გამოფენილმა სათამაშო ტანკების გიგანტურმა კოლექციამ. ბაშარს მსგავსი გატაცებაც კი არ ჰქონდა. ჩვენი ინტერვიუს დასრულებისთანავე ბაშარი სოჭში გაფრინდა, სადაც დანიშნული ჰქონდა შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან. ამჟამად, რომ იქ მან ზემოხსენებული არგუმენტები გაიმეორა, მაგრამ მსმენელში შეცდა, უფრო ზუსტად, აჩქარდა. მედვედევი არათუ არაფერზე შეთანხმებულა ასადთან, პირიქით, ორი წლის შემდეგ ამერიკელებთან ერთად გაეროში ხმა მისცა სანქციებს ირანის წინააღმდეგ, შემდეგ კი მხარი დაუჭირა ოპერაციას ლიბიის წინააღმდეგ. სწორედ იმ სანქციას, რომელსაც შემდეგ პუტინი „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ უწოდებს.

შვიდ წელიწადში რუსეთის საგარეო პოლიტიკამ საკვირველი გზა განვლო. თუ 2008 წელს ბაშარ ასადის სიტყვები პარანოიულ ბოდვად აღიქმებოდა, 2015 წელს საგარეო პოლიტიკის მენისტრიმი გახდა.

### მართობა ავსტრალიაში

2014 წლის 15 ნოემბერს ვლადიმერ პუტინი გაემგზავრა ავსტრალიაში, ქალაქ ბრისბენში „დიდი ოცეულის“ სამიტში მონაწილეობის მისაღებად. ამ შეხვედრის წინ ჟურნალისტები დასავლეთის ქვეყნების ლიდერებს გამოცდას უწყობდნენ: რას ეტყვიან პუტინს შეხვედრისას, როგორ მიღებას მოუწყობენ ყოველივე მომხდარის შემდეგ. ავსტრალიის პრემიერმა ტონი ებოტმა, ალბათ, ყველაზე მოუხეშავი პასუხი გასცა: მან გამოიყენა ავსტრალიურ ფეხბურთში გავრცელებული ტერმინი to shirt-front, რაც ნიშნავს „მოწინააღმდეგისთვის მკერდში დარტყმას გამოქანებით“. სწორედ ებოტს მოუწია პირველი სამიტის მასპინძლობამ, სადაც ჩავიდა ვლადიმერ პუტინი, რომელიც სწრაფად ხდებოდა განკვეთილი.

მოლოდინის მიუხედავად, არავითარი სიტყვიერი შეხლა-შემოხლა არ მომხდარა. უფრო უარესი გამოვიდა. თავდაპირველად, ტრადიციული ფოტოგადაღების დროს პუტინი ცენტრში კი არ დააყენეს აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან ან ჩინეთის ლიდერი სი ძინპინთან, არამედ ბოლოში, სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტ ჯეიკობ ზუმას გვერდით. მანამდე პუტინი არასდროს მდგარა ასეთ შორეულ პერიფერიაში. კოლეგების ქცევა კიდევ



უფრო დემონსტრაციული აღმოჩნდა ლანჩის დროს. ოფიციალტმა პუტინი მისთვის გამოყოფილ მაგიდაზე მიაცილა და აღმოჩნდა, რომ მას სადილობა მარტოს მოუწევდა. მაგიდის მოპირდაპირე ბოლოში დაჯდა ბრაზილიის პრეზიდენტი დილმა რუსეფი, ყველა დანარჩენი ლიდერი სხვა მაგიდებთან განლაგდა.

მეორე დღეს ვლადიმერ პუტინმა სამიტი დასრულებამდე მიატოვა და ბრისბენიდან ისე გაფრინდა, სამუშაო საუბრესაც არ დასწრებია. გამოფრენამდე მან ჟურნალისტები შეკრიბა და თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ კრემლში სამუშაო დღის წინ გამომძინება სურდა.

ავსტრალიური მარტოობა პუტინმა დამცირებად აღიქვა და ეს რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ახალი ეტაპის დასაწყისი გახდა. პუტინს, რომელიც მიეჩვენა, გამორჩეული და პოპულარული ყოფილიყო, საზღვარგარეთ გამგზავრების შიში გაუჩნდა, რადგან ძალიან არ სურდა, თავი გარიყულად ეგრძნო. მის მაგალითს სხვა სახელმწიფო ჩინოვნიკებმა მიბაძეს — დასავლეთის წარმომადგენლებთან შეხვედრები მინიმუმამდე დაიყვანეს ლიბერალურმა მოხელეებმაც კი. ვიცე-პრემიერი იგორ შუვალოვი, რომელიც დავოსში იყო მიწვეული, ერთი დღით ჩავიდა და მაშინვე გამობრუნდა, რის გამოც სესიების უმეტესი ნაწილი გამოტოვა.

საერთაშორისო იზოლაციის უსიამოვნო გრძობა თანდათან ღრმავდებოდა. კიდევ ერთი სიმბოლო გახდა მიუნხენის მორიგი კონფერენცია, მიძღვნილი უსაფრთხოების საკითხებისადმი. საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის გამოსვლის დროს დარბაზში ორჯერ იფეთქა სიცილმა. რუსეთის საგარეო პოლიტიკის არგუმენტებს შეზღვევენ არა ყვირილითა და სტვენით, არამედ სიცილით. მინისტრი განრისხდა, თავი ძლივს შეიკავა და სიტყვა ნაწყენმა დაამთავრა: „შევიძლიათ იცინოთ, სიცილი სიცოცხლეს ახანგრძლივებს“.

პირველად დარბაზს მაშინ გაეცინა, როცა მინისტრი ლაპარაკობდა, რომ ყირიმის რუსეთთან მიერთება მოხდა გაეროს წესდების ფუძემდებელი პრინციპების შესაბამისად, „ერების თვითგამორკვევის უფლებით“. ცნობილია, რომ გაეროს წესდება მეტად წინააღმდეგობრივია და შეიცავს ორ ურთიერთგამომრიცხავ პრინციპს: „ერების თვითგამორკვევისა“ და „საზღვრების ხელშეუხებლობის“. ერთი მეორის გარეშე არ

არსებობს. ანუ თვითგამორკვევა ყირიმის სცენარით, რასაკვირველია, წინააღმდეგება გაეროს წესდებას: უკრაინაც წინააღმდეგია და თვით რუსეთსაც არაერთხელ უღიარებია მისი საზღვრების ურღვეობა, მათ შორის ხელშეკრულებაშიც, რომელსაც ხელი თავად ვლადიმერ პუტინმა მოაწერა 2003 წელს. უფრო ხმაძალდა ახარხარდა დარბაზში, როცა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ 1989 წელს გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მოახდინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია — ამ უკანასკნელში რეფერენდუმის გამართვის გარეშე. როცა სერგეი ნარიშკინმა იგივე თქვა სახელმწიფო სათათბიროში, არავის გაუცინია, აქ კი თითქოს კაშხალი გაირღვა. სიტუაციას პიკანტურობას კმატებდა ის, რომ მიუნხენი გერმანიაა, ლავროვის თქმით, ოკუპანტი ქვეყანა. კანცლერი ანგელა მერკელი კი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშია დაბადებული, ე.ი. უკანონოდ ანექსირებული ტერიტორიის წარმომადგენელია. შესაძლოა ვინმეს მოსჩვენებოდა, რომ ლავროვი უკბილოდ ხუმრობდა, თუმცა მიუნხენის კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობას ნამდვილად მოეჩვენებოდა, რომ ლავროვი მათ აბუჩად იგდებდა. ყველა

*ტრადიციული ფოტოგადაღებისას ბრისბენში პუტინი ბოლოში დააყენეს, სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტ ჯეიკობ ზუმას გვერდით. მანამდე პუტინი არასდროს მდგარა ასეთ შორეულ პერიფერიაში*





**2014 წლის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე რუსეთის წარმომადგენლის გამოვლას დამამცირებელი სიცილით ზედბოდნენ**

მისი არგუმენტი ეხებოდა რაღაც იურიდიულ ნორმებს, რომლებიც ოდესღაც, მისი თქმით, დაარღვიეს დასავლეთის ქვეყნებმა: შეთანხმება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების ადაპტაციის შესახებ; შეთანხმება საშუალო და მცირე მანძილებზე მოქმედი რაკეტების შესახებ; შეთანხმება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ. ყველა ჩამოთვლილი ნორმა და ხელშეკრულება მართლაც ირღვეოდა. მაშ, რა იყო სასაცილო?!

დარბაზის მძაფრი რეაქციის მიზეზი გასაგები გახდებოდა, როცა გულდასმით მოვისმენდი, რის შესახებ საუბრობდნენ ლავროვის ევროპელი და ამერიკელი კოლეგები მის გამოსვლამდე და გამოსვლის შემდეგ. მიუნხენის დარბაზში მყოფ არც ერთ პოლიტიკოსსა და დიპლომატს ერთი წამითაც არ ეეჭვებოდა, რომ უკრაინის აღმოსავლეთში ნამდვილი სისხლისმღვრელი ომი მიმდინარეობს და ამ ომს რუსეთი წარმართავს. როცა ამერიკელმა სენატორმა ლინდსეი გრემმა გამოკითხვა მოაწყო, ვის სჯეროდა, რომ უკრაინაში რუსეთის ჯარი იმყოფებოდა, ხელი მთელმა დარბაზმა ასწია. ლავროვის ყველა არგუმენტი წააგავდა უზნრო მომიზეზებასა და სასაცილო ასოთკირკიტობას. „ოკეი, შესაძლოა ოდესღაც ვიღაცამ დაარღვია რამე, მაგრამ თქვენ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე ჯარი შეიყვანეთ“, — ამბობდა ამერიკელი დიპლომატი.

რუსეთის დელეგაციის წევრები განცვიფრებული იყვნენ, რომ რუსეთის აღარავის

სჯეროდა. მიუნხენში ყოველი გამომსვლელი ამას პირდაპირი ტექსტით ამბობდა. რუსეთის მოხელეები საკონებელში იყვნენ, თუ როგორი არადიპლომატიური გულანდილობით მსჯელობდნენ ისინი რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე რუსეთის მინისტრის თანდასწრებით, — მისი დარბაზში ყოფნა არავის აბრკოლებდა.

დამამცირებელი სიცილი გახდა რუსეთის გარეშე სამყაროსთან ურთიერთობის ევოლუციის ახალი საფეხური. სწორედ მიუნხენში, რვა წლით ადრე, 2007 წელს გამოვიდა ვლადიმირ პუტინი თავისი ცნობილი სიტყვით. მან გამოიწვია შოკური ეფექტი, დაახლოებით ისეთი, როგორიც ჰიუ გრანტის სიტყვამ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის როლში ფილმში „რეალური სიყვარული“. პუტინმა დაადანაშაულა აშშ თითქმის ყველა მომაკვდინებელ ცოდვაში, მათ შორის, საერთაშორისო სამართლის გათუღვაში. საინტერესოა, რომ სიმართლე დიდწილად მის მხარეს იყო, რადგან თვით მას მაშინ თითქმის ვერაფერში დაადანაშაულებდნენ. ჯერ არ მომხდარიყო ომი სამხრეთ ოსეთში, შორს იყო ყირიმის ანექსიამდე. პუტინმა აშშ-ს მსოფლიო უანდარძი უწოდა და აუდიტორია დიდხანს და დაფიქრებით უსმენდა. კონფერენციის მონაწილეები არ ენდობოდნენ პუტინს, მაგრამ არ შეეძლოთ, ნაწილობრივ მაინც არ დათანხმებოდნენ.

ორი წლის შემდეგ, 2009 წელს მიუნხენში ჩავიდა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი და მანაც წარმოთქვა მიუნხენის სიტყვა.



მან, რასაკვირველია, არ აღიარა, რომ 2007 წელს პუტინი მართალი იყო, მაგრამ განაცხადა, რომ ამერიკის წინა ადმინისტრაცია არ იყო მართალი. მან პირველად წარმოსთქვა სიტყვა „გადატვირთვა“ და რუსეთს ახალი ეტაპის დაწყება შესთავაზა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში.

მაგრამ 2015 წლისთვის ყველაფერი ისე შეიცვალა, რომ თავის მორიგ მიუხეხის სიტყვაში ბაიდენმაც კი გაიკვირვა, რამდენად სწრაფად იყო მდგომარეობა შეცვლილი. არავითარი გადატვირთვა აღარ არსებობდა. უფრო უარესი: თუ ყურადღებით მოუხსენდით ბაიდენის სიტყვებს, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ არავითარი რუსეთი აღარ არსებობდა — ბაიდენი მის შესახებ მხოლოდ წარსულ დროში ლაპარაკობდა. „რუსეთი, რომელიც დაუკარგეთ“, — ასე შეიძლება დასათარღდეს ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის სიტყვა. „ჩვენ ბევრს ვეცადეთ, რომ რუსეთი ინტეგრირებულიყო მსოფლიო ეკონომიკაში, მსოფლიო წესრიგში და გამხდარიყო აყვავებული ქვეყანა, მაგრამ იგი არ გახდა. ვიმედოვნებთ, რომ ისეთი რუსეთი, როგორის ნახვასაც ჩვენ ვისურვებდით, ოდესმე მაინც გაჩნდება“.

ასეთივე პირდაპირობით ლაპარაკობდა პუტინის შესახებ ანგელა მერკელი: „არ მჯერა, თუ ჩვენ უკრაინის არმიას იარაღს მივაწვდით, ეს პუტინზე ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენს, რომ იგი დაიჯერებს, რომ შესაძლებელია ეს ომი წააგოს“. მერკელი პირდაპირ ამბობდა, რომ უკრაინის წინააღმდეგ ომს პუტინი წარმართავს და არა ვიღაც სეპარატისტები.

მოსკოვში ამგვარ იზოლაციას სრულად აღიქვამდნენ. მაგრამ სწორედ ამ მომენტში კრემლში გაჩნდა უცნაური და ცოტათი ირაციონალური იდეა — „საერთო უბედურების“ კონცეფცია, „რომელიც ყველას გააერთიანებს“. იმ მოხელეებმა, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ რუსეთის იზოლირება სამუდამო არ არის, დაიწყეს „ფილოსოფოსობა“, რა პირობებში შერიგდებიან რუსეთი და დასავლეთი. „აი, ნახავთ, მოხდება რაღაც უფრო საშინელი, იმდენად საშინელი, რომ ჩვენ ჯერ ვერც კი წარმოვიდგენია, მაგალითად, რაღაც მესამე მსოფლიო ომის მსგავსი, — წინასწარმეტყველებდა კრძო საუბარში სახელმწიფოს ერთ-ერთი უმაღლესი რანგის მოხელე, — სწორედ ეს შეგვარიგებს ამერიკელებთან“.

## „თავისი კალისში“

ახლო აღმოსავლეთი საბჭოთა წლებში მუდამ ითვლებოდა მოსკოვის განსაკუთრებული ინტერესების ზონად. არც ერთი სხვა რეგიონი არ იმსახურებდა საბჭოთა ცენტრალური ტელევიზიის საერთაშორისო მიმოხილველების მსგავს ყურადღებას. არც ერთი უცხოელი ლიდერი (სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ლიდერების გამოკლებით) არ ჩამოდიოდა სსრკ-ში ისე ხშირად, როგორც პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მეთაური იასირ არაფატი. არც ერთ ქვეყანას (ამერიკის ჩათვლით) არ ლანძღავდა საბჭოთა პროპაგანდა ისე, როგორც „ისრაელის მხედრიონს“.

თუ ახლო აღმოსავლეთი „უკანა ეზო“ იყო საბჭოთა კავშირისთვის, მისი დაშლის შემდეგ ასეთი მიდგომა მყისიერად მიეცა დაუიწყებას. ახალმა რუსულმა სახელმწიფომ დაუყოვნებლივ დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები ისრაელთან და ახალი ებრაელი ოლიგარქების მეშვეობით მათ აქტიურად ავითარებდა.

არაბული სამყაროს მთავარი მცოდნე ვეგენი პრიმაკოვი იყო, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და პრემიერი, ვლადიმერ პუტინის არშემდგარი მეტოქე პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში. მართალია, ნამდვილი კონკურენცია მათ შორის არც ყოფილა და პრიმაკოვი ვადაზე აღრე დანებდა — პუტინმა მაინც გულში ჩაიხვია წყენა ვეტერანის მიმართ. მის რჩევებს არ ისმენდა, აზრს არ ეკითხებოდა და საერთოდ, განზე გასწია რეალური საქმეებისგან.

(გაგრძელება იქნება)

## თარგმნა ჰამლეტ ზუკაკიშვილმა

*პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მეთაური იასირ არაფატი და სკკპ გენერალური მდივანი ლეონიდ ბრუჟნევი*



# ზრსენაი

2018 წლის მაჩვილ ნომაჩვი ინილი

## FALCON HEAVY

### კოსმონავიკის ახალი სიფყვა

2018 წლის 6 თებერვალს აშშ-ში კენედის სახელობის კოსმოსური ცენტრიდან ილონ მასკის ახალი რაკეტა – Falcon Heavy აფრინდა. მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოქცეულმა მოვლენამ კოსმონავიკის ახალ ეტაპს ჩაუყარა საფუძველი. 70 მ-ის სიგრძის ზემძიმე კლასის უახლესმა Falcon Heavy-მ სპეციალისტებისა და კონსტრუქტორების იმედი გაამართლა.


კოსმოსური სივრცის ათვისების პროექტებზე ამბიციური და არაორდინარული იდეებით გამორჩეული ილონ მასკი 2002 წლიდან მუშაობს, როცა კომპანია SpaceX-ი დააფუძნა. მძიმე კლასის რაკეტა Falcon 9-მ (ციფრი 9 პირველ საფეხურში ძრავების რაოდენობას აღნიშნავს), მაღალი საიმედოობისა და უნიკალური კონს-

ტრუქციული გადაწყვეტილებებით SpaceX-ს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კოსმოსური კომპანიის სახელი მოუხვეჭა.

რაკეტის პირველი სტარტი 2010 წლის 4 ივნისს შედგა. Falcon 9 v1.0-ის პირვანდელი კონფიგურაციის წონა 333 ტ-სა და სიმაღლე 54,9 მ-ს აღწევდა, ხოლო დაბალ საყრდენ ორბიტაზე 10,5 ტ სასარგებლო ტვირთის გატანა შეეძლო. 2013 წლამდე რაკეტის 5 გაშვებიდან 4 წარმატებით დასრულდა. პირველ ეტაპზე რაკეტა ერთჯერადი გამოყენებისა იყო, მაგრამ ბაზარზე კონკურენციის გამო მასკმა შორს მიმავალი გეგმები დასახა და რაკეტა-მატარებლის გაშვების ღირებულების შესამცირებლად კომპანიამ ორსაფეხურიანი Falcon 9-ის მეორე საფეხურის მინაზე უსაფრთხო დაბრუნების სქემა დაამუშავა...










# ნუბიის პირამიდები



**ნუბიის პირამიდები ძველი ნაგებობებია. მათი აშენება ნუბიის მმართველებმა ეგვიპტელების მიერ პირამიდების მშენებლობის შეწყვეტიდან 800 წლის შემდეგ დაიწვეს. 200-ზე მეტი პირამიდა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაშია აგებული.**

ნუბია რეგიონია ნილოსის შუაწელში, ამჟამად ის ეგვიპტესა და სუდანშია მოქცეული. ნუბია მოიცავს მიწებს ნილოსის პირველი ჭორომიდან (ეგვიპტე) მეექვსე ჭორომამდე (სუდანი). რეგიონის ისტორიული სახელწოდება, სავარაუდოდ, მომდინარეობს ძველი ეგვიპტური სიტყვიდან „ნუბ“ — ოქრო. რეგიონში ეგვიპტური ცივილიზაციის ექსპანსია ძვ.წ. 2500 წლიდან დაიწყო. მის ჩრდილოეთ

ნაწილს ეგვიპტელები უაუატს უწოდებდნენ, სამხრეთს კი ქუშს. ეგვიპტური სამეფოს დაცემის ხანაში სწორედ ეს უკანასკნელი გაძლიერდა და წარმოიშვა ქუშის სამეფო, რომლის დედაქალაქი ადრეულ პერიოდში კერმა იყო, ხოლო უფრო გვიანდელ ეპოქაში — ნაპატა. ძვ.წ. VIII საუკუნეში ქუშის მეფე კაშტა ზემო ეგვიპტეში შეიჭრა. მას შემდეგ ეგვიპტეს ქუშის მეფეები დაახლოებით ერთი



მეროესა და ნაპატის პირამიდები  
მეფე-დელოფალთა განსასვენებელს  
წარმოადგენს



საუკუნის განმავლობაში მართავენ, როგორც ფარაონების XXV დინასტიის წარმომადგენლები.

ქუში ეგვიპტეს კვლავ გამოეყო ძვ.წ. 671 წელს, როცა ეგვიპტეში ასურელები შეიჭრნენ. ქუში ფარაონების დინასტიის ბოლო ფარაონი ტანუტამონი იყო, რომელიც ასურეთთან მძიმედ დამარცხდა. საბოლოოდ ეგვიპტიდან ნუბიელები ძვ.წ. 656 წელს XXVI დინასტიის დამაარსებელმა — ფარაონმა ფსამეტიქ I-მა განდევნა. მან ეგვიპტეს ასურეთისგან დამოუკიდებლობა მოუპოვა, აგრეთვე დაამარცხა ქუშის მმართველი ასპელტა, ხოლო ნაპატა გაძარცვა და დაწვა. ასპელტას მემკვიდრეებმა დედაქალაქი ნაპატიდან უფრო სამხრეთით — მეროეში გადაიტანეს. ნაპატა მაინც დარჩა მნიშვნელოვან რელიგიურ ცენტრად, სადაც ეკურთხებოდნენ და იკრძალებოდნენ ნუბიის მმართველები. ქუშის მეროიტული სამეფო არსებობდა IV საუკუნემდე, შემდგომ ის შიდა არეულობებით დასუსტდა და დაიშალა...

დღეს ცნობილია ნუბიის 250-ზე მეტი პირამიდა, რომლებიც სამ სხვადასხვა რეგიონშია განლაგებული. ეს პირამიდები მეროესა და ნაპატის მეფე-დელოფალთა განსასვენებელს წარმოადგენს. თავდაპირველად პირამიდები აშენდა ელ-კურუში და ისინი გახლდათ მეფე კაშტას, მისი შვილის პიანხის, მათი მემკვიდრეების — შაბაკის, შაბატაკისა და ტანუტამონის აკლამები. 14 პირამიდა აიგო მათი ცოლებისთვის. ნაპატას უფრო გვიანდელი პირამიდები მდებარეობს დასახლება ნურის მახლობლად, ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, ზემო ნუბიაში. აქ დაკრძალულია 21 მმართველი და 52 დელოფალი,







პირამიდები  
საკმაოდ  
ახლო-ახლოს  
არის აგებული



ქალაქ კერმაში  
შემორჩენილი  
პირამიდის  
ნანგრევი



ნუბიური  
„ცხვრის ფარა“






დღეს ცნობილია  
ნუბიის 250-ზე  
მეტი პირამიდა,  
რომლებიც სამ  
სხვადასხვა  
რეგიონშია  
განლაგებული



სვეტი და ქვაში გამოსახული სპილო  
მეროს ერთ-ერთ ტაძარზე





მათ შორის არის ასპელტა. მეფეთა ნეშტები ჩასვენებულია დიდ სარკოფაგებში. ასპელტას სარკოფაგის წონა 15,5 ტონას აღწევს, აქედან 4 ტონა სახურავზე მოდის. ნურის პირამიდებიდან ყველაზე ძველი და ყველაზე დიდი კი ეკუთვნის ეგვიპტის XXV დინასტიის ფარაონ ტაჰარქას.


პირამიდების ყველაზე დიდი ჯგუფი განლაგებულია მეროეში, ნილოსის მე-5 და მე-6 ჭორომებს შორის, ხართუმიდან ჩრდილოეთით დაახლოებით 100 კილომეტრში, სადაც მეროიტული პერიოდის 40-ზე მეტი მეფე და დედოფალია დაკრძალული.

ნუბიური პირამიდების პროპორცია ეგვიპტურისგან განსხვავებულია. მათი სიმაღლე 6-დან 30 მეტრამდეა. საძირკვლის სიმაღლე იშვიათად აღემატება 8 მეტრს, გვერდითი წახნაგები საფეხურებიანია ან თუთრად არის შეღესილი. ეს წახნაგები მკვეთრად არის აზიდული ზემოთ — მათი დახრის კუთხე დაახლოებით 70 გრადუსია (ეგვიპტური პირამიდების წახნაგების დახრის კუთხე 40-დან 50 გრადუსამდეა). ყველა პირამიდის ძირს პერიმეტრზე მიუყვება დამახასიათებელი შვერილი საფეხურის სახით. შესაძლოა შვერილები ასევე პირამიდის წიბოებსაც უვლიდეს გარს. პირამიდები სრულდება მწვერვალით, რომელსაც აქვს მომცრო წაკვეთილი პირამიდის ფორმა და თავის მხრივ, ცილინდრი ადვას. პირამიდების უმრავლესობას ძირში მიშენებული აქვს სატაძრო ნაგებობები, სადაც შესაწირი მიჰქონდათ. ეს ნაგებობები შემკული იყო ბარელიეფებით. თავად პირამიდების გარშემო კი დაბალი კედლები იყო შემოვლებული.

ნუბიის პირამიდებისგან განსხვავებით, ეგვიპტის პირამიდებს არ აქვს საძირკვლის საფეხურისებრი შვერილი, პირამიდების ძირში მიშენებული სატაძრო ნაგებობები გაცილებით ვრცელი და განტოტვილია. პირამიდის წვერზე კი აღმართული იყო პირამიდიონი — პირამიდის ფორმის გაპრიალებული და ზოგჯერ ოქროთი დაფარული გრანიტის ქვა, სიმაღლით 1-2-დან 5-6 მეტრამდე, პირამიდის ზომების შესაბამისად.

ნუბიის ყველა პირამიდა ჯერ კიდევ უძველეს დროში გაიძარცვა. ზოგიერთ სამლოცველოში შემონახულია კედლის წარწერები, რომლებიც მოგვითხრობენ სამარხში არსებული მუმიების შესახებ. ხის სარკოფაგებში მოთავსებულია შემკული მუმიები... არქეო-

ასპელტას  
ქანდაკება და  
მის ფერხითი  
გამოსახული  
ძველეგვიპტური  
კარტუში







ნუბიის პირამიდები სრულდება  
მწვერვალით, რომელსაც  
აქვს მომცრო წაკვეთილი  
პირამიდის ფორმა და თავის  
მხრზე, ცილინდრი ადგას



ნუბიაში პირამიდების  
კედლები გაცილებით  
დამრეცია, ვიდრე  
ეგვიპტეში





კედლის მხატვრობა  
ტანუტამონის სამარხში

ლოგების მიერ ნუბიის პირამიდების აღმოჩენის პერიოდში, XIX-XX საუკუნეებში, იპოვეს მშვილდების, კაპარჭების, ცხენის მოსართავის, ხის ყუთების, ავეჯის, ქოთნების ნაშთები, ფერადი მინა, ლითონის ჭურჭელი და მრავალი სხვა ნივთი, რაც ადასტურებს, რომ მეროეს, ეგვიპტესა და საბერძნეთს შორის გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარეობდა.

1830-იან წლებში ბევრი პირამიდა ძლიერ დააზიანა იტალიელმა ექიმმა-მკვლევარმა ჯუზეპე ფერლინიმ. მას ეზარებოდა ქვიშებში შესასვლელის გათხრა და შიგნით მოსახვედრად პირამიდების მწვერვალებს აფეთქებდა. ასეთი ბარბაროსული მეთოდით მან 40-მდე პირამიდა დაანგრია...

**რამაზ გურგენიძე**



სადაც პირამიდებია,  
იქ ტურისტებიც  
არიან



# ამონახილავი ძვანი წუხნად-ბაზეთაბიდან



იაკობ  
ნიკოლაძე  
აფასებს  
დიპლომანტი  
სტუდენტის,  
ბიძინა  
აგალიშვილის  
ნამოქმედარი. ხეში  
გამოკვეთილ  
ვაჟა-ფშაველას

## მოქანდაკე ნიკოლაძე

1902 წელი. ზაფხულის პირი. „სეირნობა“ ახალ კლუბის ბაღში (მაშინ სათავად აზნაურო). მრავალი გასართობები. ყურადღებას იქცევს ერთი კიოსკი: მეფისტოს თავია ჩამოსხმული კიოსკად. გვერდით ჭაბუკი სდგას: დაბალი ტანის შავი თმა, ოდნავ ხუჭუჭი გიშერი, დიდრონი შავი თვალები, პროფილი ძველი ასირელის, სილუეტი მიმზიდველი ფრიად. ჭაბუკი იაკობ ნიკოლაძე და კიოსკი მისი ნამოქმედარი. ეს იყო ჩემი პირველი ნახვა ქართველი ქანდაკების.

გავიდა ხუთი წელი. პარიზში ვარ. ვხვდები ქართველებს: გავიცანი „ჟაკო“ წამსვე დაუახლოვდი. არის მის ბუნებაში რაღაც ძალზე უშუალო, თითქმის „სიბავშვე“, მხოლოდ, ისეთი რომელიც ჩვეულთა ხვედრია მხოლოდ. არავითარი სიკვამლე, არავითარი ბოროტი, არავითარი გესლი — მის ბუნებაში არ მიგრძენია; პირიქით მუდამ გულ ახდელი, ლალი მეტად, აფრთოვანებული, ბედნიერი სიცლით.

ზმირად დავიარებოდი მასთან. საკმაოდ დიდი ოთახი: გაყოფილია ფარდით: აქეთ — ატელიე, იქით — „საცხოვრებელი“ — თუმცა ცხოვრებით უფრო ატელიეში ცოცხლობს. არ დამავიწყდება ერთი სანახაობა: შევდი-

ვარ: „ჟაკო“ ფინიას ეაღერსება: ამ ალერსში რაღაც უცნაური დავინახე: ხელოვანისათვის ძალღიჯ იყო გონიერი: თითქო ხუთი წლის ბავშვს უთხრობდა ზღაპარს ღიმილით.

იმთავითვე „ჟაკოს“ ბუნებაში ერთი რამ იპყრობდა ჩემს ყურადღებას: უშუალო ტალანტი. მას დიდი განათლება არ მიუღია, მაგრამ ინტუიციით დიდ საკითხებს სწვდება. ხანდისხან თითონაც გამოსძებნის ხოლმე ასეთ საკითხებს. ყოველს საკითხში თავის აზრს თავისებურ არაბესკად გაიყვანს. თუმცა სიტყვით ხანდისხან ისეთ განცდას მოგაწვდის, როგორც „ბერი“ ხავსიანი ქვა ძველი საიდუმლო წარწერით.

ნიკოლაძე ნამდვილი ხელოვანია, პლასტიური გრძნობა უძმაფრესად განვითარებული აქვს. ქართველთა გენია უფროსად პლასტიურია: აქ ნიკოლაძე ამ გენიას ქვაში ჰკვეთს ცეცხლეული შთაგონებით. მის შემოქმედებაში მე პირადად მისი სამხატვრო ტემპერამენტი მიპყრობს; ტემპერამენტი წმინდა, შეურვეული, გაუგრძობელი, უშუალო. მთელს მის შემოქმედებას ქალური სირბილე ახლავს. იქნებ ეს ქართველთა ისტორიის შედეგი იყოს. მიქელ-ანჯელოს „სივაჟე“ აულაგმავი, დემონიური, მამა-ცეცხლი ჩვენს ისტორიის



ბოლოს და ბოლოს გაურბის, მაგრამ თვითონ „ქალურობა“ ნიკოლაძის შემოქმედებაში განუმეორებელ სინაზესა ჰქმნის.

ნიკოლაძე ისეც ხელოვანია: სიცოცხლეში. ბოჰემის ტემპერამენტი მისი ერთი საუკეთესო ნაკვეთია. მთელი მისი სიცოცხლე ხელოვანთა შორის ტრიალებს. ყველაზე უფრო გრძნობს სიტყვის სიახლეს, ლექსის მიერ, სახის უჩვეულობას. და რაც უფრო ყურადსაღებია: ძვირად მონახავთ ნიკოლაძის მზგავსს პიროვნებას, რომელსაც სხვის „კარგი“ სხვის გამარჯვება (საკუთრივ ხელოვნებაში) ასე ძალზე ახარებს.

აუტანელია ის ატმოსფერა, საცა ნიკოლაძე მოქმედობს: არ არის შკოლა, არ არის ტრადიცია. მოქანდაკეს შეუძლია იმოქმედოს: პარიზში, მიუხედავად, რომში. იქ არის „ჯიბრი“. თბილისი მხოლოდ უდაბნოა მოქანდაკისთვის. მით უფრო საკვირველია ნიკოლაძის შემოქმედებითი ჟინი, რომლითაც იგი ამ უდაბნოში ინთება.

კიდევ სხვა უბედობა: ნივთიერი შევიწროება. ადგილიც არ აქვს: მჭედელს სამჭედლო არ ქონდეს უბედურობა არის. ქართველი ერი გულუხვია. თუ კარგი რამ დაინახა? დროა, ახლა მაინც დაინახოს თავისი მოქანდაკე. აუშენოს მას ატელიე: ეს იქნება საუკეთესო საჩუქარი. იგი იქნება, „სამუშაოს“ გარდა ისეთი ადგილი, საცა ყოველი ქართველი

ხელოვანი მონახავს კუთხეს ესტეტიური გართობისთვის. ხელოვნების საქმეა თავს იღვან ატელიეს გამართვა: — მიართვათ „ჟაკოს“ ძმური ყვავილი.

გრიგოლ რობაქიძე

„ბახტრიონი“, 1922 წ. №22

### ნაკვესი

ხევსური შიშია ყურძნობას კახეთს იყო სამუშაოდ. შიშიას ერთს თავადიშვილთან მოუხდა მუშაობა, რომელიც გამტკიცულს შოთებს არ აკლებდა ხევსურს, ყურძენს ზომ რამდენიც უნდოდა, იმდენს შეექცევოდა. ორის კვირის შემდეგ შიშია დაბრუნდა ხევსურეთში, იმას გარს შემოეხვივნენ მეზობლები და დაუწყეს კახეთის ამბების კითხვა.

— რახელ ყოფილიყო, შიშიავ, კახეთი? — ჰკითხა ერთმა ხევსურმა.

— ვერაისა ყოფილიყო, გუდანის ჯვარის გამარჯვებამა, — მიუჯერა შიშიამ, — ყურძენ-მარძენმა ყავლიონის [ყალიონი] გემო ქვე დამილია. პურ მაილიან, ვლეჭიდი, ვლეჭიდი, ვერ გაუღეჭიდი თავი დაუანებდი, მაკვე [მოვკვდი] მშიერაი... ჩვენის ჩხრეკილის [ქერის პური. — „ვეერიის“ რუდაქციის შენიშვნები] თანა არა იქნების, თავისთავად გაიღეჭებისო.

კ. ფ-ლა

„ვეერია“, 1886 წ. №188

მოამზადა თუ ცაგურიშვილმა





პოლონეთის  
პრეზიდენტი

სკანვორდი ჟურნალი  
„არუსელისგან“

უფრო ზედიზედ სკანვორდი, კროსვორდი, თვისებები და საინტერესო ამბები იხილეთ ზემოთაბოლო - განათობის ჟურნალში


				1. ნადევილი				2. საგაზეთო იუმორისტუ- ლი წერილი
				3. გამარჯვე- ბის ქალღ- მერთი				
				4. უხუში ქსო- ვილი		5. ოდესვის სამშობლო		6. ნაწარმოე- ბის სტილის შემსწორე- ბელი
	7. რევიონი სამხ.-აღმ. აზიაში							
				8. შახ ... გარსია		9. ქარიხვან მოტანი- ლი სილის ბორცვა	10. ფორმის ტანსაცმელი	11. მონადი- რის ჩანთა
	12. ობიექტის მდებარების განსაზღვრა		13. პარში მომუშავე	14. მაღალი ხარისხის მინა				
				15. აღმოდო- ვარის ფილმი				16. ...ურუ- ზინსკაია
								17. ... გვევარა
	18. მიმიკის მოშლა							
	19. სისხ- ლისმწველი ბუზი				20. სიმდიდ- რის ძე აღმ. ღვთაება			
						21. კონცა		22. ზევსის ღელა
	23. მეტალი							24. გადა- ჭარბებული პატემოვვა- რეობა

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:  
1. მანტო; 2. ნარიყალა; 3. „ტრუბადური“; 4. რურუა; 5. ბისტი; 6. უხა; 7. მელუა; 8. მაყრონი; 9. არ; 10. მავთი;  
11. მეგრე; 12. „ლეულა“; 13. ემე; 14. მარო; 15. იორი; 16. ანოა; 17. რანდევე; 18. ამაგი; 19. ურია; 20. კაფა; 21. ელ-  
ფი; 22. კაენი; 23. ტემზა; 24. მირკანი; 25. გეა. სპრაბიშპ: მარტინ ლუთერ კინგი.



# საქართველოს საუკეთესო ხედების ალბომი

საუკეთესო  
საჩუქარი



საქართველო  
რასაც არწივები ხედავენ



130 ლ

იბრძენი თავი არწივის  
ფრენის სიმაღლეზე  
და დატკბით საქართველოს  
სილამაზით!




იკითხეთ წიგნის მალაზიებში ან დარეკეთ ნომრებზე:  
0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და [www.elva.ge](http://www.elva.ge)  
ადგილზე მოგართმევთ.

ნახევარი ბისტი.  
სკილენძი.  
გიორგი XII  
(1798-1800).  
თბილისი  
(1798-1799)



12 გარსიდან  
მონეტა №23



თვეში ერთხელ 1 ახალი  
მონეტა გაზეთ  
„კვირის კალიტრასთან“ ერთად

შეაგროვე 24 უძველესი ქართული მონეტა,  
განათავსე წიგნ-ალბომში და  
გახდი უნიკალური განძის მფლობელი

მონეტის სპეციალური ფასი 3.5 ლ  
გაზეთთან ერთად 5 ლ



წიგნი-ალბომი და მონეტები იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და  
პრესის გავრცელების ჯიხურებში ან დარეკეთ ნომრებზე:  
0(32)2382673; 0(32)2382674 და [www.elva.ge](http://www.elva.ge) ადგილზე მოგართმევთ.